



EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL
TBILISI 15

PROUD PARTNER

იარაღი, რომელიც საქმეში ფიგურირებს, გამოგვიჩვენა თავის ძმაცაცს აჩუქა

გუტა რომაძის საქმიდან გამომდინარე ნივთმტვიცნების სკანდალური ისტორია

SCANDAL

სკანდალი მერიასი - ფარული ჩანაწერები

EXCLUSIVE

„არსებობს ჩანაწერები, როგორ მიმდინარეობს მარგიშვილსა და ერთ-ერთ ადამიანს შორის ვაჭრობა კონკრეტულ ტენდერთან დაკავშირებით, თუ როგორ გაიყონ წილები“

„მასობრივი არაფერი ხდება. უბრალოდ, საკადრო გადაწყვეტილება ასეთი“

ნიკა გვარამია გეგმა RUSTAVI2.COM ფალსუფანდოშვილის წინააღმდეგ

SCANDAL

„შიდა საბარგულიდან ამოიღო ნაჭერში გახვეული იარაღი - „ტაურუსის“ ფირმის რევოლვერი „მაგნუმ 357“ და მე გადმოძცა... შემდეგ ორივენი დავბრუნდით სუფრასთან“

ჯანდაცვასა და შს-ს შორის გაფორმებული გარიგებები და კორუფციული სქემები

ვინ იღბა პრივატიზაციის უკან და სკანდალური დაპატიმრებები

„როგორ აპირებს სერგეენკო სამართლიანობის აღდგენას... ერთ-ერთ თანამდებობაზე ჰყავს ადგიშვილის კადრი...“

„ვინ იყვნენ - ალანია, კოდუა თუ ახალაია, ამას ვერ გეტყვით... საავადმყოფოს პრივატიზების უკან შს-ს ინტერესი იდგა...“

„კრედიტები რომ გაქვს, სამსახურიდან წადიო, რომ გეტყვიან და თავში ქვა გიხლიაო მაგაზე მადლობას არ ეუბნებიან“

თამაზ გაიაშვილი:
„ეს ქართული ავიაციის განადგურების გეგმის ნაწილია“



EXCLUSIVE
კახი კალაძე - ფინანსთა და პოლიტიკაზე



EXCLUSIVE

EXCLUSIVE

კორუფციული სქემა ბაბა-ბაღებში

გაფუჭებული სორცით მონაგული ბავშვებით ფულს მაღალჩინოსნები შოულობდნენ

EXCLUSIVE

„გვაქვს ინფორმაცია, რომ ახლო მომავალში ბევრი მაღალჩინოსანი აპირებს განცხადების დაწერას გადადგომაზე“

„პატარა ბავშვებზე სადღეა უვარგისი, ვადაგასული პროდუქტი, გაფუჭებულ ხორცს ყიდნიან ბავშვებზე. ამის ფაქტები არსებობს“

EXCLUSIVE
რა ხმაურიანი საქმეების გამოძიება იგეგმება პროკურატურაში



ექსპლუზიური ინტერვიუ ირაკლი ნადარეიშვილთან

„გამოძიების პროცესში გამოიცხადეს არაფერი. ამ პროცესში შეიძლება გავიღებთ შუა რგოლებზე, შეიძლება - უმაღლესი თანამდებობის პირებზე“

„ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ეს პრეზიდენტის კომპეტენცია არ არის“

მარგველაშვილი ხელისუფლებას აშანტაჟებს

კომპრომატების ომი იწყება

„სერიოზული კომპრომატები დაიდება და პოლიტიკურ სკანდალებს უნდა ველოდოთ“

პატიმარ ლევან კორტავას მკვლელობის საქმის სკანდალური ჩანაწერები

პირველად „პრანიმტანიები“ მონების ხმაურიანი პრეზენტაცია, ტრუ მონები და ყალბი ჩვენებები

სომხის სამინისტროში აღმოჩენილ დარღვევებს პროკურატურა გამოიძიებს

EXCLUSIVE

როგორ კეთდება ფული შუამავშვილით? **სკანდალური ფოტომასალა**

აქვს თუ არა კავშირი შუამავშვილის სკანდალთან კავლე კუბლაშვილის მუშაობას?

ვანო მერაბიშვილის დედას **EXCLUSIVE** პროკურატურაში დაკითხავენ?

„მითხრეს, რომ იქვე დავმჯდარიყავი და შენია მერაბიშვილს დავლოდებოდი. ამ პროცესში კაფეში შემოვიდა დაახლოებით 100-მდე ნიღბიანი ადამიანი, რომლებმაც დამაკავეს“

კომპრომატების ომი იწყება



ქეთი ხატიაშვილი

პოლიტიკაში ჯერ არც სარჩევნო სეზონი გახსნილა და არც ვადამდე არჩევნების აუცილებლობა ჩანს, თუმცა, უკვე ცხადი ხდება, რომ 2016 წლის საარჩევნო რინგი დაუნდობელი კომპრომატების ბრძოლის ველი უფრო იქნება, ვიდრე პოლიტიკური შეხედულებისა თუ პროგრამების კონკურენცია.

როგორც ჩანს, მედია ამ ბრძოლაში ფრონტის ხაზი იქნება. უკვე იკვეთება კომპრომატების ომის ხმაური. აქა-იქ სკანდალური განცხადებები და ინფორმაციები ჩნდება. ამბობენ, რომ ზუსტად იციან პრეზიდენტ სააკაშვილის საიდუმლო თათბირების შესახებ; ზუსტად იციან, როგორ დაიგეგმა და ვისი ბრძანებით დაიდგა ცოცხების სცენა. სხვათა შორის, ბედუკაძემ მალევე თქვა, რომ ცოცხები დადგმულია.

კომპრომატები ქართულ პოლიტიკას არც არასოდეს აკლდა.

ვალერი გელბახიანი კომპრომატების ომის ეპიცენტრში რამდენჯერმე მოხვდა. „ფრონტის ხაზზე“ ის ჯერ ასლან აბაშიძესთან, შემდეგ ბადრი პატარკაციშვილთან ერთად იდგა.

„პრაიმტიმთან“ საუბარში გელბახიანი ამბობს, რომ მალე სერიოზული კომპრომატების ომი დაიწყება:

– ოპონენტებზე კომპრომატებს ყოველთვის არჩვენებზე იყენებენ და თან ძირითადი მოთამაშეების წინააღმდეგ. ამ არჩვენებზე ეს ქოცები და ნაცები იქნებიან. ასე რომ, ჩვენ არა მხოლოდ საარჩევნო კონკურენციას ვიხილავთ, არამედ კომპრომატების ომსაც. ყველაფერი მათ შქონდათ ჩანერილი, ნელ-ნელა გამოიტანენ და იქნება ბრალდებები. ნაცები დაიწყებენ ქოცების წინააღმდეგ ისეთი ჩანაწერების გამოქვეყნებას, რომელიც აქამდე უცნობი იყო.

ვხედავთ უკვე კორუფციას, მოშლილია სახელმწიფო სისტემის მწყობრი მუშაობა. ეს იქნება კომპრომატები ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე...

– ამით ისინი კიდევ უფრო შეუწყობენ ხელს უმრავლესობაში პროცესების რღვევას? იქ ისედაც არ არის ერ-

თსულოვნება...

– იმას, რომ უმრავლესობაში ერთიანობა არ არის, ნაციონალები გამოიყენებენ, მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება და შესაბამის ტექნოლოგიებსაც ფლობენ. ტექნოლოგიურად ისინი უფრო მაღლა დგანან, ვიდრე მათი მონინა-ალმდეგენი.

– კომპრომატების ომის ნაწილია ახლა პროკურატურაში სპეციალური დეპარტამენტის შექმნა, რომელსაც სამართლიანობის აღდგენა დაევა?

– ეს კამპანია იქნება პიარის დონეზე. როგორც ჩანს, პოლიტიკური სკანდალები გველის წინ. ეს პოლიტიკური პროცესის შემადგენელი ნაწილია.

– უკვე დაიწერა, რომ არსებობს სააკაშვილის თათბირების ჩანაწერები, შეიძლება ვთქვათ, რომ კომპრომატები ხელისუფლებასაც აქვს?

– „ქართულ ოცნებასაც“ აქვს და თუ ჯერ არ აქვეყნებს და ჯერ არ იყენებს, ეს იმას ნიშნავს, რომ არჩვენებისთვის ინახავს.

– კომპრომატების ომი არჩვენებამდე რამდენი ხნით ადრე იწყება ხოლმე?

– საარჩევნო კამპანიის დროს იწყება, ვიდრე ის შევა დასკვნით ფაზაში. უკვე პიკისკენ ისეთი კომპრომატის გამოტანა ხდება, რომელიც მონინაალმდეგეს ანადგურებს...

– როგორც ცოცხები იყო?

– ცოცხები და ბადრის დროს რაც იყო.


– კოდუას ჩანაწერს გულისხმობთ?

– მაშინ ჩვენი კამპანიის დროს ვგეგმავდით ახალი მასალების გამოქვეყნებას და დაგვასწრეს... გაგვანადგურეს... რალაცები ჩვენც გვქონდა, მაგრამ დაგვასწრეს და მერე უკვე მის გამოტანას აზრი აღარ ჰქონდა...

– ამ არჩვენებზე ცოცხების დონის კომპრომატი შეიძლება ვიხილოთ?

– არ ვიცი, არა მგონია... ნაცების განცხადებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცოცხები მონყობილი იყო და შეიძლება ვიხილოთ, ვისი დაკვეთით დაიდგა ეს კადრი... ნაციონალები ივანიშვილზე იქნებიან ორიენტირებულნი, ხელისუფლება კი – სააკაშვილზე...

საპრეზიდენ



„მიმდინარე სავალუტო კრიზისთან დაკავშირებით პრეზიდენტს არანაირი როლი არ აქვს. არ არსებობს არც პოლიტიკური და არც სამართლებრივი ვალდებულება, რომელიც ეკონომიკურ გუნდს პრეზიდენტის წინაშე აქვს...“

ქეთი ხატიაშვილი

მარგველაშვილი პოლიტიკურ თამაშებში ყოველთვის ერთი პარტია არ მოუგია. მეტიც, ჯერ არც ოპოზიციასთან და არც პარლამენტთან ანგარიში ფრეც კი არ „დამჯდარა“. ფსონების ჩამოსვლის დროს ოპოზიცია ამ ფაქტორს უკვე ითვალისწინებს.

ახალი თამაში ახალი წლიდან იწყება. პარლამენტმა პრეზიდენტს თებერვალში არ მოუსმინა. არადა, მისი წლიური მოხსენება იყო დაგეგმილი. მარგველაშვილის საკანონმდებლო ორგანოში მისვლა რამდენჯერმე გადაიდო. თანაც ხმაურის ფონზე. აღმასრულებელი ხელისუფლება ამბობდა, ეს სიმბოლური აქტია და მოსვლასა და პრეზიდენტის მოსმენას არ ვაპირებთო.

მალევე საფინანსო კრიზისი დადგა და ოპოზიციამ მარგველაშვილს საგოლე „პასი“ ჩაანოდა – საგანგებო სხდომა დანიშნა და კრიზისზე მთავრობის პასუხისმგებლობის დაყენების პერსპექტივა გაჩნდებოდა.

თუმცა, მაშინ მარგველაშვილმა პერსონალურ იმიჯზე უფრო იფიქრა, ვიდრე პოლიტიკურ თამაშებზე. როგორც ჩანს, საკუთარი თავისთვის პოლიტიკური წინის შემატება გადაუღახავი ცდუნებაა გამოცდულელებისთვის. ამიტომაც მარგველაშვილმა საგანგებო სხდომის დანიშვნა გადაიფიქრა, როგორც კი აღმასრულებელი ხელისუფლების პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მიწვევის შანსი დაინახა. მაშინ მარგველაშვილმა განაცხადა, რომ სავალუტო ფონდის ვიზიტის წინ საგანგებო სხდომის გამართვის აუცილებლობას ვერ ხედავს, მარგველაშვილს ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრები ესტუმრნენ. შეთანხმებაც მაშინ შედგა – 5 მარტს მთავრობას კრიზისის დაძლევის პროგრამა უნდა მიეტანა პრეზიდენტთან.

პარალელურად გარიგება შედგა ნინო გვენეტაძის კანდიდატურაზეც, ისევე როგორც სხვადასხვა ხმაურიან კანონებზე, რომლისთვისაც მარგველაშვილს ვეტოს დადება შეეძლო და ოპოზიცია მოუწოდებდა. მაგალითად, იგივე ახალ სარეკლამო რეგულაციებზე, რომელსაც „რუსთავი 2“ აპროტესტებდა.

თუმცა, საბოლოოდ გარიგება გარიგებად დარჩა. მმართველმა კოალიციამ მიიღო ყველაფერი, მარგველაშვილი კი თითქოს არაფერი – პრეზიდენტს როდის და რა ფორმატით მოუსმენენ პარლამენტში, ისე უცნობია; ნინო გვენეტაძის დამტკიცებაზე უმრავლესობაში ჯერ არ არის გადაწყვეტილება მიღებული.

ჰოდა, მარგველაშვილმა ეს ყველაფერი დაითვალა და

„სერიოზული კომპრომატები დაიდება და პოლიტიკურ სკანდალებს უნდა ველოდეთ“

ტო შანტაჟი

„ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ეს პრეზიდენტის კომპეტენცია საერთოდ არ არის“



გადაწყვეტილება მიიღო – მთავრობას დაარტყას. ამიტომაც ადმინისტრაციამ სასწრაფო წესით გააკეთა განცხადება, – კრიზისების დაძლევის გეგმა არ ჩანს და საგანგებო სხდომაზე შეიძლება მალევე ჩაინიშნოს.

„სამწუხაროდ, ამ დრომდე მსგავსი გეგმა წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, ჩვენ გვინდა შევხსენოთ პროცესში მონაწილე ყველა პირს საზოგადოების წინაშე მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობა და ვალდებულება, წარმოდგენილ იქნას სავალუტო სტაბილიზაციის გეგმა“, – განაცხადა გიორგი აბაშიძემ.

მთავრობის პასუხზე არ დაყოვნა. პრეზიდენტის ადმინისტრაციას ვიცე-პრემიერმა უპასუხა:

„რაიმე განსაკუთრებული, თითქოს რაღაც ვადები დაირღვა, არ ხდება. ეს გეგმა ჩვენ, ფაქტობრივად, უკვე გაცხადებული გვაქვს და ბევრჯერ ვთქვით, რა მიმართულებით მივდივართ. სამუშაოს მიმდინარეობის პარალელურად,

უახლოეს დღეებში მოხდება ჩვენი ნაბიჯების დაზუსტება და საზოგადოებისთვის ეს ყველაფერი ცნობილი გახდება. ამიტომ ჩვენ ამას ვუყურებთ, როგორც სამუშაო პროცესს და ძალიან ვთხოვ ყველას, ნუ შეიქმნება აჟიოტაჟი რაღაც ასეთი ვადების დათქმითა და მეორე ვითომ დარღვევით. არაფერი ასეთი არ ხდება“, – განაცხადა გიორგი კვიციანიშვილმა.

ამ განცხადებების ფონზე გაიმართა უმრავლესობის სხდომა, სადაც გვერტაძემ მხარდაჭერა გამოუცხადეს. ელოდებიან, რომ მას მომავალ საპარლამენტო სესიაზე დაამტკიცებენ.

თავის მხრივ, ნაციონალურმა შანსი ხელიდან არ გაუშვეს და პრეზიდენტ მარგველაშვილს „უნიჭო“ თამაშისთვის წაკბინეს, – გადაგადგეს და სჯობდა საგანგებო სხდომა დაგეგმონ... თავის მხრივ, მარგველაშვილს უმრავლესობიდანაც უსაყვედურეს. ვადების დადგენის მცდელობას გია ვოლსკიმ „არასერიოზული“ უწოდა.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მარგველაშვილს საერთოდ არაფერი ესაქმება ეკონომიკურ

საკითხებთან, კონსტიტუციურად ეს მისი ფუნქცია არ არის, შესაბამისად, მისი მხრიდან რაიმე პრეტენზიების გამოთქმა „უადგილოა“.

– მიმდინარე სავალუტო კრიზისთან დაკავშირებით პრეზიდენტს არანაირი როლი არ აქვს. არ არსებობს არც პოლიტიკური და არც სამართლებრივი ვალდებულება, რომელიც ეკონომიკურ გუნდს პრეზიდენტის წინაშე აქვს... ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ეს პრეზიდენტის კომპეტენცია საერთოდ არ არის, – განმარტავს „პაიმტაიმთან“ საუბარში ექსპერტი ლევან ალაფიშვილი. მისივე განმარტებით, არ არის გამორიცხული, პრეზიდენტად ამ შემთხვევაში პოლიტიკური დივიდენდების მიღება სურდეს.

თუმცა, პოლიტიკა საკმაოდ მკაცრია, კონკურენცია დაუნდობელია, შესაბამისად, არავინ არავის დივიდენდების ჩანერის საშუალებას არ მისცემს.

პოლიტიკური პარტიების რეიტინგები



არჩევნების წინ კომპრომატებთან ერთად მათემატიკაც საჭირო ხდება. სოციალური კვლევები ლამის არჩევნების შედეგებთან თანაბრდება. მთავარი მოთამაშეები ცდილობენ, ყველა ის კვლევა დააყენონ კითხვის ნიშნის ქვეშ, რომელშიც არითმეტიკა მათ მხარეს არ არის.

თუმცა, შესაძლოა, ახლანდელი კვლევები გამონაკლისი იყოს. ნაციონალური აღიარებენ, რომ ისინი „ქართული ოცნების“ შემდეგ მეორე ადგილზე არიან. თუმცა, მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსზე პრეტენზია ნამდვილად ექნებათ. ამ ადგილს ისინი არავის დაუთმობენ. უკვე ცნობილია, რომ ამ სივრცისთვის კვლევებში ნინო ბურჯანაძე იბრძოლებს.

როგორც ცნობილია, რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ უკვე ჩაატარა შიდაკვლევა. მალე NDI-სა და IRI-ს გამოკითხვების შედეგები გახდება ცნობილი. ითქვამს, რომ კვლევა „ქართულმა ოცნებამაც“ ჩაატარა. მართალია, ეს დახურული კვლევებია და პარტიები, როგორც წესი, შიდა კვლევების შედეგებს არ ასაჯაროებენ, მაგრამ სამაგიეროდ ავრცელებენ ხმებს. მაგალითად, ითქვამს, რომ ბიძინა ივანიშვილი ძალიან უკმაყოფილო იყო „ქართული ოცნების“ რეიტინგით; ან, რომ ნაციონალების რეიტინგი სულ უფრო უტოლდება ბურჯანაძის რეიტინგს.

იტინგს.

მოკლედ, პოლიტიკურ „მავნებლობებს“ მათემატიკაშიც პოულობენ. ერთ-ერთი ინფორმაციით, პოლიტიკურ ბაზარზე კოალიცია „ქართული ოცნება“ ლიდერობს. სახელდება სხვადასხვა პროცენტი, საშუალოდ ის 40%-ს აღწევს. შეიძლება ითქვას, რომ არასაარჩევნო პერიოდში და კრიზისის ფონზე ეს საკმაოდ კარგი შედეგია. რაც შეეხება ნაციონალურებს ისინი მეორე ადგილას არიან, თუმცა მათი პროცენტული მაჩვენებელი 12-16%-ის ფარგლებში მერყეობს. შემდეგ მოდის ბურჯანაძე. პრორუსულ ორიენტაზე გაერთიანების შემთხვევაში მას კიდევ აქვს შანსი 10% გაუთანაბრდეს. სხვა შემთხვევაში, ალბათ, 6%-ზე ავა მხოლოდ. რაც შეეხება ალასანიას, თბილისში მისი რეიტინგი კიდევ შეიძლება საგრძნობი იყოს, თუმცა, რეგიონის მასშტაბით ისე ჩანს, თითქოს ის, სოციოლოგების ენაზე რომ ვთქვათ, მკვდარი პარტიის ლიდერია, რადგანაც 2-3%-იან პარტიაზე, როგორც წესი, ამბობენ, რომ პულსი არ ესინჯება.

თუმცა, არჩევნებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. პოლიტიკა კი იმდენად ცვალებადია, რომ სოციოლოგიური მათემატიკა შეიძლება რაღაც მომენტში გარკვეული მიზეზის გამო თავდაყირაზე დადგეს.



ვაგაფაშვილის მკვლელობის კვალი სააკაშვილთან მიდის

ასეთ დასკვნას კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი გედევან ფოფხაძე აკეთებს. მისი განმარტებით, სააკაშვილი და მისი ზონდერები აქამდეც მიმართავდნენ „ტერორსა და ძალადობას“.

„ესენი ზონდერები არიან, რომლებსთვისაც ნაციონალების პოლიტიკური ჯგუფი მხოლოდ შირმაა, სააკაშვილი კი მიზნის მისაღწევად ყველაფრისთვის მზად არის. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ, მე სწორედ ასეთ ანალიზს ვაკეთებ – ეს

მკვლელობა სჭირდებოდა სააკაშვილს. მოტივი – ქვეყანაში არეულობა და დესტაბილიზაცია. ანუ, როცა ვამბობ, რომ ვაზაგაშვილის მკვლელობის უკან სააკაშვილის მოვიზირებ, მას ვგულისხმობ კონკრეტულად თავის ზონდერებთან ერთად და არა ნაციონალების პოლიტიკურ გუნდს, ანუ იმით, ვინც პარლამენტში ან პარტიულ ოფისშია. ზონდერები კი ხალხს აუპატიურებდნენ, ვლავდენ და ანამებდნენ...“ – განმარტავს გედევან ფოფხაძე „პრაიმტაიმთან“ საუბარში.



ნუ შეიქმნება აჟიოტაჟი რაღაც ასეთი ვადების დათქმითა და მერა ვითომ დარღვევით. არაფერი ასეთი არ ხდება...

ირაკლი ნადარეიშვილი

სუხისგებაში.
 - ქონების უკანონო ჩამორთმევის შემთხვევებში თქვენი დეპარტამენტი მხოლოდ დამნაშავეების პასუხისმგებლობაში მიცემით შემოიფარგლება?
 - არა მხოლოდ. ჩვენი დეპარტამენტის ამოცანაა საკითხის სრულყოფილი შესწავლა. ჩვენ მოგვიწევს იმის დადგენა, თავის დროზე რამდენად კანონიერად მოხდა ქონების შექმნა იმ მესაკუთრის მიერ ვისაც შემდგომში დანაშაულებრივი გზით ჩამორთვეს. თუ დადასტურდა, რომ მოქალაქემ კანონიერად მოიპოვა ქონება და უკანონოდ წაართვეს, რა თქმა უნდა, დაბრუნების საკითხი დაუყოვნებლივ დადგება დღის წესრიგში.
 - მაგრამ, როგორც წესი, ეს ქონება მესამე პირზე გადაყიდული... ჩიხური სიტუაცია ხომ არ შეიქმნება?
 - სავარაუდოდ, ასეთ შემთხვევებთანაც გვექნება საქმე. ქონების გადაყიდვის შემთხვევაში შემძენი კეთილსინდისიერ პირად ითვლება. ასეთ შემთხვევაში ვეცდებით, დაზარალებულთან ვანარმოთ მოლაპარაკება, მათი ქონების ალტერნატიული ქონებით ჩანაცვლების, ან სხვა რაიმე მექანიზმის გამოყენების მხრივ. მაგერა, რომ ასეთ შეთანხმებებს მოვალნეეთ. რაც შეეხება უკანონოდ ჩამორთმულ იმ ქონებას, რომელიც დღესაც სახელმწიფოს ბალანსზეა, აქ შედარებით მარტივად არის საქმე, რადგან, თუ უკანონო ჩამორთმევის ფაქტი დადასტურდა, მათ სახელმწიფო პირდაპირ დაუბრუნებთ ამ ქონებას.

ირაკლი ნადარეიშვილი:
„ცოტა ხანში ნარკობებით ანბარიებით საზოგადოების წინაშე, სადაც მოგანვლით ინფორმაციას, ვის დაუბრუნდება ქონება და ვინ მიეცემა პასუხისმგებლობა“



„არ აქვს მნიშვნელობა, ვის მიერ არის ჩადენილი დანაშაული. ჩვენ მას ნებისმიერ შემთხვევაში გამოვიძიებთ“

Toyota PRADO და Toyota Land Cruiser 200 - კოპულარობის საიდუმლო

Toyota-ს ბრენდებს შორის, Toyota PRADO და Toyota Land Cruiser 200 ჩვენს რეგიონში, ყველაზე პოპულარულ და საუკეთესო გაყიდვად მოდელებად ითვლება. როგორც Toyota-ს ოფიციალურ წარმომადგენლობაში განმარტავენ, PRADO-სა და LC 200-ზე დიდი მოთხოვნა, მათი საუკეთესო მაჩვენებლებით, მართვის გამორჩეული შესაძლებლობებითა და სპეციფიკით არის განპირობებული.



რებლად. მისი X-HAC - პნევმატური დაკიდების სისტემა კი უზრუნველყოფს ავტომობილის რბილ და კომფორტულ მართვას.

ავტომოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი PRADO-სა და LC200-ის სხვა მნიშვნელოვანი და გამოყენებადი ფუნქციებიც, რომლებიც ამ მოდელების გამორჩეულობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს:

KDSS სისტემა ანიჭებს მანქანას მეტ თავდაჯერებულობას და უზრუნველყოფს კომფორტულ მგზავრობას, როგორც ქალაქის, ასევე უგზოობის პირობებში.

AVS სისტემა იძლევა ავტომობილის ამალეების საშუალებას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია გზის გაუვალ მონაკვეთებზე მოძრაობისას.

HAC სისტემა ეხმარება მძღოლს აღმართზე ასვლის შემთხვევაში, ხოლო DAC სისტემა დაღმართზე და ციცაბო ფერდობებზე ჩამოსვლის დროს.

Crawl control ამარტივებს ავტომობილის ტარებას უგზოობის პირობებში და ამცირებს აქსელერაციონისა და მუხრუჭის ხშირი გამოყენების აუცილებლობას.

VFS სისტემა არეგულირებს საჭის ფუნქციონირებას, აეროდინამიკის მაჩვენებლებს და საწვავის მოხმარებას დიდ დისტანციებზე ტარების შემთხვევებში.

NVH სისტემა უზრუნველყოფს ხმაურის დონის შემცირებას სალონში, რაც განსაკუთრებით კომფორტულია სწრაფად ტარებისას.

მომხმარებლებს ავტომობილების აქციების პირობებით შექმნა, „ტოიოტა ცენტრ თბილისსა“ და „ტოიოტა ცენტრ თეგეტაში“ მარტის ბოლომდე შეეძლება.

ბოლო პერიოდში ამ მოდელების მიმართ ინტერესი გაორმაგდა - საქართველოში ტოიოტას ორივე ოფიციალური დილერი - „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ და „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“ ავტომოყვარულებს პარტნიორ ბანკებთან ერთად შეღავათიან აქციებს სთავაზობს.

Land Cruiser-ის ისტორია 60 წელზე მეტს ითვლის. ეს არის საუკეთესო ტექნიკური მახასიათებლებით დაკომპლექტებული, ლეგენდარული Off-road-ერი, რომელიც წარმატებით იყიდება მსოფლიოს 170-ზე მეტ ქვეყანაში. „ჩვენს

რეგიონში ეს მოდელები განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს, რაც გამოწვეულია მათი საუკეთესო ადაპტი-

რებით უგზოობის პირობებში, ასევე იმ ფაქტით, რომ კომფორტის თვალსაზრისით ეს ავტომობილები უდავოდ პრემიუმ და ბიზნეს კლასს განეკუთვნებიან“- აცხადებენ ტოიოტას წარმომადგენლობაში.

ამჟამად საქართველოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს დიზელის მოდელები. ამ მოდელებში დიზელის საწვავის მოხმარების ეკონომიურობა კიდევ უფრო გაუმჯობესებულია: დაახლოებით 8 -11ლ. 100 კილომეტრზე ქალაქში. ამასთანავე ავტომობილს აქვს მარბუნეული მომენტი 400/1600-2800, 188 ცხენის ძალა, აჩქარება კი აღწევს 11,7 წამს 0 - 100 კილომეტრზე. ასევე 226 გ/კმ-დე შემცირებულია გამონაბოლქვის მაჩვენებელი.

გარდა ამისა, აღნიშნული მოდელების ძარა, MT(მულტილანდშაფტური) მონიტორი და MTS სისტემა, მფლობელს საშუალებას აძლევს აირჩიოს სასურველი მართვის რეჟიმი სხვადასხვა პირობებში სატა-



EXCLUSIVE



შალვა ნიგვაშაძე

სადავო ნივთმტკიცების სკანდალური ისტორია

ჰყავთ დაჭერილი და რასაც უნდათ, იმას ალაპარაკებენ, არა მარტო რობაქიძის, არამედ სხვა საქმეებზეც. ასეთივე მონღეა ნუგზარ გვილაგა, რომელიც ნარკორეალიზატორობაზე იყო დაკავებული და თუ არ ვცდები, 11 წელი ჰქონდა მისჯილი. ეს გახლავთ პოლიციის ყოფილი თანამშრომელი. ციხიდან გამოუშვეს და იმავე დღეს მიაცემინეს ჩვენება ჩვენს წინააღმდეგ, თითქოს მე მას დავავალე, რომ ვ შევერა ვაზნები

სამართლის საქმეებზე გამოიძიებას ზედამხედველობდა. ჩამოგვიყალიბდა ერთმანეთთან ახლო მეგობრული ურთიერთობა, რაც გაგრძელდა ჩემი სხვა სამსახურში გადასვლის შემდეგაც. 2005 წელს მე დავინიშნე მინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში. 2006-2007 წლებში ვიმუშავე ქალაქ ფოთის მინაგან საქმეთა სამმართველოს კრიმინალური პოლიციის განყოფილების უფროსად. 2008 წლის ივნისში წარმადგინეს ყვარლის რაიონის პოლიციის უფროსის თანამდებობაზე, ხოლო ნიქაბაძე წარდგენილი იყო ყაზბეგის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით მინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში. ნიქაბაძემ მითხრა, როგორც კი თანამდებობაზე დაინიშნებოდი, მაგარ იარაღს მარუქებდა, იარაღს თბილისში არ მომცემდა, ჩამომიტანდა ყვარელში. მე შევეკითხე, რა იარაღი უნდა უჩუქებინა ჩემთვის, თუმცა მან არ მიპასუხა. ასე დავცილდით ერთმანეთს. როგორც კი ორივე დავინიშნეთ, ჩვენ ერთმანეთთან გვექონდა სატელეფონო ურთიერთობა. 2008 წლის 22 ნოემბერს მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ნიქაბაძეს და დავაბატიყე ყვარელში გიორგობის დღესასწაულის აღსანიშნავად, იქვე ვთხოვე იარაღი,

რომელიც შემპირდა, თუ არ გადაუფიქრებია, წამოელო. შალვამ მითხრა, ყაზბეგში ვერ მიდიოდა, გზა იყო ჩაკეტილი და აუცილებლად ჩამოვიდოდა და შეპირებულ იარაღსაც ჩამომიტანდა. ყვარელში, სუფრასთან ყოფნის დროს ნიქაბაძეს არ გადმოუ-


რას ყვება ყვარლის პოლიციის ყოფილი უფროსი?

(ვინა შეპირებული იარაღი. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ შალვამ მითხრა, რომ შეპირებული იარაღი ჰქონდა მანქანაში, მთხოვა, გარეთ გავსულიყავით და მარუქებდა. მე და შალვა გავედით გარეთ, მან გაალო მანქანა, შიდა საბარგულიდან ამოიღო ნაჭერში გახვეული იარაღი და მე გადმომცა. იარაღი იყო „ტა-

ურუსის“ ფირმის რევოლვერი „მაგნუმ 357“. მე მომეწონა იარაღი და ვკითხე კიდეც შალვას, როგორ მჩუქნიდა ასეთ იარაღს. მადლობის ნიშნად გადავკოცნე და იარაღი ჩავედე ჩემზე განპიროვნებულ მანქანაში, რის შემდეგაც ორივენი დავბრუნდით სუფრასთან. შალვას მე შევეკითხე, აღნიშნული იარაღი იყო თუ არა სუფთა, კერძოდ, ვისზე იყო გაფორმებული და ხომ შემქმელი გადმოფორმებდა. მან მიპასუხა, რომ არ იყო არანაირი პრობლემა, როგორც კი თბილისში ჩამოვიდოდი, იარაღს მაშინვე გადმომიფორმებდა. 2008 წლის დეკემბრის დასაწყისში ჩამოვედი თბილისში და თან ჩამოვიტანე ნიქაბაძის ნაჩუქარი ცეცხლსასროლი იარაღი გადასაფორმებლად. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით ქავთარაძის ქუჩაზე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წინ. ნიქაბაძეს ახლდა ორი პიროვნება, ქალი და მამაკაცი (ჩვენი ინფორმაციით, გიორგი კაშია და მისი მეუღლე. - ავტ.). შალვამ მითხრა, რომ აღნიშნული იარაღი გაფორმებულია ამ ქალბატონზე, ჩემი ახლობელია და იარაღს შენ გადაგიფორმებსო. ჩემს მიერ წარდგენილ იქნა იარაღი, რომელიც შემომწავდა ბალისტიკურ შემოწმებაზე და შეიდი სამუშაოდლის განმავლობაში ავიღე მონშობა ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის უფლებით სამი წლის ვადით. ამის შემდეგ აღნიშნულ იარაღს ვაჭარებდი, როგორც სატაბულო სამშატო იარაღს, რაც დაფიქსირებულია შს სამინისტროს შეიარაღების სამსახურში. 2012 წლის თებერვალში ნიქაბაძის მიერ ნაჩუქარი იარაღი სამოქალაქო რეესტრში გავატარე ხელმოწერდ ბალისტიკურ შემოწმებაზე და გავიფორმე უფალო შენახვის უფლებით“, - წერს გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ყვარლის პოლიციის ყოფილი უფროსი ნუგზარ გვაზავა.



მეგობარ მეგობარ



„შიდა საბარგულიდან ამოიღო ნაჭერში გახვეული იარაღი - „ტაურუსის“ ფირმის რევოლვერი „მაგნუმ 357“ და მე გადმოვიცა... გადლოვის ნიშნად გადავკოცნე და იარაღი ჩავდე ჩემზე განპიროვნებულ მანქანაში, რის შემდეგაც ორივენი დავბრუნდით სუფრასთან“

ახეობდა შალვა ნიქაბაძესთან, რომელმაც შემთხვევის ადგილის დათვალიერება მოახდინა.
- თქვენი ინფორმაციით, როგორ აღმოჩნდა ის ნუგზარ გვაზავას ხელში?
- შაკო ნიქაბაძე ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი დაუდევრობით. ამას ადასტურებს ეს შემთხვევაც. პარადოქსია, რომ ნივთმტკიცებად ამოღებული იარაღის გაჩუქება მოხდა. ნუგზარ გვაზავა და შაკო ნიქაბაძე მეგობრობდნენ. როდესაც გვაზავა ყვარლის განყოფილების უფროსად დაინიშნა, ნიქაბაძემ ამის აღსანიშნავად მას სისხლის სამართლის საქმის ნივთმტკიცება აჩუქა, კერძოდ, თქვენ მიერ ნახსენები ბარაბანიანი იარაღი. მანამდე ნიქაბაძე მივიდა ანტონოვსკაიას ქუჩაზე, კაშიების ოჯახთან, საიდანაც თავის დროზე მოიპარეს ეს იარაღი და მათ მოსთხოვა, რომ გადაეფორმებინათ მის მიერ მითითებულ პიროვნებაზე. მათ უთხრა, ამ იარაღიდან კაცია მოკლული. ოჯახმა ეს რომ გაიგო, დასთანხმდა ნიქაბაძის მოთხოვნას და იარაღი ნუგზარ გვაზავას გადაუფორმა. დღეს ეს პიროვნება ყურებით

მოეტანა შემთხვევის ადგილზე, რაც სრული აბსურდია. როდესაც ამოღებულია 290 ვაზნა, დამატებით ვ შევერა ვაზნის ჩადება რატომ უნდა მომდომებოდა?
- ფირცხლავას მიერ გასაჯაროებული ფირის ექსპერტიზამ რა შედეგი აჩვენა?.. სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად, ამ ფირზე შემოსხენებული ბარაბანიანი იარაღიც ჩანს და ამიტომ გეკითხებით...
- გერმანიიდან ჩამოვიდა პასუხი, მაგრამ პროკურატურამ არ ჩადო საქმეში, რადგან დასკვნა მიუთითებს იმაზე, რომ ფირი ავთენტური და უწყებია.
P.S. მკითხველს შევახსენებ, რომ ამჟამად ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე ბრალდებული ყოფილი პოლიციელები წინასწარი პატიმრობიდან გიორგის სანაცვლოდ არიან განთავისუფლებულნი, გარდა ირაკლი ფირცხლავასი, რომელსაც წინასწარი პატიმრობა ზურბ ვაზაგაშვილის საქმეზე შეუფარდეს.

ჯეი ციხეში, როგორც პატიმარი... როდესაც დამიჭირეს, 2013 წლის ექვს სექტემბერს, ლამის რვა საათის მერე...

ზურაბ პიპვაძე: „21 მარტის აქცია ერთგვარი ტესტია იმისთვის, რომ შემოხდეს, როგორ იმუშავა ნაციონალების ორწლიანმა პროკაბანდამ“



და დანერგე ალიარება? – მე არაფერი დამინერია, გამომიძიებელმა დანერა და მოვანერე ხელი.

ახლა კი ვნახით, როგორ შეირჩნენ დამნაშავეები პატიმართა შორის. ამის შესახებ უფრონაღისტს ძეხნაში მყოფი მალხაზ სინაურიძე ესაუბრება.

მარიამ ნადირაძე

ზოგჯერ გამიზნულად, ზოგჯერ კი უნებურად, მე და ჩემი კოლეგები ვხვდებით იმ „მანქანის“ მექანიზმის ნაწილს, რომელიც მასის ცნობიერებაზე პანიკურად მოქმედებს... ფაქტია, რომ მუდმივ სტრესში მყოფი საზოგადოება ხელისუფლებისთვის, ან ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფებისთვის ყველაზე ადვილად სამართავია.

როგორ ხდება მასეში შიშისა და პანიკის დათესვა, ამას სხვადასხვა კვლევების შედეგად მიღებული სქემები გვიჩვენებს. სწორედ ამ სქემებს განიხილავს „პრაიმტაიმი“ ფსიქოლოგ ზურაბ პიპვაძე.

პანიკა, ზოგადად, ადამიანის დეზორგანიზაციული, არარაციონალური ქცევაა. მოდით, განვიხილოთ თუნდაც ბოლო მოვლენა, ლარის კურსის ვარდნა. ლარის დეველვაციის მიზეზი საკმაოდ დამაჯერებელი და საკმაოდ ავტორიტეტულია და ახსენს ექსპერტებაც; მსოფლიო ბანკმაც. მთელი ამ ინფორმაციული ნაკადის საშუალებით ობიექტურად დავინახეთ, რომ თითქმის ყველა ვალუტასთან გამყარდა დოლარი.

ამის მიუხედავად პანიკა მაინც მძევლავს... პანიკას ინვესს გაუგებრობა, როცა ადამიანი არ იცის, რა იქნება ხვალ... ფინანსური კეთილდღეობა კი სიცოცხლესთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სუროგატია... ამ პანიკას ძალიან შეუნყო ხელი მედიამ.

მედიას, თქვენი აზრით, გვერდით უნდა ავიწყოთ თემისთვის? – რა თქმა უნდა, არა. თუმცა მე დიაც არის და მედიაც... დღეს ეს სფერო ისეთი თავისუფალია, როგორც არასდროს. საზოგადოების „ამგდები“ მედიასამუშაოები დღეს ყველაზე რეიტინგულია. ასეთი საშუალებები აფილირებულნი არიან გარკვეულ პოლიტიკურ ძალებთან. განსაკუთრებით ეფექტურად მუშაობს ამ შემთხვევაში ტელევიზია.

გვიამბობს ქვეყნის ამბებს) და თვითონ პოზიციებს განავითარებენ. თუ ადამიანი, რომელიც დოქტორია, პროფესორია, ექსპერტად ითვლება (მნიშვნელობა არ აქვს, მას ეს ექსპერტობა სხვამ დააბრალა, თუ თვითონ დაიბრალა), მუშებზე, რომ ინფლაცია 30 პროცენტს გადააჭარბებს, მე მივიდვიარ და სახლში დატოვებულ უკანასკნელ ლარებს დილერებთან ვაჭყურად ვაყიდავ. ამას მოჰყვება ჯაჭვური რეაქცია, რადგან გვერდზე კაცი რომ მყავს და ხედავს, მე როგორ ვიქცევ, ისიც ასე იქცევა და ა.შ.

სქემის დასაწყისი გასაგებია: ინიშნება ობიექტური რეალობა, შემდეგ იგეგმება ამ რეალობის გამწვავების ხერხები, გამოიყენება ამ გამწვავებისთვის მედია და ექსპერტები... მაგრამ რა ნიშნით არჩევენ პოლიტიკური ჯგუფები მისთვის განხორციელებისთვის კონკრეტულ მედიასამუშაოებსა და ექსპერტებს? ან მხოლოდ ჟურნალისტები და ექსპერტები ახდენენ გავლენას საზოგადოებრივ აზრზე?

მთელი მექანიზმი არსებობს ამ მიზნების მისაღწევად. „დათა თუ თამბაქოშიც“ კი არის, რომ არსებობს ჭორების გავრცელების სამსახური. ასეთი სამსახურები, რა თქმა უნდა, სხვა სახელით პოლიტიკურ ძალებსაც აქვთ. მაგალითად, მასხოვს, შევარდნაძის დროს არსებობდა ენ. „გონებრივი ჯგუფი“. ნაციონალისტები და ექსპერტები მართავდნენ. მასხოვს, 2007 წელს ერთ-ერთ ასეთ შეხვედრას მეც დავესწარი...

ვის იყვნენ მისი წევრები? – პირველი პირები – ზურაბ ადემიშვილი, გიგი უგულავა, მერაბიშვილი... ნიჩო ბურჯანაძესაც ჰყავდა იქ თავისი წარმომადგენელი. სხვათა შორის ამ ჯგუფში, რატომღაც არ იყვნენ გიგა ბოკერია და ლევან რამიშვილი. ასეთ ჯგუფებში ხდება მსგავსი გადაწყვეტილების მიღება. მათ მაინცდოდა, რომ პროკაბანდის სტყული ომი ყველაზე მნიშვნელოვანია. მუდმივად ატარებდნენ კვლევებს და ამაში უზარმაზარ ფულს ხარჯავდნენ. სწორედაც რომ ეს იყო ომის ოთახი, სადაც იღებდნენ

უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, როგორ დაეზიანებინათ იდეური მონინააღმდეგე. აი, მაგალითად, ჩატარდა კვლევა და სპეციალური ფოკუს-ჯგუფების მიერ დაიტესტა რამდენიმე სიტყვა. გამოვიღოთ, რომ სიტყვა „უნიტო“ ყველაზე ეფექტურად მუშაობს მასაზე. რაც უფრო ხშირად გაიგივებ ამ სიტყვას, რომ, ვთქვათ, ხელისუფლება არის უნარო, ის ვერ წყვეტს საკითხებს, ვერ ხარჯავს ფულს, ის ინფორმაციულ-ტერორული პროექტებს ვერ ახორციელებს – ბუნებრივია, აჩნის ნიშნის საზოგადოებაში. ასეთი მიდგომები სხვადასხვა მიმართულებით განავითარეს. მუდმივად გვემის – ხელისუფლება არის უნარო იმიტომ, რომ კრიმინოგენური სიტუაცია გაუარესდა (არადა რეალურად ეს ასე სულაც არის)... ხელისუფლება არის უნარო, იმიტომ, რომ საპატიმროში პატიმარი გარდაიცვალა... ხელისუფლება არის უნარო, იმიტომ რომ ტურისტები ალარ შემოდიან და ა.შ... ეს მუდმივი შემახლო, თავის შედეგებს დებს, მით უმეტეს, თუ ამ კამპანიის ობიექტურად ნამოწმება დოლარის კურსის გამყარების პროცესია... თუმცა გასაკვირი იქნა, რა არის? ბუნებრივია, რომ ხელისუფლება დროთა განმავლობაში ყოველთვის კარგავს მხარდამჭერებს, მაგრამ ეს რაოდენობა საერთოდ არ ემატება ნაციონალურ მხარდამჭერებს.

ბატონო ზურაბ, გასაგებია, რომ პანიკა შეიძლება წარმოიქმნას ობიექტური საფუძვლის არსებობისას, მაგრამ დღეს ძალიან აქტუალურია ენ. საბოტაჟიკების თემა... ხდება ისტორიის შეთხზვა, რაზეც მერე პანიკა იგება? – მთავარია, არ უნდა აიგოს ეს სქემა ტყუილზე... რადგან შემდეგ მოქმედებს ბუმერანგის პრინციპი... ფაქტია, რომ, თუ ხშირად იტყვიან, რომ კრიმინალური მდგომარეობა გაუარესდა, ლარის კურსი დავარდა, პროდუქტი გაძვირდა და ეს ყველაფერი თავის იყრის დასკვნაში – „... იმიტომ რომ ხელისუფლება უნიათოა“, ეს ქმნის ერთობლიობას, რომელიც საზოგადოებას მომართავს პანიკისკენ. ამ ყველაფერს უფრო მეტად ალვივებენ ენ. აქტივისტები, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზით „დავერბოვდნენ“ – ზოგი ფულით,

ზოგი კომპრომატით, ზოგიც იდეის გამო. ასეთები არიან საზოგადოების ყველა სეგმენტში – მასწავლებლები, ტაქსის მძღოლები, ელითას მუშები და ა.შ.

მაგრამ დღევანდელი ოპოზიციური ძალა ხელისუფლებაში ხომ აღარ არის და ეს „დავერბოვებული“ ნაწილი მათ რატომ დაემორჩილება?

ეს ქსელი მათ დარჩათ. მოაწყობენ სასხვათაშორის შეხვედრას, ნამოქრიან თემს და ვთქვათ, იგივე ტაქსის მძღოლმა უკვე იცის, რომელი თემებზე უნდა ისაუბროს თავის მზარეობთან და რა კუთხით...

ვინ მიხვდება იმას, თუ მან დავალება არ შეასრულა?

ასეთ პოლიტიკურ ჯგუფებს ჰყავთ ენ. სუპერგაიზერები, რომლებიც ამას აკონტროლებენ. აბა, ცყულად ფულს ვინ იხდის? ამის გარდა, არის კიდევ ასეთი ტექნოლოგია – გავლენის მქონე ადამიანის გამოყენება ამ პროცესში.

გამოიღეს, რომ სქემას ასეთი სახე აქვს: ვირზე თემს, ვეგამე მის გამწვავებას, ვახორციელებ ამ გეგმას მედიის, ექსპერტების საშუალებებით და სახალხო კომუნიკაციებით, ვიგონებ მესიჯების სისტემას და ყველა განცხადება, ყველა მოქმედება გამიზნული მათ ხელისუფლებას, მაგრამ ეს რაოდენობა საერთოდ არ ემატება ნაციონალურ მხარდამჭერებს.

ბატონო ზურაბ, გასაგებია, რომ პანიკა შეიძლება წარმოიქმნას ობიექტური საფუძვლის არსებობისას, მაგრამ დღეს ძალიან აქტუალურია ენ. საბოტაჟიკების თემა... ხდება ისტორიის შეთხზვა, რაზეც მერე პანიკა იგება?

მთავარია, არ უნდა აიგოს ეს სქემა ტყუილზე... რადგან შემდეგ მოქმედებს ბუმერანგის პრინციპი... ფაქტია, რომ, თუ ხშირად იტყვიან, რომ კრიმინალური მდგომარეობა გაუარესდა, ლარის კურსი დავარდა, პროდუქტი გაძვირდა და ეს ყველაფერი თავის იყრის დასკვნაში – „... იმიტომ რომ ხელისუფლება უნიათოა“, ეს ქმნის ერთობლიობას, რომელიც საზოგადოებას მომართავს პანიკისკენ. ამ ყველაფერს უფრო მეტად ალვივებენ ენ. აქტივისტები, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზით „დავერბოვდნენ“ – ზოგი ფულით,

123-ე ბაბა-ბაბუნა ბავშვებს გაფუჭებული სოცრით კვიზავენ



EXCLUSIVE

ხათუნა მაგლობლიშვილი

კორუფციული სქემა, რომელიც ბალებში მოქმედებს, ბავშვების ჯანმრთელობის ხარვეზე კონკრეტულ მაღალჩინოსნებს ფულის კეთების საშუალებას აძლევს. არასამთავრობო ორგანიზაცია „ანტიკორუფციული კავშირი“ კონკრეტულ ბალებსა და უწყებებს ასახელებს, რომლებიც კორუფციულ სქემაში არიან ჩართულნი. გია ბურჯანაძის განცხადებით, თბილისის 123-ე ბაღში ბავშვებს გაფუჭებული ხორცი კვებულან, კახეთში კი ბაღებში დაობულ პურს ძალით აჭმევენ პატარებს... იგივე პრობლემა ბათუმშიც ბურჯანაძის განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაცია ძალიან მალე გამოიჭრის სქემას გასაჯაროებს და იმ მაღალჩინოსნების გვარებს დაასახელებს, რომლებიც დანაშაულებრივ სქემაში მონაწილეობენ.

გია ბურჯანაძე, „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე:

ჩვენი სურვილია, რომ ბალების საკვები ბლოკი მშობლებისთვის გამჭვირვალე იყოს. ძალიან ბევრი მშობელი რეკავს და გვატყობინებს, რომ პროდუქტია, რომელსაც მათი შვილები ჭამენ, არის უფარგისი და სიცოცხლისთვის საშიში. კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან, 123-ე ბაღში ბავშვების მონაწილეს ფაქტი დაფიქსირდა. მშობლებმა მოგვანოდეს ინფორმაცია, ჩვენ შევედით ალბიშულ ბაბა-ბაბუნა და ნამდვილად აღმოვაჩინეთ უფარგისი ხორცპროდუქტები. ძალიან ხშირია შემთხვევა, რომ ხორცპროდუქტები, რომელიც ამ სეგმენტში შედის, უხარისხოა და ამის დასამტკიცებლად ჩვენ გვაქვს შესაბამისი აუდიო და ვიდეორჩანაწერებიც.

როგორც ალბიშნეთ, ბაღში თქვენი შემკვების წინააღმდეგნი იყვენ...

თავიდან ბაღში არ შევიშვეს. გეკითხვით, რის საფუძველზე იგეგმებოდა ბაღის შემონახვა, პირადად აუფსენი დირექტორს, რომ მშობლებისგან მქონდა მიღებული ინფორმაცია უხარისხო და გაფუჭებული ხორცპროდუქტების მოხმარების შესახებ და სხორედ მათი განცხადებების საფუძველზე გვინდოდა დაწესებულების შემონახვა. დირექტორმა მაშინვე გადარეკა სააგენტომი, რომელიც მათ საკვებით ამარაგებს და მიაწოდა ინფორმაცია ჩვენი მისვლის შესახებ. სააგენტომ ბაღის დირექტორს აუკრძალა კვების ბლოკში ჩვენი შემკვა.

რა მიზეზით?

მათთვის მთავარი იყო, რომ ვიზუალურადაც კი არ დაგვეთვალიერებინა ბაღში არსებული ხორცპროდუქტები, სინჯების აღებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, თუმცა ჩვენ მანინც შევალნიეთ, არ დაგვინდოდა და გეტყვით, რომ პირდაპირ ვუთხარი დირექტორს, თუ არ შეგვიშვებდა, ამით ის პრობლემებს შეიქმნიდა.

ანუ ნახეთ პროდუქტები?

ვნახე და გეტყვი, რომ ანალიზის ჩატარების გარეშეც კი ნათელი გახლდათ, რომ ალბიშული პროდუქტი ვარგისი არ იყო. ბაღებში ერთი კილო ხორცის საყიდლად გამოიყოფოდა 13-14 ლარი, თუმცა, როგორც წესი, ბაღებში ყიდულობენ 7-ლარიან ხორცს, ასევე, იყო ამ ბაღშიც. იაფიანი ხორცის შესყიდვის შემდეგ ხდება გაზრდილი ფასების განერა და დარჩენილ თანხას თავად იღებენ ვინები.

კონკრეტულად ვინ იპარავს ბავშვების საკვების თანხებს?

ამ სქემაში ჩართულნი არიან მერიისა და ბაბა-ბაბუნების მართვის სააგენტოს თანამშრომლები. ძალიან მალე ჩვენ გავსაჯაროებთ სქემას, რომელ მპს-სა და სააგენტოს რომელი მაღალჩინოსანი ლობირებს. უკვე მათქვს გარკვეული ინფორმაციები და ძალიან მალე ამასაც მოგანვიძით. ეს ადამიანები მითითებებს აძლევენ სააგენტოს, ვისგან უნდა შეისყიდონ ბაღებში ხორცი, რძის პროდუქტები, კარტოფილი და ასე შემდეგ. ეს სფეროები ბიზნესად აქციეს და გადაინაწილეს, სწორედ ამიტომ არის ჩაკეტილი ბაბა-ბაბუნების კვების ბლოკები და ამიტომ არის უცნობი მშობლებისთვის, როდის იყვებიან მათი შვილები.

ხორცი, რომელიც ბაღებიდან ამოიღეთ, შემონახვა?

ჩვენ მივანოდეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაცია, ვთხოვეთ, მათი თანდასწრებით

მომხმარებელი ხორცის ამოღება და ლაბორატორიული კვლევისთვის ნაწილი ხორცის სინჯები, მაგრამ მათ უარი განაცხადეს.

რა მიზეზით?

ალბიშნულ ბაღში ერთი კვირის წინ ვიყავით შესულიები და ყველაფერი კარგად არისო.

მოიტყუეს?

შესულიები ნამდვილად იყვნენ, თუმცა ამ შემთხვევიდან ერთი კვირის შემდეგ შევედით ჩვენ და იქ უფარგისი ხორცი აღმოვაჩინეთ. ამის მტკიცებულებაც გვაქვს. სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჯანმრთელობა სერიოზული საფრთხის ქვეშ არის.

მშობლებმა რატომ არ მოახდინეს რეაგირება, გარდა იმისა, რომ თქვენ გთხოვეს დახმარება?

მშობლები ხმას ვერ იღებენ, რადგან ამაზე რომ ხმამაღლა ილაპარაკონ, მათ შვილებს ბაღებში დევინილებად აქცივენ, მშობლებზე დირექტორებს ზნეობის უამრავი მეთოდი აქვთ შემუშავებული. ჩვენ გავესაუბრეთ 123-ე ბაღის ექიმს და მან დაადასტურა, რომ საკვები პროდუქტების მიღების შემდეგ დაფიქსირდა ინტოქსიკაცია.

სხვა ბაღებშიც არსებობს მსგავსი პრობლემა?

ჩვენ შევამოწმეთ სხვა ბაღებიც. მინდა გითხრა, რომ იქაც ჩაკეტილია საკვები ბლოკები. როგორც კი სააგენტოებში იგებენ, რომ ხორცპროდუქტების შესამოწმებლად ვართ მისული, მაშინვე უკრძალავენ დირექტორებს ჩვენს შემკვებას. მე შემთხვევა, თქვენი მეშვეობით სრულიად საქართველოს ვაჩვენო ნიმუშები, როგორ ხორცს უნდა აჭმევდ

ნენ ბავშვებს, ანუ როგორი ხორცის საყიდ ფულს გამოყოფს მთავრობა ბიუჯეტიდან და როგორი ხორცით კვებულან ბავშვებს. ძალიან მძიმე მდგომარეობაა ბაღებში ამ მხრივ. შემთხვევა, წარმოვაგინო ხორცის ნიმუშები, როგორი ხორცით მარაგდება

რეცეპტი მაღალჩინოსნები ვიბეებს ისტელევენ. ეს პრობლემა არსებობდა ადრეც და პროცესი გრძელდება ახლაც. იგივე პრობლემა რეგიონებშიც. მაგალითად მოვიყვანო ერთი ფაქტს: კახეთის რაიონიდან დარეკეს მშობლებმა და გვითხრეს, ერთ-ერთ ბაღში ბავშვებს თერთმეტ დღის დაძველებული, უკვე დაობებული პური აჭამესო. თანამშრომლები თურმე გადაყრას აპირებდნენ უკვე და ხელმძღვანელობას უარი განუცხადებია, რა უნდა გადაყაროთ, აჭამეთ ბავშვებსო. რჩევაც მისცეს თანამშრომლებს, როგორ უნდა განეხილებინათ დაობებული პური, მდულარე წყლით დაამუშავეთ, გამოამრეთ და ისე აჭამეთო.

ბათუმის ერთ-ერთ ბაღშიც იყო პრობლემა, თანამშრომლები ხორცის მოპარვაში გამოიჭირეს, თუ იცით, დაისაჯენ ეს თანამშრომლები?

ეს ფაქტი ბათუმში მე-თორმეტე ბაღში დაფიქსირდა. ჩვენ მოგვანოდეს ინფორმაცია, რომ ალბიშული თანამშრომლები სამსახურიდან დაითხოვეს, თუმცა, როგორც გავიგეთ, დანაშაული თანამშრომლები, რომლებმაც ბავშვების კუთვნილი ხორცი მიითვისეს, კვლავ მუშაობენ იმავე ბაღებში და უფრო მეტიც, არსებობს ვიდეორჩანაწერები, იგივე თანამშრომელი როგორ იპარავს პროდუქტებს კვლავ.

თქვენ თქვით, რომ მერიის თანამშრომლები არიან ჩართულნი კორუფციულ სქემებში. მუშაობთ ამ ადამიანების სახელებისა და გვარების დადგენაზე?

პირველ რიგში, მინდა გითხრა, რომ ამას საკანონმდებლო ენაზე კომერციული მოსყიდვა ჰქვია და ის ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით. ბაღების მართვის სააგენტოს თანამშრომლების მხრიდან იკვეთება მსგავსი მოთხოვნები, ისინი პირდაპირ მოუთითებენ ბაღებს, ვისგან უნდა შეისყიდონ კონკრეტული პროდუქტები. ნესდებაში წერია, რომ ბაღის დირექტორს აქვს უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, სად და ვისგან შეიძინოს პროდუქტი. იმ დირექტორებს, რომლებიც ამ მოთხოვნებს არ ასრულებენ, პრობლემებს უქმნიან, კომისიას კომისიაზე უგზავნიან, იძულებულს ხდებიან, უფარგისი პროდუქტები შეიძინონ და მათ მოთხოვნებს დაემორჩილონ. ჩვენი ორგანიზაცია მინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მუშაობს ალბიშულ საკითხზე, უკვე გამოკვეთილია დეტალები, კონკრეტული დარღვევები და გვაქვს ინფორმაცია, რომ ახლო მომავალში ბევრი მაღალჩინოსანი აპირებს განცხადების დაწერას გადადგომაზე. მაგრამ ჩვენ მათი განცხადება და გადადგომა არ გვინდა, დანაშაულები სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ, რომ სხვებმა ვეღარ გაბედონ მოპარვა და ბავშვებზე უფარგისი პროდუქტების გასაღება.

მერიის თანამშრომლების გარდა, სხვა რომელი უწყებებია ჩართული?

მერიის თანამშრომლებთან ერთად, ბაღების მართვის სააგენტოს თანამშრომლებიც არიან ჩართულნი.

„პატარა ბავშვებზე სალდება უპარგისი, ვადაგასული პროდუქტი, გაფუჭებულ სოცრს ყიდნიან ბავშვებზე. ამის ფაქტები არსებობს“



გია ბურჯანაძე: „ჩვენ ბავშვებსა ბაღებში 123-ე ბაღის ექიმს და მან დაადასტურა, რომ საკვები პროდუქტების მიღების შემდეგ დაფიქსირდა ინტოქსიკაცია“

რა მიზანით გაუშვეს გეგა ფალავანდიშვილი „რუსთავი 2“-დან?



„კრედიტები რომ გაქვს აკიდებული, სამსახურიდან ნადირომ გეტყვიან და თავში ძვა გისვლიან, მაგაზე მაღლობას არ უშვებინან“



„მე ერთად ბევრი რამ მეტარა. არა მგონია, ვინმე ჩემსავით გიჟი აღმოჩნდეს, ვინც ამ ყველაფერს ერთად აიკიდებს“

ნიკა გვარამია: „მასობრივი არაფერი ხდება. უბრალოდ, საკადრო გადაწყვეტილებაა ასეთი“

EXCLUSIVE

„აი, ჩემი ბოლო ხელფასიც ჩარიცხა „რუსთავი 2“-ში და მინდა მაღლობა გადაგიხადოთ:

1. ყველას, ვინც ხართ ან იყავით „რუსთავი 2“-ში ჩემი აქ ყოფნის 7 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში.

2. ყველა კომპანიის წარმომადგენელს და ცალკეულ ადამიანს, ვინც გვერდში გვედგა.

მაღლობა მხარდაჭერისთვისა და მოტივაციისთვის. თქვენი ყველას დამსახურებაა „რუსთავი 2“-ის უპირობო ლიდერობა. გისურვებთ წარმატებას და პირველობის შენარჩუნებას.)

და განსაკუთრებული მაღლობა იმ რამდენიმე ადამიანს, ვინც პირადად შეიტანა თავისი განუყოფელი წვლილი ჩემს წამოსვლაში :P :D

მუდამ თქვენი გეგა ფალავანდიშვილი, მარკეტინგის, პროდუქციის შესყიდვისა და პროგრამების ექსპერტი.

5 მარტს „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დაბოთს გეგამ. არხის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. როგორც ის „პრაიმტიმთან“ საუბარში ამბობს, მიღებულ შეტყობინებაში მისი არხიდან გაშვების ოფიციალურ მიზეზად კადრების ოპტიმიზაცია სახელდება.

ნიკა გვარამია:

- ეს ჩვეულებრივი გადაწყვეტი-



ფაქტორის“ წამყვანის და „ბრავოს“ ექსპერტის ამბობუები. „ფეისბუქის“ პარალელურად გეგა პროგრამებისა და მარკეტინგის მენეჯერად რჩებოდა. მისი პირადი ცხოვრება კი მუდმივად ინტერესის საგანი იყო. გეგას პირველი ცოლი ეკა ზღულაძე გახლდათ. მეორე ცოლი კი რუსა გამყრელიძეა, რომელთანაც წლისა და ერთი თვის ქალიშვილი მიქელა ჰყავს. „კარიერისტი, პირდაპირი გაგებით, არც ერთი არ ვართ, უბრალოდ, რასაც ვაკეთებთ, ვცდილობთ, რომ საუკეთესოდ გავაკეთოთ და მგონი გამოგვდის, სახლშიც და სამსახურშიც.“ - ცოლთან ერთად ჩვენთვის მოცემულ ინტერვიოში ამბობდა გეგა.

„რუსთავი 2“-მდე „ჯგოსელი“ დიზაინერად მუშაობდა. მანამდე სხვა სფეროებში მუშაობის გამოცდილებაც აქვს. დღეს უშუშეგარია და როგორც ამბობს, ბანკის ვალე-

ბეგა ფალავანდიშვილი:

- კრედიტები რომ გაქვს აკიდებული, სამსახურიდან ნადირომ რომ გეტყვიან და თავში ძვა გისვლიან, მაგაზე მაღლობას არ უშვებინან. როგორც უნდათ, არ უნდათ, ნუ უნდათ. ალბათ, განიხილეს და კადრების ოპტიმიზაციას აკეთებენ. ჩვეულებრივი პროცესია, ზოგს უშვებენ, ზოგს ხელფასს აკლებენ...

„ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, წარმატება ვუსურვებთ და ღვიფარებ“

რომელიც არ ყოფილხარ...

- უფრო მნიშვნელოვანს ნახავენ. მე ჩემი გავაქეთე. მოხერხდა, ცვლილებები უნდათ. მე ფაქტი მომასხენეს და კარგით-მეთქი.

- როდის გაიგეთ ამ გადაწყვეტილების შესახებ?

- გასული კვირის ორშაბათს. HR-ისგან გავიგე და დირექტორსაც ველაპარაკე. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, წარმატება ვუსურვებთ და დავიშალეთ. ხუთშაბათს დავენერე, ხელფასი დამერიცხა-მეთქი. კომპ-



ენსაცისადაც მომცემენ (რამდენიმე თვის ხელფასს) და ასე ტკბილად წამოვედი.

- მოულოდნელი იყო?

- სამსახურიდან რომ გიშვებენ, ყოველთვის მოულოდნელია. მანამდე ყველაფერი მშვენივრად იყო. აღარ ვჭირდებოდი, ალბათ. ან სხვა გეგმები აქვთ. მე არ ვარ საჭირო. ნიკას უნდა ჰკითხოთ რა გეგმები აქვთ.

- არხიდან უშვებენ თანამშრომლებს?

- არ ვიცი. შეტყობინების ოფიციალური მიზეზი ეს იყო - ხარჯების ოპტიმიზაციას აკეთებენ. შესაბამისად, თანამშრომლებისაც. ნიკასთან

„საკაოდ ბევრი გავაკეთე, ბევრიც ვისწავლე. ახალი ავითვისე. მე უფრო მოგებულში ვარ, ბევრად“

გაარკვეით, მე სხვა რამ მეხებოდა ტელევიზიაში.

- შენი მოვალეობები ვის დაეკისრება?

- არ ვიცი. ალბათ, რამდენიმე ადამიანზე გადაანნილებენ. მე ერთად ბევრი რამ მეტარა. არა მგონია, ვინმე ჩემსავით გიჟი აღმოჩნდეს, ვინც ამ ყველაფერს ერთად აიკიდებს. მარკეტინგის, პროდუქციის შესყიდვა და პროგრამები მეტარა. ყველაფერს ჩემს ჭკუაზე არ ვაკეთებდი, განვიხილავდი და ისე კეთდებოდა. გარდა ამისა, ხან - „მოდო, წამყვანი იყავი“ და „ხან მოდი, ყოურის ნევრი“ იყავი.

- გულისტკივილი, წყენა გაქვთ?

- არა. მე რატომ უნდა მქონდეს? საკაოდ ბევრი გავაკეთე, ბევრიც ვისწავლე. ახალი ავითვისე. მე უფრო მოგებულში ვარ, ბევრად. მაღლობა ყველას ამ შვიდი წლისთვის, თანამშრომლებს, პარტნიორებს, არაჩვეულებრივ ხალხს კომპანიის შიგნიდან და გარეთ.

- ისვენებ?

- დასვენება მაინცდამაინც არ გამომივა. დიდი ოჯახი მაქვს და ბევრი კრედიტი მაქვს დასაფარი.

- რას ამბობ?

- უნდა დავანყო და დავგემო. გაიგებთ, ან არ გაიგებთ და ნახავთ. ტელევიზიაში არ დავბადებულვარ, მანამდე სხვაგანაც მიმუშავია და თანაც ბევრგან. რადიოდან და ტელევიზიიდან დანყოფილი დიზაინით და არქიტექტურით დამთავრებული, ბევრ სფეროში მიმუშავია, ბევრი სხვა რამეც შემიძლია. მოშვების დრო წამდვილად არ მაქვს. სამი ბავშვი, მშობლები, მოშვება არ გამოვა.

- „იქს ფაქტორს“ უგულშემატკივრებთ?

- ვუგულშემატკივრებ „რუსთავი 2“-ს. ამდენ ხალხთან ერთად ამდენი წელი რომ გამიტარებია და გვერდში მედგენენ, ყოველთვის გამინარდება მათი წარმატება. „იქს ფაქტორზე“ ჩემი წვლილი მეც შევიტანე. საკმაოდ ბევრი. კომპიუტერში შევხედავ.

„დასვენება მაინცდამაინც არ გამოვივა. დიდი ოჯახი მაქვს და ბევრი კრედიტი მაქვს დასაფარი“



როგორ კეთდება ფული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებით?

სკანდალური ფოტომასალა, რაც უამრავ საეჭვო კითხვას გადას



მარიამ ნადირაძე

როგორც აღმოჩნდა, თუ ფულის კეთება ვინმემ გადანყვიტა, აკრძალული წესების დარღვევაც „მოსულა“. „პრაიმტიმის“ გაარკვია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მრავალფეროვან სპექტრში, აღმოჩნდა ადამიანთა ის კონტინგენტიც, რომელსაც სახელმწიფომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი მიანიჭა და ბავშვთა სახლებში ბენეფიციარებად აღრიცხა.

მკითხველისთვის უფრო გასაგები რომ გახდეს, რასთან გვაქვს საქმე, ისტორიას პირდაპირ თხრობით დავიწყებთ:

დაახლოებით ორი თვის წინ სენაკის შშმ ბავშვთა სახლიდან რვა ბენეფიციარი კოჯორის ბავშვთა სახლში გადმოიყვანეს. მათ იქ დაატოვებინეს კარგად გარემონტებული და ადაპტირებული შენობა და გადმოიყვანეს იქ, სადაც გაუსაძლისი პირობებია. ამაში მკითხველი თავადაც დარწმუნდება, როდესაც „პრაიმტიმის“ მიერ გამოქვეყნებულ ფოტოებს შეხედავს. ამ ფოტოებმა გრძელი გზა გაშიარა და ჩვენთან პაციენტთა და მომხმარებელთა დაცვის ასოციაციიდან მოხვდა. არსებული პრობლემის შესახებ ჩვენს მკითხველს სწორედ ამ ასოციაციის ხელმძღვანელი, ნანა სანაია უამბობს:

– ეს ფოტო და ვიდეომასალა ჩვენს ასოციაციას სენაკის შშმ ბავშვთა სახლის ყოფილმა ბენეფიციარმა, ვახტანგ ჩიტიაშვილმა მოახლოვა. ის ამ სახლის აღსაზრდელი იყო. უკვე რამდენიმე წელია, თავის მეგობრებთან ერთად შშმ ბავშვთა უფლებებს იცავს. მისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, კოჯორის ბავშვთა სახლი წლების განმავლობაში სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. იმ დროს, როდესაც სენაკის ბავშვთა სახლისთვის გამოყოფილი მილიონი ლარით, ეს დაწესებულება გარემონტდა და კეთილმოეწყო. იმ დროს, როდესაც ამ სახლის ბინადრებს უკვე კარგად უნდა ეცხოვრათ კეთილმოწყობილ გარემოში, მოულოდნელად ის იკეტება და იქ მცხოვრები რვა ბავშვი გადაჰყავთ კოჯორში, სადაც ელემენტარული პირობებიც არ არის მათი ნორმალური ყოფა-ცხოვრებისთვის. ბუნებრივია, ეს ყოფილი ბენეფიციარი დაინტერესდა, რატომ გაუუარესდათ პირობები ბავშვებს, როდესაც, მათი გადაყვანა გამართლებული რომ ყოფილიყო, უკეთეს თუ არა, თანაბარ პირობებში მაინც უნდა აღმოჩენილიყვნენ, ვინაიდან კოჯორის ბავშვთა სახლი გაცილებით უარესად გამოიყურებოდა, ვიდრე სენაკის იყო გარემონტებამდე.

– საერთოდ, რატომ იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება?

– ამ ყოფილი ბენეფიციარების განმარტებით, ეს გადაწყვეტილება ერთადერთ მიზანს ემსახურება – ფულს!

– რას გულისხმობთ?

– შშმ ბავშვები კოჯორში გადაიყვანეს იმ მიზნით, რომ მოხდეს კოჯორის ბავშვთა სახლის დაფინანსება და არავინ არ ფიქრობს ამასობაში ამ ბავშვების ინტერესებზე. წარმოგიდგინათ, ხდება შშმ ბავშვებით სპეკულირება...

– იქნებ სენაკის ბავშვთა სახლის გაყიდვას გეგმავს სახელმწიფო?

– ის შენობა სრულიად ადაპტირებულია და მას სხვა ფუნქციით ვერ გამოიყენებენ. მაშინ უნდა დაანგრიონ და სხვა რამე ააშენონ.

– თუ კოჯორში მეტი ბენეფიციარი იქნება და რთულ პირობებში, ამაზე დამოკიდებული სახელმწიფოს მხრიდან მისი დაფინანსება?

– საქმეც ისაა, რომ გათვლა ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე სულაც არ არის. გათვლები ძირითადად არის უცხოურ ფონდებზე.

– ხომ არ იცით, სენაკის შშმ ბავშვთა სახლს რას უპირებენ?

– ეს შენობა, სავარაუდოდ, დროებით იქნება დაკეტილი, სანამ კოჯორი არ დაფინანსდება... ბუნებრივია, ამ ყოფილი ბენეფიციარების მიერ მოწოდებული მასალის გადამონშება გადაწყვეტილით, მაგრამ ვინაიდან კოჯორის ბავშვთა სახლის შინაგანანხით იქ შესვლისა და გადაღების უფლება არ გვაქონდა, მივმართეთ ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის სააგენტოს. აღმოჩნდა, რომ ამ სააგენტოს ხელმძღვანელი, პავლე კუბლაშვილის მეუღლე, მარი მესხი უკვე განთავისუფლებული იყო სამსახურიდან. მოვალეობის შემსრულებლადაც არავინ იყო დანიშნული. ამიტომაც მივმართეთ უშუალოდ ჯანდაცვის მინისტრს. შეგვხვდნენ წარმომადგენლები, რომლებიც დაგვიპირდნენ, რომ გვექნებოდა კომუნიკაცია შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან მას შემდეგ, რაც ის აღნიშნულ საკითხს შეისწავლიდა.

– ეს შეხვედრა უკვე შედგა?

– ჯერ მოლოდინის რეჟიმში ვართ, თუმცა გადაწყვეტილი, რომ სამინისტროს პარალელურად ეს ფოტომასალა თქვენი გაზუთისთვისაც გამოგვეცა ეს კოლეზიურად.

– თქვენი ნაამბობის მიხედვით, ირკვევა, რომ, როდესაც მიიღეს გადაწყვეტილება ბავშვების გადაყვანის შესახებ, მაშინ შესაბამის სააგენტოს კუბლაშვილის მეუღლე ხელმძღვანელობდა?

– დიახ, ასე იყო...

– მაშინ, თუ ჩანაფიქრი რეალურია და გამოზნულია ასეთი გზით კოჯორის ბავშვთა სახლის დაფინანსებაზე უცხოური ფონდიდან, მას ამის შესახებ ინფორმაცია უნდა ჰქონოდა?

– რა თქმა უნდა. თუმცა აქვე ვადასტურებთ, რომ ეს ეჭვი გაუჩნდათ სენაკის ბავშვთა სახლის ყოფილ ბენეფიციარებს, რომლებსაც საფუძველი ნამდვილად აქვთ.

აქვს თუ არა კავშირი შშმ ბავშვების სკანდალთან პავლე კუბლაშვილის მეუღლეს?



ნანა გიორგაძე: „როცა სკოლაში მოვედი, ტერიტორია უკვე გასხვისებული იყო და იქ უკვე ფუნქციონირებდა სუპი ბარი“

● ირინა მჭედლიშვილი: „გასხვისებულ ტერიტორიაზე იყო სკორტული დაკბახი, შენობა იღბა, რომლის ვიცი. სამსახურად, ამ შენობიანად გაიყიდა...“

● მედია ქოქრაშვილი: „ადრე ეკუთვნოდა თუ არა სკოლას აღნიშნული ტერიტორია, ფაქტია, რომ ამ ეტაჟზე აღარ ეკუთვნის ის სკოლას“

გია სალუქვაძის განცხადებით, მასალაში უკვე გამოთხოვილია და მათი შესწავლის შემდეგ დეტალების განხილვის და დაწყება...

ხათუნა მაგლობლიშვილი

სკოლების ტერიტორიების შევინაროების ხარჯზე მალაღსართულიანი კორპუსები აშენდა, დღესაც აქტიურად გრძელდება. წინა ხელისუფლების დროს უკანონოდ გაცემული ნებართვების პრობლემა მერიამ ორწლიანი მუშაობის შემდეგაც ვერ მოაგვარა. როგორც საკრებულოს წევრები ამბობენ, წარმართის უწყების წარმომადგენლები პირად საუბრებში ნუნუნებენ, უამრავი უკანონო ნებართვა გვაქვს გასაუქმებელი, თუმცა ნუნუნის იქით ვერ არავინ ნასულა. ყოველ შემთხვევაში აქამდე და როგორც ირკვევა, სკოლების მიწაზე საცხოვრებელი კორპუსების აშენება ყველაზე კარგი გამოსავალია, რადგან არის შემთხვევები, როდესაც სკოლას ორ ნაბიჯზე სუპი ბარი, საწყობი ან სულაც კლუბი ამორებს.

პრობლემის შესახებ სოციალურ ქსელში ბევრი ადამიანი წერს, საკითხის გარკვევას ითხოვს და საკუთარ ინფორმაციებსაც ავრცელებს. ისინი სკოლების უკვე ყოფილ ტერიტორიებზე წამოწყებულ სამშენებლო პროცესებსაც ადევნებენ თვალყურს და უმეტესი მათგანი სურათების სახით ფაქტებსაც აქვეყნებს, სადაც კარგად ჩანს, რომ სკოლის ტერიტორიაზე, იქ, სადაც ადრე ღია მოედანი, სპორტული დარბაზი ან, უბრალოდ, ეზო იყო, დღეს სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს.

„პრაიმტიმში“ მსგავსი პრობლემის მქონე სკოლების დირექტორებს ესაუბრა. მათი უმრავლესობა აცხადებს, რომ თანამდებობებზე ახალი დანიშნულია, ტერიტორიის გასხვისება კი მათი წინამორბედი დირექტორების დროს მოხდა, შესაბამისად, დღეს საკითხის მწვავედ დაყენების აზრს ვეღარ ხედავენ.

ნანა გიორგაძე, 52-ე საჯარო სკოლის დირექტორი:

— ამაზე საუბარი დავთანხმებულა, ტერიტორია უკვე გასხვისებულია. გასხვისება მოხდა ნაციონალების ხელისუფლების დროს, როგორც ვიცი, მაშინ განათლების მინისტრი მაშკინი იყო. უკანონო გასხვისება იყო თუ კანონიერი, ფაქტია, რომ ტერიტორია გასხვისებულია, იქ უკვე შენობები აშენებულია და სხვადასხვა ორგანიზაციები მუშაობს. უმჯობესი იყო, თავის დროზე ჩართულიყო ყველა საჭირო უწყება, რომ გასხვისება არ მომხდარიყო. მე სკოლის დირექტორად შექტემბრიდან დავინიშნე, ანუ

როცა მე მოვედი, ტერიტორია უკვე გასხვისებული იყო და იქ უკვე ფუნქციონირებდა სუპი ბარი.

— იმ ტერიტორიაზე სპორტული დარბაზი იყო განთავსებული?

— ტერიტორია სკოლის ეზო იყო. იგივე მოსაზრებას იზიარებს 122-ე საჯარო სკოლის დირექტორიც. სხვათა შორის, 122 საჯარო სკოლის საკითხი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც გასხვისებისა და მშენებლობის ნებართვა ხელისუფლების მეცვლის შემდეგ, 2014 წელს არის გაცემული. თუმცა არა დავით ნარმანიას მერობის დროს, არამედ მის არჩევამდე თვეებით ადრე — 2014 წლის ივნისში. ნარმანიამ კი თანამდებობა ოფიციალურად 2014 წლის 2 აგვისტოს დაიკავა.

მედია ქოქრაშვილი, 122-ე საჯარო სკოლის დირექტორი:

— მე ახალი დირექტორი ვარ, სექტემბერში დავინიშნე. აქედან გამოდინარე, ტერიტორია ჩვენი სკოლის საკუთრებაში აღარ არის, არც საკადასტრო რუკაზეა აღნიშნული, შესაბამისად, მე ვერაფერზე გიანასუხებთ.

— თუმცა ეს ტერიტორია თქვენი სკოლის საკუთრება იყო...

— ადრე ეკუთვნოდა თუ არა აღნიშნული ტერიტორია სკოლას, ფაქტია, რომ ამ ეტაჟზე ის სკოლას აღარ ეკუთვნის.

ყველაზე მეტად მაინც 126-ე საჯარო სკოლა დაზარალდა. სკოლასთან ძალიან ახლოს მ²-ის საცხოვრებელი კორპუსი იქნება, სკოლის მოსწავლეების

განცხადებით, ძალიან მსუსკოლასთან მანქანით მისვლა შეუძლებელი გახდება სწორედ მშენებლობის გამო.

ირინა მჭედლიძე, 126-ე საჯარო სკოლის დირექტორი:

— როდესაც ეს ტერიტორია გაიყიდა, მაშინ სხვა დირექტორი იყო, დეტალები მე ნამდვილად არ ვიცი. ამჯერად ნამდვილად მიმდინარეობს მშენებლობა ამ ტერიტორიაზე.

— ტერიტორია თქვენი სკოლის საკუთრება იყო...

— მე ახალი დანიშნული ვარ, ვიცი, რომ ქონების მართვის სამსახურმა და ეკონომიკის სამინისტრომ გააციოდა.

— სკოლა იყენებდა ამ ტერიტორიას?

— იმ ტერიტორიაზე სპორტული დარბაზი იყო, შენობა იდგა, როგორც ვიცი. სამუხაროდ, ამ შენობიანად გაიყიდა. იმ ტერიტორიაზე ასევე იყო ღია სპორტული მოედანი, რომელიც შემდეგ ჩვენს მხარეს გადამოიტანეს.

— ამ ეტაჟზე სკოლას სპორტული დარბაზი აქვს?

— დარბაზი არ გვაქვს, სამუხაროდ. ჩვენ გვაქვს სპორტული მოედ-

ალეკო ელისაშვილი: „მერიის ახალი შიგანადაც თითქმის ყოველდღიურად ფაქტობრივად ნაციონალების მიერ დატოვებულ ნაღებზე“

ანი, რომელიც მშენებლობის დანების შემდეგ სკოლის მხარეს გადამოიტანეს. საკუთარი ძალებით, სკოლის ტერიტორიაზე გამოყვანილი ადგილი, ამ მხრივ, პრობლემები ნამდვილად გვაქვს. თუმცა ვგეგმავთ რაღაცებს და ვნახოთ, რა გამოგვივა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ყველა თაობა საქართველოსთვის“ უკანონოდ გასხვისებული ზაგაბალების საკითხის დაყენების შემდეგ პროკურატურისგან უკვე სკოლებისთვის უკანონოდ ჩამორთმეული კუთვნილი ტერიტორიების საკითხის შესწავლას ითხოვს. ორგანიზაციის ხელმძღვანელის, გია სალუქვაძის განცხადებით, მასალები უკვე გამოთხოვილია და მათი შესწავლის შემდეგ დეტალების განხილვის დაწყება...



გია სალუქვაძე

სტადიონს ჩვენ გავეუკეთებთ სკოლასო, მაგრამ რატომ უნდა აშენებული იყოს სკოლის ტერიტორიაზე ახლანა კორპუსი? ძალიან ცუდი რაღაცები ხდება, ამ მხრივ, და სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება პრობლემის გამოსწორება.

— ეს რაც შეეხება აშენებულ კორპუსებს, არის შემთხვევები, როდესაც მშენებლობები ახლა იწყება ან ახალი დაწყებულია და მათი შეჩერება მაინც ხომ შეიძლებათ?

— თუ წინასწარ გვექნება ინფორმაცია, სად იწყება ასეთი უკანონო მშენებლობა, რა თქმა უნდა, ეს ყველასთვის კარგი იქნება. საკრებულო და პირადად მე განსაკუთრებით ყურადღებით ვიქნებით, რომ მსგავსი ნებართვების გაუქმებაზე ვიზრუნოთ. ზოგადად, წინა ხელისუფლების დროს გაცემული უკანონო ნებართვები ძალიან სეროიული პრობლემად რჩება, მერის ამ ხნის განმავლობაში არ აღმოაჩნდა ძალა, რომ ასეთი ნებართვები გაუქმებინა. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უამრავი „ნაღმ“ დაუტოვა ახალ ხელისუფლებას უკანონო სამშენებლო ნებართვების სახით. მერიის ახალი შემადგენლობა თითქმის ყოველდღიურად ფაქტობრივად ნაციონალების მიერ დატოვებულ ნაღებზე. სამუხაროდ, მათ არ ჰყოფნიან ძალა, რომ პრევენცია გააკეთონ და ეს პრობლემა მოავადონონ, უბრალოდ, გამოსულიყვენ და გაუქმებინათ ქალაქისთვის მანეგერი ნებართვები, თუმცა ამას ძალა სჭირდებოდა და სამუხაროდ, მერიას ეს ძალა არ აღმოაჩნდა.

— ფიქრობთ, რომ მერიას ამის სურვილი ჰქონდა?

— ფაქტია, რომ ქალაქისთვის საზიანო ვერც ერთი სამშენებლო ნებართვა ვერ გააუქმა მერიამ. ვფიქრობ, ეს შედეგი ულონობის შედეგია. ახალმა შემადგენლობამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ეს პრობლემა, ადრე თუ გვიან, იფეთქებდა. ისინი პირად საუბრებში ნუნუნებდნენ კიდეც, ვამერა გვეუწყებოდა, უამრავი უკანონო ნებართვა გასაუქმებელი... თუმცა რეალურად ვერაფერც ვერ გააუქმეს. შესაძლოა, ამ პროცესში ჯოჯია ბოლოკიების მსგავსი თანამშრომლები კი იყვნენ ჩართულები...

ვის ახვირებს ნამგებნიანი საა

EXCLUSIVE



რა საკადრო გადაადგილება მოჰყვება სპანდალურ დაჭერას ჯანდაცვის სამინისტროში?

მარიამ ნადირაძე

როგორც ჩანს, დღეს ქრთამის აქტუალობა მხოლოდ მერიით არ შემოიფარგლება. ამას წინათ ჯანდაცვის სამინისტროში ერთ-ერთი მალაქინოსანი დააკავეს იგივე ბრალდებით. მართალია, ამ შემთხვევაში საქმე მრავალათასიან სიკეთესთან არ გვექონია, მაგრამ სამართავლოს უფროსი რომ 2500 ლარად „გაფუჭდა“, ბუნებრივ ეჭვს აჩენს, რომ ეს ერთჯერადი ფაქტი არ იქნებოდა... ამ ამბავმა სისტემაში ბევრს აფიქრებინა, რომ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს უფროსს, თავის დროზე ნაციონალურ სელისუფლების მიერ ორდენით დაჯილდოებულ გია თვალავაძეს წყაღს უყენებენ, ვინაიდან დაკავებული ბეჭანიძე სწორედ თვალავაძის დაქვემდებარებაში გახლდათ...

„პრაიმტიმის“ დაინტერესდა იმ პროცესებით, რაც დღეს ჯანდაცვის სამინისტროში მიმდინარეობს და ინტერვიუ სთხოვა ადამიანს, რომელიც დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინათ თვალავაძის უწყებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან, ლიცენზირების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. ვანო ფოცხვერაშვილისგან ჩვენი მკითხველი მეტად საინტერესო ისტორიებს შეიტყობს ჯანდაცვის სისტემაში კურსულ-ჯგუფელობით ნანარმოები პოლიტიკის, კერძო ინვესტიორებთან შესაძლო გარიგებებისა და დაკვეთილი სადამსჯელო ღონისძიებების შესახებ...

ვანო ფოცხვერაშვილი:
- ქრთამის ეს ფაქტი სააგენტოში ერთადერთი სულაც არ არის. რამდენიმე წლის წინათ, ჩემი ყოფილი მოადგილე, ზაზა კოპლატაძე თვალავა-

ძემ თავის მოადგილედ გადაიყვანა წამლის დარგში და ერთ თვეში ქრთამზე დაუჭირეს. ამის მიუხედავად, 2004 წლიდან ეს ადამიანი მაინც რჩება სამინისტროს ერთ-ერთი საკვანძო სფეროს ხელმძღვანელად. 2013 წელს ერთ-ერთმა არასამთავრობო გამსავლოვმა მასალაზე, რომლის მიხედვითაც გამოვლინდა საავადმყოფოებზე უკანონოდ გაცემული ლიცენზიები. ამ დეპარტამენტს მე ვხელმძღვანელობდი მაშინ. აღმოვაჩინე, რომ ყველა საავადმყოფოს ჰქონდა ლიცენზია, რომელსაც მე უარს ვეუბნებოდი. სააგენტოში თურმე ორ ჟურნალს ანარმობდნენ და ჩემს ზურგს უკან აკეთებდნენ ამას. მაშინ მე მინისტრს მივხარეთ განცხადებით და მივხარე: „მთელი გულწრფელობით ვაცხადებ, რომ არაფერი მაკავშირებს ამ კანონდარღვევებთან, სრულად ვემიჯნები მას და ვაცხადებ, რომ ეს არის ჩემი დეპარტამენტის თანამშრომელთა ზურგს უკან ბინძური და ქურდობაცემული მოქმედება. ამ ქმედებების სამართლებრივი შეფასება ჩემი კომპეტენცია არ არის, მაგრამ ზნეობრივად და, უბრალოდ, ადამიანურად, სხვის ზურგს უკან დამალულად ხელების ფათური არის არაკაცური საქციელი და ამის გამკეთებელი არის არაკაცი... ჩემი ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, თანამდებობის შენარჩუნების მიზნით, სიბინძურეზე და არაკაცობაზე თვალის დახუჭვა არ შემიძლია, ჩემი ადგილი სიბინძურისა და არაკაცობის გვერდით ვერ იქნება...“ ველოდი, რომ მინისტრი დამიძახებდა და მიზეზებს მკითხავდა... არც კი დაინტერესებულა. თვალავაძე არასამთავრობოებთან ერთად არაერთგზის ვამხილე მთელი რიგ დანაშაულებში. თუ მართალი იყო, რატომ არ მიჩივლა? მაგრამ მას ურჩევნია, ჩაყლაპოს ეს, ოღონდ სამართალდამცველების ყურადღება



ვანო ფოცხვერაშვილი

არ მიიქციოს, რადგან ამ შემთხვევაში არამხოლოდ უკანონო ლიცენზიების, კიდევ სხვა მრავალი დანაშაული გამოჩნდებოდა. დღეს მორიგ ვაცხადებას ვაკეთებ და ვაცხადებ, რომ იგივე დანაშაულს თვალავაძესთან ერთად სწადიოდა მისი მოადგილე, თემურ პირველაშვილი. იმედია, მას მაინც ექნება ღირსება და თავისი „სამართლის“ დასამტკიცებლად მომთხოვს პასუხს სამართლებრივი გზით. საინტერესოა, როგორ აპირებს სერგეენკო სამართლიანობის აღდგენას თავის უწყებაში, როდესაც ერთ-ერთი საკვანძო თანამდებობაზე ჰყავს კაცი, რომელიც არც არასდროს მალავდა, რომ ადგილმდებლის კადრი იყო...

- ადგილმდებლის? აქამდე ვიცოდით, რომ გია თვალავაძე ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის, ლადო ჭიპაშვილის კურსელი იყო და თავის დროზე, სწორედ მან მიანიჭა განსაკუთრებული უფლებები...
- ის ჭიპაშვილის ჯგუფელი იყო. კურსელი სერგეენკოა. ჭიპაშვილი რომ წავიდა, პატრონი სჭირდებოდა და იშოვა კიდევ ადგილმდებლის სახით. ის არც მალავდა, რომ ნახევარ დღეს პროკურატურაში, ან კუდში ატარებდა.
- რატომ?
- იქ თანხმდებოდა პოლიტიკური საკითხები. ეს სააგენტო იყო მთავარი დამსჯელი ორგანო სამედიცინო სფეროში. ჯანდაცვის კუდი და სოდი იყო ხარისხის კონტროლის სამსახური ამ სააგენტოში. საავადმყოფოსა და ექიმს სხვა ვერავინ სჯის. ეს უფლებები თავის დროზე ჭიპაშვილმა მისცა თვალავაძეს, როცა ეს სააგენტო შეუქმნა. თუ რომელიმე ექიმი ოპოზიციურად აზროვნებდა, შეეძლოთ, ვინმესთვის საჩივარი დაენერინებინათ და ყველაფერი მოგვარებული იყო. ეტყობა, კარგად ასრულებდა ამ დავალებებს თვალავაძე, რადგან ღირსების ორდენითაც დააჯილდოეს მაშინ. განა თავად ის

საავადმყოფო, რომელსაც სერგეენკო ხელმძღვანელობდა, თვალავაძის სააგენტომ არ დააჯარიმა? ასეთი ჯარიმა, მისი ნახევარიც კი არც ერთი საავადმყოფოსთვის არ დაუდიათ არასდროს. ყველაზე დიდ საავადმყოფოებს 3, 4, 5 ათასით აჯარიმებდნენ. საჩხერის საავადმყოფოს კი 82 ათასი დაადეს. ეს მოხდა 2012 წლის დასაწყისში, ყველაზე ცხელ პოლიტიკურ პერიოდში.
- მერე, ახლა როგორ გრძნობს თვალავაძე თავს სერგეენკოს დაქვემდებარებაში?
- გადასარევედ. იმ ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელმაც უშუალოდ დააჯარიმა საჩხერის საავადმყოფო, თვალავაძის მარჯვენა ხელი, მარცხენი დარჩენილი ნაწილიყვანა და ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსად დანიშნა. გაუგებარია, თუ დაჯარიმება პოლიტიკური გადანაცვლებით მოხდა, მაშინ ამ ხალხს რატომ აჩერებს და უფრო მეტიც, აწინაურებს? თუ ობიექტურად დაჯარიმდა, მაშინ ეს ადამიანი როგორ მიხედავს სამინისტროს, როცა ერთ საავადმყოფოს ვერ მიხედა?

- იქნებ სწორედ ახლა აპირებს ანგარიშების გასწორებას სერგეენკო, როცა თვალავაძის სააგენტოში სამმართველოს უფროსი ქრთამზე დაიჭირეს?
- ეს სერგეენკოს არ გა-

უკეთებია. ქრთამის ფაქტი შესს-ანტიკორუფციულმა სამსახურმა გამოავლინა. სამი ადამიანი დაიჭირეს, ერთ-ერთი იყო მალაქინოსანი, ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი გიორგი ბეჭანიძე, რომელსაც ევალბობდა, შემომომბინა, რამდენად კანონიერად ხდებოდა ინვალიდობის ჯგუფის დასადგენად კლინიკებში შესაბამისი ფორმების შევსება. ამ ადამიანმა კი პირიქით, 2500 ლარის ქრთამის საფასურად თავად დაავალა ერთ-ერთი კლინიკის ხელმძღვანელს ყალბი ფორმის გაცემა, იმისთვის რომ ერთ-ერთ მოქალაქეს ინვალიდობის მეორე ჯგუფი დამტკიცებოდა. იმის მაგივრად, რომ სერგეენკო დაინტერესებულიყო, რომ ყველაფერი დაზერილებით გამოიძებულიყო და დადგენილიყო, ხომ არ ჰქონდა ადგილი სხვა მსგავს ფაქტებსაც, პირიქით, ძალიან ცდილობს, რომ თვალავაძე გადაარჩინოს. ის დაკავებულები სასამართლომ გირაოთ გამოშვებ. როგორ ფიქრობთ, მათი გარეთ ყოფნა გამოიძებს ხელს არ შეუშლის? ეს ხალხი არ შეეცდება, სხვა ფაქტების მტკიცებულებები გაანადგუროს? მე, რა თქმა უნდა, სულაც არ ვარ მომხრე ვინმეს ციხეში ყოფნით, თუმცა ნამდვილად ინვესტ ჩემში გააკვირვებას სამინისტროს პოზიცია, რომელმაც საკუთარ საიტზეც

„შე დავოცვილო, ნამგებნიანი რომ გამოიხიდი, ვის უკეთეს საქმეს, ინვესტორს, რომელსაც მხოლოდ მამგებნიანი რჩება? სახელმწიფოს კი აკვირე ზედმეტი ტვირთი“

ჟენია მერაბიშვილს პროკურატურაში დაიბარებენ?!

EXCLUSIVE

მირიან ბოქოლიშვილი

პროკურატურაში შექმნილ სამართლიანობის აღდგენის დეპარტამენტში ათასობით საქმეა შესული, თუმცა ეს ისტორია სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ ბიზნესმენის დაპატიმრებაში საკუთარი „მოკრძალებული“ წვლილი შინაგან საქმეთა მინისტრის დედამ შეიტანა. საუბარია ბიზნესმენ სერგო ბერიძის დაპატიმრებაზე, რომელიც ვანო მერაბიშვილის დედისთვის 20 ათასი აშშ დოლარის გამოძალვამ დაადასტურა.

„ჟენია მერაბიშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ ლუხუმ კაპანაძე და გელა გიგოლაშვილი ბათუმში კაფეში მუშაობდნენ. მივედი დასახლებაში კაფეში და დავინახე, რომ იქ იჯდა ორი მამაკაცი. მათ მითხრეს, რომ იქვე დავმჯდარიყავი და ჟენია მერაბიშვილს დაველოდე. ამ პროცესში კაფეში შემოვიდა დაახლოებით 100-მდე ნიღბიანი ადამიანი, რომლებმაც დამაკავეს. ფული, 20 ათასი აშშ დოლარი, იქვე მაგიდაზე დადეს, ვიდუკამერით გადაიღეს და მერე განაცხადეს, რომ თურმე ვანო მერაბიშვილის დედას გამოუძალვე ეს თანხა“, – ყვება სერგო ბერიძე, რომელიც 2009 წლის 29 თებერვალს ბათუმის საქალაქო სასამართლომ გამოძალვის ბრალდებით დამნაშავედ ცნო და 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. მოგვიანებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სასჯელი ერთი წლით შეუმსუბუქა.


რას გადანყევებს, ბადაშვილის უწყებაში შექმნილი სპეციალური დეპარტამენტი, მანამდე კი ჩვენს მკითხველს გავაცნობთ, რა უძლოა წინ ბათუმელი ბიზნესმენის დაპატიმრებას.

ყველაფერი 2005 წელს დაიწყო, როდესაც აჭარის მთავრობასა და სერგო ბერიძეს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც 49 წლის ვადით ბიზნესმენს სარგებლობაში გადაეცა ხელვაჩაურის რაიონში არსებული შპს „ახალსოფლის მეცხოველეობის კომპლექსი“, რომლის დამფუძნებელი სახელმწიფო იყო. „ალნიშნულ სანარმოში მე და ჩემმა პარტნიორებმა დაახლოებით 2 მილიონი აშშ დოლარი დავხარჯეთ. ჩვენი ხარჯებით ავაშენეთ სამკერვალო სანარმოს შენობა (რომელშიც დაზავა-დანახდარები უცხოელმა ინვესტორმა შემოიტანა), ქათმებისა და ღორების ფერმა. სანარმოს ტერიტორიაზე ასევე ავაშენეთ ბენზინგასამართი სადგური, სასტუმრო, პურის საცხობი საამქრო, საზოგადოებრივი კვების ობიექტი, სუპერმარკეტი, სანარმოს ადმინისტრაციული შენობა, მაღალი ტვირთის გადაზიდვით ავტომანქანების სადგომი. ღორების ფერმისთვის შევიძინეთ 200 სული ლანდრასის ჯიძის ღორი.“

სანარმოში მუშაობდა 336 ადამიანი. ასევე, ვაპირებდით ქათმების სანარმოს გაფართოებას 20 ათას ფრთა ქათამზე, სადაც პარტნიორი იყო ნიაზ დიასამიძე და მასთან ერთად 3 თურქი ბიზნესმენი. პარტნიორებთან ერთად სურვილი გამოვთქვი, რომ ტერიტორია გამეღვიძინებო, რომ გვექონდა ალექსანდრე ივანიშვილის შემთხვევაში მეგვე-



„20 ათასი აშშ დოლარი იქვე მაგიდაზე დადეს, რომ თურმე ვანო მერაბიშვილის დედას გამოუძალვე ეს თანხა“



„ამის შედეგად ჯენოლა უზუალოდ სერგო ბერიძის მიმართ დაიწყო. როგორც თავად ამბობს, ვანო მერაბიშვილმა მის შესაძინებლად ხელვაჩაურის კუდ-ის უფროსი დირექტორი გაქარაძე მიუგზავნა, რომელმაც ლიად უთხრა, რომ ამ ტერიტორიას ყიდულობს მერაბიშვილის ხალხი.“

ყიდა. მაშინდელ ხელისუფლებას სურდა, ალნიშნული ტერიტორია გაესხვისებინა და სწორედ ამ მიზნით 2005 წლის 30 ნოემბერს გამოაცხადეს აუქციონი. მე და ნიაზ დიასამიძემ გადავწყვიტეთ, აუქციონში მიგველო მონაწილეობა. აუქციონის გამართვამდე ერთი დღით ადრე, 29 ნოემბერს ნიაზ დიასამიძემ დამირეკა და შეხვედრა მითხოვა. როცა შეხვედი, ნიაზმა მითხრა, რომ ვანო მერაბიშვილის ხალხი დაემუქრა და ურჩია, აუქციონში მონაწილეობა არ მიელო, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიღობო მოუკლავდნენ. მითხრა, რომ ის ვეღარ მიიღებდა აუქციონში მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ ნიაზ დიასამიძე შეამინეს, მე არ ვაპირებდი უკან დახევას და ვვგებამედი აუქციონში მონაწილეობას.“ – ყვება ბიზნესმენი.

ამის შემდეგ ზენოლა უზუალოდ სერგო ბერიძის მიმართ დაიწყო. როგორც თავად ამბობს, ვანო მერაბიშვილმა მის შესაძინებლად ხელვაჩაურის კუდ-ის უფროსი დირექტორი გაქარაძე მიუგზავნა, რომელმაც ლიად უთხრა, რომ ამ ტერიტორიას ყიდულობს მერაბიშვილის ხალხი.

„მე არ შევეშინდი და მანაც მივიღე მონაწილეობა. აუქციონი იმართებოდა“

ეკონომიკის სამინისტროში, შენობას 100-მდე პოლიციელი იცავდა. აუქციონში, ჩვენ გარდა, არავინ მონაწილეობდა, თუმცა უცებ გამოჩნდა 20 წლამდე ასაკის გოგონა, რომელმაც აუქციონში მონაწილეობა გადანყვიტა. ეს გოგონა ძალიან ნერვიულობდა. აუქციონის მიმდინარეობის დროს ცუდადაც გახდა და სასწრაფო გამოიძახეს. სწორედ ამ მიზეზით ჩაიშალა აუქციონი. იქ უამრავი ხალხი იყო, ერთ-ერთმა მითხრა, ისინი მერაბიშვილის ხალხი იყვნენ და ალნიშნული საქმე „ბათფარმის“ დირექტორთან გამეზაკვა. შეხვედი „ბათფარმის“ დირექტორს, გელა გიგოლაშვილს, რომელმაც მითხრა, – ჩვენ ვართ ვანო მერაბიშვილის მეგობრები, ნაღი თბილისში, დაელაპარაკე ლუხუმ კაპანაძეს და მას მოახსენე პრეტენზიებიო. კაპანაძეს მართლაც შეხვედი თბილისში. მან მითხრა, რომ ისინი დამბრუნებდნენ ჩემ მიერ გადახდილ თანხას და ყველა დასაქმებული შეინარჩუნებდა სამსახურს. მეორე დღეს გადმომირიცხა 85 ათასი ლარი. ხუთი დღის შემდეგ კვლავ შეხვედი ბათუმში და დამპირდა, რომ სრულად დამბრუნებდნენ დახარჯულ თანხას.


ამის შემდეგ 6-7 თვე ისე გავიდა, აღარავინ გამოჩენილა. ჩვენ ვაგრძელებდით მუშაობას, შემდეგ კი შსს-ს ნა-

რმომადგენლები მომადგნენ, რომ ტერიტორია დაგვეტოვებინა, პარალელურად აუდიტი შემოვუშვეს.

ჩავედი თბილისში. 3 დღე ველოდებოდი ლუხუმ კაპანაძესთან შეხვედრას, მაგრამ უშედეგოდ. გადავწყვიტე, გელა გიგოლაშვილს („ბათფარმის“ დირექტორს) შეხვედროდი. შეხვედრას ესწრებოდა დაცვის უფროსი სოსო შელია და ეკონომიკის მინისტრის მოადგილე თამაზ მღებრიშვილი. გელამ მითხრა, როგორ ვერ ხვდები, ჩვენ უკან ვანო მერაბიშვილია და დაგჭვრენო. ალნიშნულის გამო მოგვიხდებოდა შეხლა-შემოხლა. ამის შემდეგ გადავწყვიტე პირადად ვანო მერაბიშვილთან შეხვედრა. ვიცნობდი ვანო მერაბიშვილის ერთ-ერთ ნაცნობს, გიული შავაძეს, რომელმაც ჩემი შვილი შეახვედრა ჟენია მერაბიშვილს (ვანო მერაბიშვილის დედა). ის დაპირდა, რომ ერთ კვირამი შეხვედბოდა ვანოს და საქმეს მოავგვარებდა. ერთი კვირის შემდეგ მირეკავს ვინმე მამუკა მახარაძე და მეუბნება, – ბიჭო, ლუხუმ კაპანაძე არის ქუდიის ტოლი კაცი და როგორ ჩაუშვიო. სამ დღეში შეხვედბა და მოგვიგვარებს საქმესო“, – აცხადებს სერგო ბერიძე.

ამის შემდეგ არა თუ საქმე მოგვარეს, არამედ პირიქით, ციხის გზას გაუყვეს. ბერიძის დაპატიმრების ოპერაციაში წვლილი შეიტანა თვით ჟენია მერაბიშვილმა, რომელიც ბიზნესმენს ტელეფონით დაუკავშირდა და ბათუმის ერთ-ერთ კაფეში ურჩია მისვლა. კაფეში მიტყუებული ბერიძე იქვე დააპატიმრეს.

„ამ ყველაფრის გამო ვიმყოფებოდი უკანონო პატიმრობაში. ამიტომაც მოვიტხოვე ჩემი საქმის გამომძიებლების, პროკურორებისა და სხვა პირების კანონის შესაბამისად დასჯას და მიყენებული ზიანის ანაზღაურებას“, – ამბობს სერგო ბერიძე. სავარაუდოდ, ამ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურაში დაკითხვაზე ვანო მერაბიშვილის დედას გამოიძახებენ. დიდი ალბათობით, ჩვენების მიცემას არ აპირებს ლუხუმ კაპანაძე, რომელიც მერაბიშვილის ახლო მეგობარი და მისი კლასელი გახლავთ. მას „ბათუმის ფარმაცევტული ქარხნის“ საქმესთან დაკავშირებით ბრალი აქვს ნარდგენილი და მიმალვაში იმყოფება. კაპანაძის კუთვნილი კომპანია „ნიუ ენერჯი“ კი, რომელიც წინა ხელისუფლების დროს უმსხვილეს სახელმწიფო შეკვეთებს ასრულებდა, 2012 წლის არჩევნების შემდეგ გაკოტრების რეჟიმში გადავიდა.



სერგო ბერიძე
ბერიძის დაპატიმრების ოპერაციაში წვლილი შეიტანა თვით ჟენია მერაბიშვილმა, რომელიც ბიზნესმენს ტელეფონით დაუკავშირდა და ბათუმის ერთ-ერთ კაფეში ურჩია მისვლა. კაფეში მიტყუებული ბერიძე იქვე დააპატიმრეს

„ნიაზმა მითხრა, რომ ვანო მერაბიშვილის ხალხი დაემუქრა და ურჩია, აუქციონში მონაწილეობა არ მიელო, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიღობო მოუკლავდნენ“

Fly With us!
იფრინეთ ჩვენთან ერთად!

ავიაკომპანია

„ჯორჯიან ეარვაისი“

აცხადებს საგაზაფხულო აქციას:
მიმდინარე წლის 23 თებერვლიდან

15 აპრილის ჩათვლით

ავიაკომპანიის ყველა პირდაპირ

საერთაშორისო რეისზე ავიაბილეთები

გაიყიდება 30% ფასდაკლებით.

გისურვებთ სასიამოვნო ფრენას



Georgian Airways

ჯორჯიან ეარვაისი

მინის შესახებ კანონი იცვლება



ვის ექნება ქართული მინის ყიდვის უფლება და რა პირობებით



სასწრაფო დახმარება ქალაქის მერს ღავრით სერბეენკოსგან

ღავრით სერგეენკო: „ამ კვირის ბოლოს გვექნება სრულიად ახალი სამოქმედო გეგმა, რომელიც მნიშვნელოვნად გამოასწორებს სასწრაფოს მუშაობას“

EXCLUSIVE

ვის არის „საქართველოს რკინიგზის“ სამართალმემკვიდრე



ვის ხელში აღმოჩნდება რკინიგზის 25%-იანი ნილი

EXCLUSIVE

რატომ მცირდება ჩვენს ქვეყანაში დღითი დღე ტურისტების რაოდენობა



„ტურიზმის ადმინისტრაციამ უფრო მეტი მარკეტინგული ნაბიჯი უნდა გადადგას, რომ ქვეყანა, როგორც ტურისტული ბრენდი, წარდგეს საერთაშორისო ბაზარზე“

EXCLUSIVE

ქალი, რომელიც ყველაზე რთულ სასაქონლო დავალებას ასრულებს



პერსონა EXCLUSIVE ქეთი ბოჭორიშვილი

რა მოგვკლავს

სიცოცხლისთვის საშიში გამონახობები თუ სავალდებულო ტექდათვალიერება? EXCLUSIVE



„ამ სფეროში ინვესტორების ინტერესი ნაკლები იყო, მიუხედავად იმისა, რომ მიწების გასხვისება შეუზღუდავი გახლდათ“

ლელა ნიკლაური
ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ შესაძლებელია უცხოელებზე მიწის შეუზღუდავად გასხვისება. ეს იმით, რომ მორატორიუმს ვადა გასული წლის 31 დეკემბერს გაუვიდა. ახალი კანონპროექტი კი დღეუტაბტებს ჯერ არ დაუმტკიცებიათ. პარლამენტში დარგობრივი კომიტეტის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს განიხილავენ, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ კანონში უცხოელებზე გასხვისების კრიტერიუმებსა და ახალ მიდგომებს აწესებს. ამ კანონპროექტს განიხილავენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ კანონპროექტი ბიუროკრატიულ ბარიერებს შეიცავს. ყველაზე აქტიური, ამ მხრივ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“.

ნაკვეთს, ეს კიდევ უფრო გართულებული მოცემულობაა. გარდა ამისა, რომ იურიდიული პირების შემთხვევაში საქართველოში უნდა იყოს დაფუძნებული იურიდიული პირი და მისი 50-ზე მეტი წილის მფლობელიც საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს.

„თუ გვინდა, ინვესტიციების შემოსვლას ხელი შევუწყვიტოთ, ეს კანონპროექტები არ განაპირობებს ამას“, – აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“.

ნოდარ ჭიჭინაძე, ახალგაზრდა ფინანსისტა ასოციაციის ხელმძღვანელი:

– პარლამენტში მუშაობენ კანონპროექტზე, რომელიც ახალი მიდგომებით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვის საკითხს დაარეგულირებს. მორატორიუმს ვადა 2014 წლის 31 დეკემბერს გაუვიდა და დღეს მოქმედებს ის კანონი, რაც გვექონდა, რომელიც უცხოელებზე მიწის მიყიდვასთან დაკავშირებით არანაირ შეზღუდვას არ ითვალისწინებდა. რაც შეეხება ახალ კანონპროექტს, უცხოელებზე მიწის მიყიდვას არ კრძალავს, თუმცა სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება მხოლოდ რამდენიმე პირობით მოხდება. ეს პირობებია: უცხო ქვეყნის რეზიდენტი უნდა იყოს საქორწინო ურთიერთობაში საქართველოს მოქალაქესთან. მიწა უნდა იყოს მემკვიდრეობით მიღებული, ან მას უნდა ჰქონდეს ბინადრობის უფლება საქართველოში. თუ ერთ-ერთ პირობას მაინც აკმაყოფილებს, მას შეუძლია ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას. არის კიდევ შეზღუდვები მიწის ფართობზე.

– იყო საუბარი იმაზეც, რომ, თუკი ფიზიკური ან იურიდიული პირი მინას ფლობს, მაგრამ არ ამუშავებს, გადასახდებს დაუნესებენ. ამასთან დაკავშირებით იყო არგუმენტები, რომ მინა ცდება და დაუმუშავებელი რჩება.

– დაბს, იყო ამაზე საუბარი, თუმცა ჯერ ამ იდეას კანონის სახე არ მიუღია, მე არ ვარ მომხრე, რომ გადასახადები დაუნესდეს, რადგან მინა ერთგვარი აქტივია და თუკი მე მას ვფლობ, როგორც მინდა, ისე მოვექცევი. თავიდან იყო საუბარი მსხვილ მინათმფლობელებზე, რომლებმაც სპეკულაციური მიზნით ხელში ჩაიგდეს მიწები და თუ არ ამუშავებენ, მოხდეს გადასახადის დაუნესება, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მიწის არდამუშავების პრობლემა უფრო სხვაგან უნდა ვეძებოთ და ამ პრობლემის გადაჭრა წარმოუდგენლად მიმაჩნია გადასახადების დაუნესებით.

– კანონპროექტი, რომელიც ახალი მიდგომებით დაარეგულირებს სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების საკითხს, რამდენად გამართლებულია თქვენი აზრით?

– ეს ახალი კანონპროექტი ტოვებს იმის

შესაძლებლობას, რომ გვერდის ავლა მოხდეს შეზღუდვებზე, აბსოლუტურად არანაირი პრობლემა არ იქნება, რომ უცხოელი ფლობდეს მიწას. რამდენიმე ქვეყნის პრეცედენტსა და გამოცდილებას თუ გადავავლებთ თვალს, ჩამომიყალიბდა შთაბეჭდილება, რომ არსებობს, რაღაც სტანდარტი, რა შემთხვევაში შეიძლება ფლობდეს უცხოელი მიწას ამა თუ იმ ქვეყანაში და სტანდარტები, რასაც ახალი კანონპროექტი ითვალისწინებს, თითქმის ანალოგიურია.

– რა თქმა უნდა, თეორიულად, თუკი ინვესტორს მიწის ფლობის უფლება არ აქვს, ეს არის ხელისშემშლელი, მაგრამ სოფლის მეურნეობაში, თუ ბოლო 10-15 წლის სტატისტიკას გადავხედავთ, 1%-ზე მეტი ჯამური ინვესტიცია არასდროს ნასულა სოფლის მეურნეობაში. ამ სფეროში ინვესტორების ინტერესი ნაკლები იყო, მიუხედავად იმისა, რომ მიწების გასხვისება შეუზღუდავი გახლდათ. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ მორატორიუმმა მნიშვნელოვნად შეზღუდა სოფლის



კარლამენტში უცხოელებზე მიწის მიყიდვის ალტერნატიულ კანონპროექტზე მუშაობენ

მეურნეობის განვითარება, მაგრამ მინიმუმ ხელიც არ შეუწყობ, თუკი მეორე მხრიდანაც შეეხებაღა.

– რატომ წინაშეა პარლამენტში ახალი კანონპროექტის განხილვა და დამტკიცება, მით უფრო მაშინ, როცა მორატორიუმის ამონქრვის შემდეგ ძველი კანონი მოქმედებს.

– მორატორიუმის ვადის ამოწურვამდე უნდა მოხსნოთ და მიეღო ახალი კანონპროექტი, მაგრამ აღმოჩნდა ისე, რომ მორატორიუმის ვადა ამოწურა და ახალი კანონი კიდევ არ გექვს. და მეტიც, ახალი კანონპროექტი ძალაში შევიდა მაშინ, როცა უკვე გასული იყო მორატორიუმის ვადა და დღეს მოქმედებს მიწის შესახებ კანონი, სადაც შეუზღუდავი უფლებები აქვთ უცხოელებს.

კანონპროექტის მიღება საგაზაფხულო სესიაზე იგეგმება, მანამდე კი კომიტეტები საკუთარ შენიშვნებს წარმოადგენენ. გაითვალისწინებენ თუ არა შენიშვნებს, ამის შესახებ კითხვებს დარგობრივი ეკონომიკის პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს ზურაბ ტყემალაძეს „BUSINESS TIME“ შემდეგ ნომერში დაუსვამს.



„ახალი კანონპროექტი ტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ გვერდის ავლა მოხდეს შეზღუდვებზე, აბსოლუტურად არანაირი პრობლემა არ იქნება, რომ უცხოელი ფლობდეს მიწას. რამდენიმე ქვეყნის პრეცედენტსა და გამოცდილებას თუ გადავავლებთ თვალს, ჩამომიყალიბდა შთაბეჭდილება, რომ არსებობს, რაღაც სტანდარტი, რა შემთხვევაში შეიძლება ფლობდეს უცხოელი მიწას ამა თუ იმ ქვეყანაში და სტანდარტები, რასაც ახალი კანონპროექტი ითვალისწინებს, თითქმის ანალოგიურია“

„რუსეთი უკვე საკმაოდ მძლავრად დასაბრუნებელია ეკონომიკაში და ეს პოლიტიკური გეგმა, იმის თაობაზე, რომ არიქა რუსეთი ყიდულობს რაღაცას, ცოტა სასაცილო თემა ხდება“

ლელა ნიკლაური
ვის მფლობელობაში უნდა იყოს ქვეყნის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალი – სახელმწიფოს, კერძო მესაკუთრის, თუ ორივესი ერთად? დღეს ესპერტები „საქართველოს რკინიგზის“ საერთაშორისო კვირდრეჯეც ალაპარაკდნენ. რკინიგზის იმ კერძო მფლობელების შთამომავლებზე, რომლებიც ობიექტს ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს ფლობდნენ. ვინ უნდა მართავდეს საქართველოს რკინიგზას? რამდენად რენტაბელია დღეს ჩვენი სტრატეგიული ობიექტი და უნდა თუ არა კონკურენციის თავისი სატარიო პოლიტიკით ტვირთების გადაზიდვის ალტერნატიულ საშუალებებს. რა მოგება რჩება ქვეყანას, როგორ მუშაობს რკინიგზის მენეჯმენტი? ბევრი კითხვაა და კიდევ უფრო ბევრი გარჩნდა, როდესაც ეკონომიკის მინისტრმა საქართველოს რკინიგზის 25%-იანი წილის შესაძლო გასხვისებასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გააკეთა.
კომპანია 800 მილიონიდან მილიარდ დოლარამდე შეფასებული. აქციების პირველადი განთავსების შედეგად მთავრობამ, შესაძლოა, 250 მილიონი დოლარი გამოიმუშოს. ლონდონის საფონდო ბირჟაზე „საქართველოს რკინიგზის“ აქციების პირველადი განთავსებისას, აქციების 25% გაყიდულა. განცხადება აქციების პირველად განთავსებაში მონაწილეობაზე კი 23 მაისამდე მიიღება, ხოლო განთავსება 24 მაისს მოხდება. სანამ მთავრობაში ოფიციალური კომენტარი გაკეთდებოდა, რკინიგზის მესვეურებს დრო არ დაუკარგავთ. სანდო წყაროზე დაყრდნობით „საქართველოს რკინიგზა“ პოტენციურ ინვესტორებთან შეხვედრებს უკვე თვეზე მეტია მართავს.
საქართველოს რკინიგზის აქციათა გარკვეული წილის გასხვისება ყველა წინა მთავრობის მიზნებში შედიოდა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ხელისუფლებში ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობენ. ჯერ იყო და წინა ხელისუფლების პირობებში საქართველოს რკინიგზაზე პრეტენზიებს ბადრი პატარკაციშვილი აცხადებდა. მაშინ მის დაინტერესებას დიდი აუთოტაჟი მოჰყვა. ამბობდნენ, რომ გარიგებაში რუსული ხელი და



ლელა ნიკლაური

დღეს, ინვესტორებთან მოლაპარაკებების წარმოება, და მით უფრო, მათი დაარსებება ჩადონ ფული ჩვენს ქვეყანაში, საგმირო საქმედი, პოდა, ეს მძიმე და შრომატევადი საქმე დღეს საკუთარ მხრებზე მანდილოსან მინისტრის მოადგილეს ქეთი ბოჭორიშვილს აწვეს. ის ხვდება და აცილებს ყველა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ინვესტორს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში კაპიტალდაბანდებით არის დაინტერესებული. აცნობს საქართველოს და მის საინვესტიციო გარემოს. საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით ხელში დღეს ცოცხალი დაარსებული ინვესტორი აქ ინვესტიცია განახორციელოს, მაგრამ ქეთი ბოჭორიშვილი არსმუნებს. რა გვაქვს ისეთი, რაც სხვა ქვეყნებს არ გააჩნია. რითი ვუნევეთ კონკურენციას ბუნებრივი რესურსებით მდიდარ მეზობელ ქვეყნებს. რა არის ჩვენი სავიზიტო ბარათი და მთავარი სიგნალი ბიზნესმენებისთვის. რა წერილმან დეტალებს აქცევენ ყურადღებას მდიდარი ადამიანები და რა დარგების განვითარებაზეა ორიენტებული ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება. სუსტი სქესის წარმომადგენელი ეკონომიკის მინისტრის მოადგილე თავისი ძლიერი მხარეებით. „Business time“-მა ინტერვიუ ქეთი ბოჭორიშვილთან ჩაწერა.

- იმ ვითარებაში, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში და ირგვლივ მთელს რეგიონში ხდება, ალბათ, ძალიან ძნელია ინვესტორებთან მუშაობა. დაარსებულ ისინი ჩადონ კაპიტალი საქართველოში, დახარჯონ ფული აქ. სავალუტო კრიზისი და კიდევ ბევრი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზია, რაც დღეს პოტენციური ინვესტორების მოზიდვას აფერხებს. როგორ ახერხებთ ამ რთული მისიის შესრულებას. რა ხდება დღეს?

- ზოგადად, ინვესტიციების მოზიდვა და ინვესტორებთან მუშაობა ძალიან რთული პროცესია, რადგან კო-



ნკურენცია უნდა გაუწიო მსოფლიოს ყველა ქვეყანას და დაარსებული ინვესტორი, რომ კონკრეტულად აქ არის ყველაზე საუკეთესო საინვესტიციო პირობები და აქ უნდა განახორციელოს ინვესტიცია. მინდა ვთქვა, რომ ეს არასდროს არ არის მარტივი და საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმიანობაა. რა თქმა უნდა, როდესაც ინვესტორი საქართველოს საინვესტიციო ქარტის მიხედვით მთლიან რეგიონს და მისთვის მნიშვნელოვან რეგიონში იყოს სტაბილურობა, შესაძლებელი იყოს პროგნოზირება, აქედან გამომდინარე ყველა ინვესტორი ძალიან დაკვირვებით სწავლობს არა მარტო ჩვენს ქვეყანას, არამედ მთელ რეგიონს. ის მოვლენები, რაც

ჩვენს რეგიონში ხორციელდება, არ არის, რა თქმა უნდა, პოზიტიური ტენდენციები, მაგრამ ინვესტორები, რომლებსაც ვებმარებით გარემოს უკეთ შესწავლაში, ჩამოდინა და ნახულავენ რა ხდება აქ, რეალურად, ბიზნესის მიმართულებით. სწორედ ჩვენი ბიზნესგარემო ხიბლავთ, რადგან აქ არის მეტი ტრანსფერენტულობა, არ არის კოორუფცია, ასევე სახელმწიფო სერვისებისადმი ხელმისაწვდომობა მთელ რეგიონში განსაკუთრებულად მარტივია. ეს, რა თქმა უნდა, გადაამყვეტ როლს ასრულებს ინვესტორების მხრიდან გადაწყვეტილების მიღების დროს.

- ჩვენ ველაპარაკებით ინვესტორებს და ეს რთული საქმე თქვენს

კირსრება დღეს. რა აქვს საქართველოს, რაც სხვა ქვეყნებს არ გააჩნიათ, მართლაც ძალიან რთულია დღეს ჩვენი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით დაინტერესო ბიზნესმენი, რომელიც საკუთარი კაპიტალის გაზრდას ცდილობს და, თავისთავად, მოგებაზე ფიქრობს, როგორ მუშაობთ მათთან?

- ნებისმიერ პროექტამდე სანამ მივალთ, ყოველთვის მნიშვნელოვანია თვითონ ინვესტორმა ქვეყანა გაიცნოს და ქვეყანა მოიწონოს. ეს იმ ინვესტორებზეა საუბარი, რომლებიც განხილავენ რეგიონში საკუთარი კაპიტალის აქტივობას, და ფიქრობენ სად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა, რომელ ქვეყანაში. როგორც ვთქვი, ეს არის ზოგადი საინვესტიციო და ბიზნესგარემო ქვეყანაში. ეს იქნება ბიზნესის წარმოების სიმარტივე, ინვესტორმა უნდა იცოდეს ზუსტად რა არის თამაშის წესები. რა კანონები არის, რა რეგულაციებია და არის თუ არა პროგნოზირებადი მომავალი ამა თუ იმ ბაზარზე. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. რა თქმა უნდა, აქ უკვე ერთვება ისეთი დეტალები, მაგალითად, სავალდებულო რეჟიმი როგორია, რა თქმა უნდა, სექტორების მხრივ, პოტენციალი და ბაზრებზე წვდომა, იცით, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელისმომწერის შემდეგ მათთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ვართ და ეს საკმაოდ დიდი პოტენციალია მენარმეებისთვის. ჩვენ ვაგვიწვივებთ სავაჭრო რეჟიმი ევროპასთან და ეს ძალიან კარგია. ჩვენ შეგვიძლია ტარიფების ბარიერების გარეშე ვიკავშირდეთ ევროკავშირის 500-მილიონიან ბაზარზე და ეს ხიბლავთ ინვესტორებს. არის ძალიან მნიშვნელოვანი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების გაფორმება ქვეყნებთან, პოლიტიკურად სტაბილური ურთიერთობები; ინვესტორმა, შესაძლოა, წერილმან დეტალებსაც კი მიაქციოს ყურადღება, მაგალითად, როგორ ხვდებიან აეროპორტში, როგორ ხდება ნებისმიერი სახელმწიფო სერვისის

გაცემა და მუშაობა, აქედან გამომდინარე, ყველა დეტალი უმნიშვნელოვანესია, როდესაც ინვესტორთან მუშაობ.

- არის დღეს ჩვენს ქვეყანაში ისეთი რამ, რის შეცვლასაც ინვესტორი ითხოვს, რა თქმა უნდა, ყველა ბიზნესმენი ორიენტებულია საუკეთესო პირობებზე, მაგრამ მაინც თუ შეცვლიდით თქვენ რამეს და არიან თუ არა თანაბარ პირობებში ჩაყენებული აგილობრივი და უცხოელი ინვესტორები, იცავს თუ არა კანონი თანაბრად მათ, რაიმე პრივილეგიებზე მდგომარეობაში ხომ არ ვაყენებთ უცხოელებს.

- კანონმდებლობით, ადგილობრივი იქნება თუ საერთაშორისო, ინვესტორები თანაბარ პირობებში არიან. კანონი მათ თანაბრად იცავს. რაც შეეხება საინვესტიციო გარემოს, ის ყოველდღიურად უნდა იცვლებოდეს. ვერ ვიტყვი, რომ თუ რაღაც სერვისი არ არსებობს, არ შეიძლება, რომ გავაუმჯობესოთ, ასე რომ, გარემოს გაუმჯობესება ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს. სულ უნდა დავწეროთ ის მექანიზმები, რომელიც ინვესტიციების მოზიდვას უწყობს ხელს. ბიზნესის კეთების თვალსაზრისით საქართველო მეთხოვრებულად ადგილზეა და ბევრი ინდივიდუალი აქვს გასაუმჯობესებელი, რაც ბუნებრივი პროცესია. ბიზნესის კეთების თვალსაზრისით სინგაპური პირველადი ადგილზე დგას და ისიც ყოველდღიურად მუშაობს იმაზე, რომ კიდევ უფრო კარგი შედეგები დადოს და

„ეთიოპული ინვესტიცია არის ახალი სამუშაო ადგილი, ახალი გამოცდილების გაზიარება, ახალი ტექნოლოგიების შემოღინება, რაც რეალურად ქმნის ღირებულებას ჩვენს ქვეყანაში, დოვლათს ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ ინვესტიციების მოზიდვა ჩვენი პირველი ამოცანაა.“

გააუმჯობესოს საინვესტიციო გარემო. აქაც მუდმივად უნდა ხდებოდეს მუშაობა. თვითოეული ინვესტიცია ეს არის ახალი სამუშაო ადგილი, ახალი გამოცდილების გაზიარება, ახალი ტექნოლოგიების შემოღინება, რაც რეალურად ქმნის ღირებულებას ჩვენს ქვეყანაში, დოვლათს ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ ინვესტიციების მოზიდვა ჩვენი პირველი ამოცანაა.

- ბოლო საკონტრაქტო დოკუმენტი, რომელიც ინვესტორთან გქონდათ მოლაპარაკებები და რა შედეგით დასრულდა.

- ალსანიშავია, ერთ-ერთი ბოლო მსხვილი ინვესტორის გადაწყვეტილება. საქართველოში ოპერირებას აზიის ყველაზე მსხვილი კაზინოს ბრენდი დაინციეს. რომ არა საქართველოში არსებული კარგი ბიზნესგარემო, მსოფლიოს რომ ათულში შემავალი მსხვილი კომპანია არ გადაწყვეტდა აქ კაპიტალდაბანდვას. ახალი კაზინო გააერთიანებს ინტეგრირებულ მომსახურ-



„ძალიან მნიშვნელოვანია ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების გაფორმება ქვეყნებთან, პოლიტიკურად სტაბილური ურთიერთობები; ინვესტორმა, შესაძლოა, წერილმან დეტალებსაც კი მიაქციოს ყურადღება, მაგალითად, როგორ ხვდებიან აეროპორტში, როგორ ხდება ნებისმიერი სახელმწიფო სერვისის გაცემა და მუშაობა, აქედან გამომდინარე, ყველა დეტალი უმნიშვნელოვანესია, როდესაც ინვესტორთან მუშაობ.“

„ინდუსტრიული სექტორი, სოფლის მეურნეობის სფერო, ასევე გადამამუშავებელი მრეწველობა. ამ მიმართულებით ამ დროისთვის 65 პროექტია დამტკიცებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ წელს და მომავალი წლისთვის გაიხსნება და ფუნქციონირებას დაიწყებს 65 საშუალო ზომის საწარმო, სადაც დასაქმდება 3 000-ზე მეტი ადამიანი.“

თი ბოჭორიუვილი



ქალი, რომელიც ყველაზე რთულ სახელმწიფო დავალებას ასრულებს

EXCLUSIVE

რითი იზიდავს ქეთი ბოჭორიუვილი ინვესტორებს



„პროექტს „ანარმოე საქართველოში“ დაემატა რამდენიმე სიახლე. გირაოს უზრუნველყოფის პროცენტი ჩვენი მხრიდან გაიზარდა და 30 %-ის ნაცვლად ის გახლავთ 50%“

ეხება. იქნება სასტუმროც, გასართობი და სავაჭრო ცენტრები, ასევე კვების ობიექტი. ის ფუნქციონირებს მაკაოში, ლას ვეგასში და მსოფლიოს სხვადასხვა ცენტრებში. მალე ეს კომპანია თავად გააკეთებს ოფიციალურ განცხადებას ჩვენს ქვეყანაში შემოსვლასთან დაკავშირებით.

– ეს ტურიზმის განვითარებას რამდენად შეუწყობს ხელს?

– რა თქმა უნდა, ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს, ეს არ არის კაზინო, რომელიც მხოლოდ სათამაშო ბიზნესზეა ორიენტირებული, ეს კაზინო ანკობს საინტერესო შოუებს და ინტეგრირებულია სხვადასხვა გასართობ ცენტრებთან. ინტეგრირებულია რესტორნებსა და სავაჭრო ქსელებთან. ეს კაზინო მოიზიდავს ისეთ ტურისტებს, რომლებიც აქამდე ჩვენს ქვეყანაში არ შემოდოდნენ და ეს კიდევ დამატებით ტურიზმის ინფრასტრუქტურას შექმნის. სწორედ ასეთი მაგალითებით შემოიძლია ვთქვა, რომ საქართველოში ინვესტორები ინტერესდებიან. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ შემოვიდნენ და აქ განახორციელონ საქმიანობა.

– არის თუ არა ინვესტორთა ინტერესი ხელისუფლების მიერ დაანონსებული პროექტის „ანარმოე საქართველოში“ მიმართ. რამდენი სანარმოე შეიქმნება ქვეყანაში. ვინ არიან ეს ინვესტორები და რა სფეროებში აბანდლებენ ფულს?

– „ანარმოე საქართველოში“ პროექტით ძალიან ბევრი ინვესტორია დაინტერესებული, მოლაპარაკებები ახლაც მიმდინარეობს ბანკებთან, რამდენიმე მსხვილი სანარმოს ამოქმედებასთან დაკავშირებით. ეს იქნება ხორცპროდუქტების წარმოება, ეს იქნება ფარმაცევტული სექტორი, ეს იქნება სამშენებლო მასალის წარმოება, ასე რომ, ბიზნესის აქტიულობა, ამ მხრივ, საკმაოდ მაღალია.

– რამდენი ხელშეკრულება გაფორმდა. მაინტერესებს რამდენი სანარმოე ამოქმედდება და ხელშეკრულებით რა ვადები აქვთ მათ ალბებული ვალდებულებების შესასრულებლად.

– ამ ეტაპზე ჩვენ გვაქვს სხვა-

დასხვა ინსტიტუტები, ეს არის ქონების რეგისტრირების ცენტრი, ეს არის ვალდებულებებით, ეს არის ბანკის სესხის გაცემაში მონაწილეობა სხვადასხვა მიმართულებით. ეს არის ინფრასტრუქტურული სექტორი, სოფლის მეურნეობის სფერო, ასევე გადამამუშავებელი მრეწველობა. ამ მიმართულებით ამ დროისთვის 65 პროექტი დამტკიცებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ წელს და მომავალი წლისთვის გაიხსნება და ფუნქციონირებას დაიწყებს 65 სამუშაო ზომის სანარმოე, სადაც დასაქმდება 3 000-ზე მეტი ადამიანი. ეს გამოიწვევს ძალიან ბევრ პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებელს.

– მე ვიცი, რომ ეკონომიკის სამინისტრო მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს სახელმწიფო პროექტებში მონაწილეობის პირობები. რაიმე ცვლილება ხომ არ იგეგმება კიდევ, რა სერვისი შეიძლება დაემატოს თქვენი მხრიდან ბიზნესის სასარგებლოდ.

– პროექტს „ანარმოე საქართველოში“ დაემატა რამდენიმე სიახლე. გირაოს უზრუნველყოფის პროცენტი ჩვენი მხრიდან გაიზარდა და 30 %-ის ნაცვლად ის გახლავთ 50%-ი. რაც კიდევ უფრო მეტ მე-

წარმეს მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ სესხის დამტკიცების პროცედურა კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდეს. მეორე სიახლეა ლიზინგით სარგებლობა. ახლ იგეგმება პროექტის ფარგლებში მიდის ლიზინგით სარგებლობის კომპონენტის დამუშავება. ამ სიახლით უკვე სამმა კომპანიამ ისარგებლა და კიდევ რამდენიმესთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები. „ანარმოე საქართველოში“ ფარგლებში პროექტის დაწყების მინიმალური ზღვარი გახლავთ 150 ათასი დოლარი, რომელიც სესხის ნაწილი უნდა იყოს. თუ სესხის მოცულობა 150 ათას დოლარიდან 500 000 ათას დოლარამდეა, მაშინ სესხის პროცენტის ზედა ზღვარი ბანკებთან დაფიქსირებულია 13%, საიდანაც სახელმწიფო 10%-ის თანადაფინანსებას მოახდენს და მენარმეს 0%-იდან 3%-დე თანხის გადახდა მოუწევს. თუ სესხის მოცულობა გახლავთ 500 000 ათას დოლარიდან 1 000 000 დოლარამდე, მაშინ სესხის პროცენტის ზედა ზღვარი დაწესებულია 12%, საიდანაც სახელმწიფო 10%-ის დაფარვის ვალდებულებას იღებს და მენარმეს 0%-დან 2%-მდე თანხის გადახდა მოუწევს. და მესამე, თუ სესხის მოცულობა არის 1 000 000 დო-

„ზოგადად, ინვესტიციების მოზიდვა და ინვესტორებთან მუშაობა ძალიან რთული პროცესია, რადგან კონკურენცია უნდა გაუწიო მსოფლიოს ყველა ქვეყანას და დაარწმუნო ინვესტორი, რომ კონკრეტულად აქ არის ყველაზე საუკეთესო საინვესტიციო პირობები და აქ უნდა განახორციელოს ინვესტიცია. მინდა ვთქვა, რომ ეს არასდროს არ არის მარტივი და საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმიანობა“

ლარიდან 2 000 000 ათას დოლარამდე, მაშინ სესხის პროცენტის ზედა ზღვარით არის დაწესებული 11%, საიდანაც მენარმეს 0%-იდან 0,1%-ის გადახდა მოუწევს.

– მიკრომენარმეობის პროექტი დაიწყება 15 მარტიდან, ესეც, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს მცირე მენარმეობის განვითარებას. რამდენად არის ჩართულობა რეგიონებიდან და კონკრეტულად რა სარგებელს მოუტანს პროექტის თითოეულ ბენეფიციარს?

– ეს არის მიკრომენარმეობის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი პროექტი, რომელიც მოიცავს განათლების უნარების გაუმჯო-

ბესებას და ტექნიკური სახის დახმარებებს. მეორე კომპონენტი კი მოიცავს თანამონაწილეობრივ გრანტს 5 000 ლარის ოდენობით. 15 მარტიდან მიკრომენარმეობის შესახებ პროექტიც ამოქმედდება. აქ ჩვენ მართო არ ვტოვებთ პროექტში მონაწილეებს, ვუნებთ მუდმივ მონიტორინგს. ჩვენ მათ ვასწავლით როგორ უნდა აკეთონ ბიზნესი. რაც შეეხება დაფინანსების მოდელს, ეს იქნება თანამონაწილეობრივი გრანტი, ეს არ იქნება კრედიტი. თუმცა აქაც მთავარი ამოცანა არის მდგრად და სიცოცხლისუნარიან პროექტებზე გაკეთდეს აქცენტი.

– რა დარგებზეა ორიენტირებული ხელისუფლება, რა სექტორების განვითარებას ფიქრობთ, რა ტიპის ბიზნესებია საქართველოში რენტაბელური?

– ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა სერვისების განვითარება, ასევე ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება. ჩვენი მთავარი მიზანია, მოხდეს სექტორების დივერსიფიცირება და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი ეკონომიკა ერთულ სექტორებზე არ იყოს დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ჩვენ უკვე ვმუშაობთ რამდენიმე ინსტრუმენტზე და პროექტზე, რომელიც ამ მიმართულებით მოახდენს სტიმულირებას.





BUSINESS TIME სერგეენკო ღარიბთ წარმანის სამოქმედო გეგმას სთავაზობს

**ღარიბთ სერგეენკო:
„ამ კვირის ბოლოს
გვექნება სრულიად ახალი
სამოქმედო გეგმა, რომელიც
მნიშვნელოვნად გამოასწორებს
სასწრაფოს მუშაობას“**

**თბილისის სასწრაფო დღეს
14%-იანი ეფექტურობით მუშაობს**

ლელა ნიკლაური
სავალუტო კრიზისის და ფასებში ზრდის ფონზე, დღეს, ერთ-ერთ მწვავე პრობლემად სასწრაფო დახმარების მომსახურების კრიზისიც რჩება, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ამ სამსახურმა რამდენიმე ხელმძღვანელი გამოიცვალა, თუმცა არსებული სიტუაციის გამოსწორება ვერაინი შეძლო. კრიზისი ამ მიმართულებითაც გამწვავდა და ბოლო საკადრო ცვლილებებიდან ხშირად კი უკეთესი უკეთესი ხელმძღვანელი წავიდა და თბილისის სასწრაფოს ხელმძღვანელად ახალი კადრი, თემურ ბარკალაია დანიშნა. თბილისის სასწრაფო თბილისის მერიის დაქვემდებარებაშია და შესაბამისად, თბილისის მერმა სასწრაფოს ახალ უფროსს ახალი სამოქმედო გეგმის წარდგენა მოსთხოვა, თუმცა დღემდე სასწრაფო დახმარების მომსახურების უკმაყოფილო მოსახლეობა პრეტენზიებით არა მარტო აღსანიშნავად ჯანდაცვის სამინისტროს მიმართავს. სწორედ ამიტომ საკუთარი სამოქმედო გეგმის შემუშავება ჯანდაცვის სამინისტრომაც დაიწყო. ანალიზი გაცივდა და კვლევის შედეგებიც დაიდო. თურმე თბილისის სასწრაფო დღეს 14%-იანი ეფექტურობით მუშაობს.

ნდაცვას ეხება და სწორედ ჯანდაცვის სამინისტროში იყრის თავს. პრეტენზიებიც ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ არის და პასუხისმგებლობაც. ამიტომ ჯანდაცვის მინისტრო თბილისის მერს სამოქმედო გეგმის საკითხებში შეთანხმებას და სწრაფ რეაგირებას სთხოვს. „Business time“-მა მოსახლეობაში არსებული პრობლემების შესახებ კითხვები ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს დაუსვა.
დავით სერგეენკო, საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი:
- ჩვენ, ახლახან დავასრულეთ ინტენსიური სამუშაო შეხვედრა, სადაც პრაქტიკულად შევჯამეთ სრული ანალიტიკა, რაც ეხება თბილისის სასწრაფო დახმარების სამსახურს, გამოიკვეთა რამდენიმე კრიტიკული მიმართულება. მერთან შეთანხმდება და ამ კვირის ბოლოს გვექნება სრულიად ახალი სამოქმედო გეგმა, რომელიც მნიშვნელოვნად გამოასწორებს სასწრაფოს მუშაობას.
- ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენ გარკვეული კვლევა ჩატარეთ თბილისის სასწრაფოს მუშაობის შესახებ. რა დასკვნა დაიდო, როგორია ამ მეტად მნიშვნელოვანი სამსახურის მუშაობის აქტივობის კოეფიციენტი?

- რა არის ეს სამი კრიტიკული მიმართულება. რა გამოჩნდა ანალიზის შედეგად, რა ხარვეზებია კონკრეტულად და ვისი ბრალეულობა გამოიკვეთა?
- ერთი პრობლემა არის ის, რომ სასწრაფო დახმარება გამოძახებაზე მიდის დაგვიანებით. ეს არ არის მთავარი ხარვეზი. მთავარი გამოძახების მიზეზებია, მაგალითად, გამოძახების ადგილზე დაყოვნება. ის არ უნდა აღემატებოდეს ავტოსაგზაო შემთხვევის დროს 10 წუთს და მეორე და მესამე კატეგორიების გამოძახებისას 15-20 წუთს. მაშინ, როდესაც რეალურად გვევა 45 წუთი, ერთი საათი და ზოგჯერ უფრო მეტი. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, თუმცა ჩვენ შევთავაზეთ რადიკალური გადაცვლის გზა, რომელიც გააუმჯობესებს მოტივაციას.
- რითი არის გამოწვეული ნაკლები მოტივაცია, გულგრილობა.
- სასწრაფო დახმარების ბრიგადების დადანიშნულება გულგრილობაში არ იქნება სწორი, შეიქმნა რეგულატორული ფაქტორების ერთობლიობა, ჩვენ შევთავაზეთ ძალიან კარგი გადაწყვეტილება. პირველი ჯგუფის ხარვეზი ეს არის, დაყოვნების მოკლე დროში მოგვარება, მეორე ჯგუფის ხარვეზი, ეს იყო უკიდურესად გასანგრძლივებული ჰოსპიტალიზაციის პროცესი, როდესაც პაციენტს სჭირდება საავადმყოფოში მოთავსება და, იმის მიხედვით, რომ ამან დაიკავოს მაქსიმუმ 45 წუთი, ხშირ შემთხვევაში, ეს პროცედურა საათ-ნახევარზე მეტ ხანს გრძელდება. ამასაც თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს და ჩვენ ამაზეც შევთავაზეთ, ცალსახად, პრობლემების გადაჭრის გზა და იმედი გვაქვს, რომ მიიღებენ და მერნაშენი, ეს სამი ცვლილება მოგვცემს სწრაფ შედეგებს. ეს არ არის ყველაფერი, ეს არის სისტემური პრობლემა და ამაზეც გვაქვს ჩვენი ხედვა და კონკრეტული სამოქმედო გეგმა.
- სისტემურ პრობლემაში რა იგულისხმება? სასწრაფოს გამოძახება

გამოძახება დღე-ღამის განმავლობაში. რა არის გამოსავალი ამ შემთხვევაში.
- მე შემძლია გითხრა, რომ ამ შემთხვევაში 112-ის ბრალეულობა არ იკვეთება, აქ ხარვეზი ნაკლებად გვაქვს, თუმცა აქაც, ჩვენ ჩვენი ხედვები გვაქვს და გეგმაც სხვათა შორის, თუ როგორ უნდა გახდეს უფრო მოქნილი ეს სტრუქტურა, სადაც 112-ის გაუქმება არანაირად არ მოიაზრება. გამოძახების რაოდენობას რომ შევადაროთ, 2012 წლისთვის თბილისში იყო საშუალოდ 900 გამოძახება დღე-ღამეში და დღეს მდგომარეობით გვაქვს 2 200-მდე გამოძახება. აქ არის უკვე რამდენიმე ფაქტორი, უკვე არა სასწრაფოს მიზეზით, არამედ, თვითონ სასწრაფოს ფუნქციონალში მცდარი შეხედულების. ამაზეც გვაქვს ჩვენი მოსაზრებები, რომელსაც წარმოვადგენთ, მაგრამ არამც და არამც არ მოიაზრება ის, რომ რამე ტიპს გამოძახებაზე სასწრაფო დახმარების მანქანა არ გავიდეს, უბრალოდ, უზრუნველყოფილი იქნება ისე, რომ ამ ყველაფერს ეფექტური ორგანიზება ჰქონდეს.
- რა ხდება საქართველოს მასშტაბით? სასწრაფო დახმარების ბრიგადები სჭირდება რეგიონის მოსახლეობასაც და ხშირ შემთხვევაში ისინი კი არ იგვიანებენ, არამედ საერთოდ ვერ მიდიან დანიშნულების ადგილამდე. რა ხდება ამ თვალსაზრისით, თუმცა ასეთი ფაქტები თბილისშიც ხდება.
- რა თქმა უნდა, სხვაობა არის რეგიონების თვალსაზრისით, თუ შარშან წოდურ პირველი პრობლემა იყო ამორტოზებული სასწრაფო დახმარების მანქანები, ეს საკითხი სისტემურად მოგვარებულია, საუბარია ავტოპარკის 80%-ზე. წლის ბოლოს განვაახლეთ ავტოპარკი, რამაც საგრძობლად გაზარდა წვდომადობა, თუმცა, მინდა ითქვას, რომ ეს არ იყო ერთადერთი პრობლემა. აქაც არის საორგანიზაციო საკითხები, და ფიქრობ, რომ ამ კუთხითაც ვითარება მკვეთრად არის გაუმჯობესებული. ტექნიკური პრობლემა მოგვარებულია, ნაწილობრივ იქაც რჩება გამოძახების არამიზნობრიობა, თუმცა ნაკლებად და იქაც მოიხსნა ადგილობრივი დაქვემდებარება და გადავიდა უახლოეს გეოგრაფიულ დაქვემდებარებაზე. ამ შემთხვევაში რეგიონებში დადებითი დინამიკა გვაქვს.



დო პროფესიულ წრეებთან გავიარეთ პირველადი განხილვა და, ბუნებრივია, შემდეგი ნაბიჯი იყო, რომ ჩვენ ეს ჯანდაცვის სამინისტროსთან შევეჯერებინა. ჩვენ ყველაზე ოპერატიული საკითხების მოგვარებაზე შევეჯერდით. გავაკეთებთ ყველაფერს, რომ მყისიერი რეაგირება მოვხადინოთ; ამასთანავე შეიქმნა სპეციალური სამოქმედო ჯგუფი, რომელიც გააგრძელებს საშუალო და გრძელვადიან პრობლემებზე მუშაობას.



თემურ ბარკალაია, თბილისის სასწრაფოს ხელმძღვანელი:
- ჩვენ ვლაპარაკობთ არამიზნობრივ ხარვეზზე. დაყოვნების საკითხზე, რომელიც საერთო ჯამში პრობლემებს ქმნის. ჩვენ შევქმენით ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ამაზე და ძალიან მაღლე მოხსნის იქნება პრობლემა, რომელიც მოსახლეობას აწუხებს, რაც შეეხება სასწრაფო დახმარების მანქანების დამატების საკითხს, ჯერ არ არის გამოყოფილი. ჯერ ჩვენ იმაზე ვსაუბრობთ, რომ უნდა გადაიხედოს სამედიცინო გეოგრაფიული რუკა და, აქედან გამომდინარე, უკვე ვიტყვით, დასამატებელია თუ არა სასწრაფო დახმარების მანქანები და თუ არის დასამატებელი, სად უნდა დაემატოს.

„ერთი პრობლემა არის ის, რომ სასწრაფო დახმარება გამოძახებაზე მიდის დაგვიანებით. ეს არ არის მთავარი ხარვეზი. მთავარი გამოძახების მიზეზებია, მაგალითად, გამოძახების ადგილზე დაყოვნება“



„უნდა გადაიხედოს სამედიცინო გეოგრაფიული რუკა და, აქედან გამომდინარე, უკვე ვიტყვით, დასამატებელია თუ არა სასწრაფო დახმარების მანქანები და თუ არის დასამატებელი, სად უნდა დაემატოს“

ბის სტრუქტურა ხომ არა, აქ ჩართულია 112 და ზოგადად 1000-ობით

ლაშა ჯუხარაშვილს ჯვარი ბაბუამ დასწერა

„სუპერმეულა მყავს, წყნარი და მშვიდია. ასჯერ უკეთესი ხასიათი აქვს და არ მანვალვას. მეც მეტ ყურადღებას ვუთმობ. ჯერჯერობით ჭკვიანად ვიქცევი“



მსახიობი ვაჟის მამა ხდება

EXCLUSIVE

my View თამარ გომეზაძე

მსახიობმა ლაშა ჯუხარაშვილმა ჯვარი ქეთევან ჩხეიძეზე დაინერა. მსახიობს ჯვარი ბაბუამ მაცხოვრის შობის ტაძარში 14 თებერვალს დასწერა. წყვილი უკვე შვილსაც ელოდება. ლაშამ ჩვენი ინტერვიუს დღეს, 4 მარტს, გაიგო, რომ ბიჭს ელოდება და შოკში იყო. „გაუგებარ ემოციებში ვარ, აზრზე ვერ მოვსულვარ. სიტყვებით ვერ გადმოვცემ რა ემოცია დამეუფლა“. ლაშა ცნობილი გახდა სერიალით „გოგონა გარეუბნიდან – მედიარი“. გასულ პარასკევს კი მსახიობი „ჩემი ცოლის დაქალებში“ გამოჩნდა. ბერლინიდან ჩამოსული დიდი ფულის მქონე ნიკუშა სერიალის გადაღებას აპირებს. ლიკოს და ნატაშკას უახლოვდება. დანარჩენი სერიალში...

„ქალიან ემოციური იყო ჩემთვისაც, ბაბუასთვისაც და ქეთისთვის. ჯვრისწერის მომენტში განსხვავებული გრძობა დამეუფლა, მით უმეტეს, ბაბუა რომ დაგწერს ჯვარს. ეს ბევრმა არ იცის. მის რჩევას ვითვალისწინებთ – გაუფრთხილდით და დაუთმეთ ერთმანეთსო“



„ამაზე სხვებს ვეღარავიფიქროვებ, რა მოხდა მამა ხდება, რას პანიკობ-მეთქი? თურმე საპანიკოა“

ლაშა ჯუხარაშვილი:
- ჩემს გმირს ნიკუშას ასაკით უფროსი ცოლი დაეღუპა და დაუტოვა ქონება. იცით, როგორი ტიპია – ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. გიო ლიფონავასთან მუშაობა საინტერესოდ მიმაჩნია, ბევრი კარგი მსახიობი თამაშობს სერიალში. მეც დავინტერესდი შემოთავაზებით. სინჯი გავიარე და მეორე დღეს დამირეკეს. ამასობაში ლაშა რუსთაველის თეატრის მსახიობი გახდა. გოშა გორგოშიძის ორ სპექტაკლში თამაშობს – „სტუმარ-მასპინძელი“ და „მიზანთროპი“. მსახიობი რობერტ სტურუას „ნადირობის სეზონშიც“ დაკავებულია.

ქეთი და ლაშა ნოემბრიდან ერთად არიან. ერთმანეთი კი სამი წლის წინ ეგვიპტეში გაიცნეს. მსახიობმა უცხო გოგონას თვალი თბილისის აეროპორტში დააღწა. ბედად გოგონა მის სასტუმროში აღმოჩნდა. იმ ცხელ ეგვიპტურ ათ დღეში იყო მსუბუქი ფლირტი, გაპრანჭვა. მერე ურთიერთობა თბილისში გაგრძელდა და სამი წელი გაგრძელდა. „არ მიაქტიურია, არ ვარ ეგეთი ტიპი. თავისთავად მოხდა, ლაშაზად აენყო. ამიტომაც არის მოსაფრთხილებელი ეს სიყვარული. თავისთავად განვითარდა. მე ეგვიპტეში დასასვენებლად წავედი, რომანის გასაბმელად არ წავსულვარ. თუმცა ასე მოხდა და დღეს ქეთევანი ჩემი უსაყვარლესი მეუღლეა“.

ასე მოქცევას ყველას ვურჩევდი. ეს წყვილებს აკლიათ. თითქოს მარტივია, მაგრამ ჩვენ ვართულებთ ადამიანები. მე და ქეთევანი ამ რჩევით გაჯერებული ვართ.
- რითი შეგცვალა გრძობა?
- ზარმაცი ვიყავი და ძალიან შევიცვალე. კონკრეტულად ვერ ვხსნი როგორი, მაგრამ გაგზნა უფრო კარგი, ვიდრე მანამდე ვიყავი. ოჯახის, მეგობრების და საქმის მიმართ სულ სხვა დამოკიდებულება მაქვს.

- და რომ გაიგე მამა ხდება?
- ამაზე სხვებს ველადავებოდი ხოლმე, რა მოხდა მამა ხდება, რას პანიკობ-მეთქი? თურმე საპანიკოა. სუპერმეულა მყავს, წყნარი და მშვიდია. ორსულობის დროს პანიკაში არ ჩავარდნილა. ასჯერ უკეთესი ხასიათი აქვს და არ მანვალვებს. მეც მეტ ყურადღებას ვუთმობ. ჯერჯერობით ჭკვიანად ვიქცევი. ცოლს არ ვეძახი, ჩემი მეუღლეა. ერთ უღელში ვართ და კარგი თანაცხოვრებაც გამოგვდის.


„არ მიაქტიურია, არ ვარ ეგეთი ტიპი. თავისთავად მოხდა, ლაშაზად აენყო. ამიტომაც არის მოსაფრთხილებელი ეს სიყვარული“



რა საქმეა და უმკიბრად პრალს ღავრით კირკიტაქის?

მირიან ბოქოლიშვილი

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქვემო ქართლში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკმარისად არსებულ ავტობაზრობის მშენებლობას, რამაც, საგამოძიებო ორგანოს ინფორმაციით, გუბერნიის მატერიალური რესურსები უკანონოდ გამოიყენეს. შედეგად კი სახელმწიფოს 248 400 ლარის ზიანი მიაღდა.



„პრაიმტიმისთვის“ ცნობილი გახდა როგორც ამ საქმის დეტალები, ასევე საგამოძიებო უწყებაში წარმოებული სხვა გამოძიების შესახებ, რომელიც სწორედ დავით კირკიტაძის სახელს უკავშირდება. ასე რომ, გამორიცხული არ არის, ყოფილ გუბერნატორს, რომელიც ამჟამად მეერთებულ შტატებში იმყოფება, ბრალი დაუსწრებლად დაუმიმდეს.

გზაზე იდგა საავტომობილო ეკიპაჟი და თბილისიდან მიავალ ავტომობილებს, გაურკვეველი მიზნებით, პირდაპირ კირკიტაძის გაზრობაზე უშვებდა

კირკიტაძის მიმართ პირველი ბრალდება კი ასე გამოიყურება: „2011-2012 წლებში დავით კირკიტაძის მითითებით, ქვემო ქართლის გუბერნიის კუთვნილმა სპეცტექნიკამ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით უსასყიდლოდ შესარუღა სამუშაოები დავით კირკიტაძის ძმის, ირაკლი კირკიტაძისა და ყოფილი საჯარო მოხელის, გიორგი უდესიანის ერთობლივი კომპანიების შპს „ავტოპაუს-რუსთავი 2011“-ისა და შპს „ტიტანი 2011“-ის სასარგებლოდ, თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე ავტობაზრობის მშენებლობის დროს, რითაც სახელმწიფოს 248 400 ლარის მატერიალური ზიანი მიაღდა, - აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

მდებარეობს „ტაო პრივატ ბანკის“ კუთვნილი ე.წ. უკრაინელების ავტობაზრობა, რომელიც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში სუპერპოპულარობით სარგებლობდა. ეს კომპლექსი 250 ათას კვ.მ-ს მოიცავს და 5000 ავტომობილზეა გათვლილი. ინვესტიცია, რომელიც უკრაინულმა „პრივატბანკმა“ ჩადო, 25 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენდა, ხოლო თავად პროექტი მთლიანობაში 40 მილიონ დოლარად იქნა შეფასებული.

ეს არ არის ერთადერთი საქმე, სადაც დავით კირკიტაძის სახელი ფიგურირებს. საგამოძიებო უწყებაში ჯერ კიდევ 2012 წლიდან დღეს საქმე, რომელიც ყოფილი რწმუნებულის მამის, ალექსანდრე კირკიტაძის სამშენებლო კომპანიას უკავშირდება. საქმე ეხება, პირდაპირი შესყიდვის გზით აღებულ მსხვილ სახელმწიფო შეკვეთებს. როგორც გავარკვევით, სახელმწიფო უწყებებიდან პირდაპირი შესყიდვის გზით კირკიტაძის მამის კომპანიას 20-ზე მეტი უმსხვილესი შეკვეთა აქვს აღებული. ამ საქმეებზე ალექსანდრე კირკიტაძე საგამოძიებო უწყებაში უკვე დაკითხეს.

როგორ აღმოჩნდა რამდენიმე ჰექტარი მიწის ნაკვეთი დავით კირკიტაძის ძმის ხელში? როგორც ინფორმირებული წყარო გვიყვება, აღნიშნული ტერიტორია მოსახლეობის საკუთრება გახლდათ, რომელთაც 900-900 კვ.მ ოფიციალურად ჰქონდათ დარეგისტრირებული. კერძო საკუთრების დათმობის საქმეში ჩართო ქვემო ქართლის გუბერნიის ადმინისტრაციის უფროსი ვინმე კასრაძე, რომელიც საპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის, ლადო ვარძილაშვილის მოადგილის, დავით კასრაძის ძმა გახლავთ. კასრაძე მიწის მფლობელებს საკუთარ კაბინეტში იბარებდა, სადაც ხელზევე აძლევდა 9000 ლარს, მიუხედავად იმისა, სურდა თუ არა მესაკუთრეს მიწის დათმობა.

როგორც ჩვენი წყარო გვიყვება, კირკიტაძე სწორედ ამ ბაზრობის ჩაძირვასა და მონოპოლისტის ადგილის მოპოვებას ცდილობდა. ამ მიზნით შეიქმნა ხელოვნური ბარიერი - გუბერნატორის მითითებით გზაზე იდგა საავტომობილო ეკიპაჟი და თბილისიდან მიმავალ ავტომობილებს, გაურკვეველი მიზნებით, პირდაპირ კირკიტაძის ბაზრობაზე უშვებდა. ამის გამო, უკრაინელებს გაუჩინდათ სამართლიანი პროტესტი და დანიწყეს ამ თემის „დალაგება“. ჩვენი ინფორმაციით, ბაზრის ტერიტორიის მფლობელი, უკრაინელი ბიზნესმენი ევგენი უსტინოვი პირადად შეხვდა ვახო მერაბიშვილს, მისგან გარკვეული გათანაბრების მიზლი, თუმცა ამის იქით საქმე არ წასულა. როგორც ზევით მოგახსენეთ,

დავით კირკიტაძის სახელს უკავშირებენ საავტომობილო განის ბიზნესსაც... კერძოდ, საუბარია კომპანია „ავტოგაზ იტალიაზე“, რომლის მფლობელი ოლქის მაშინდელი პროკურორი, მიშა აბულაძე დავით კირკიტაძის ბავშვის ნათლიაა. ჩვენ მიერ დაზუსტებული ინფორმაციით, აღნიშნულმა კომპანიამ დავით კირკიტაძის მითითებით მიიღო უფლება, რომ აემუნებინა გაზგასამართი სადგური სასტუმრო „რუსთავთან“. გაზგასამართი სადგური აბსოლუტურად არღვევს ასეთი ობიექტისთვის დანესებულ სტანდარტებსა და უსაფრთხოების ზომებს, გამომდინარე იქიდან, რომ ობიექტი საცხოვრებელი კორპუსიდან 5 მეტრით, საბავშვო მოედნიდან კი მხოლოდ 7 მეტრით არის დაშორებული. ჩვენი ინფორმაციით, ამ საქმეზეც აქტიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს და არ არის გამორიცხული, „ავტოგაზ იტალიას“ მუშაობის უფლება შეუჩერდეს.

მიწების დაკანონების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ავტობაზრობის მშენებლობის საკითხი. გამოძიების ცნობით, სწორედ აქ იკვეთება დავით კირკიტაძის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტი, ვინაიდან „მან საკუთარ ძმას მთლიანი მშენებლობის პროცესში უსასყიდლოდ გადასცა გუბერნიის კუთვნილი სპეცტექნიკა. საუბარია გრეიდერებზე, რომლის დაქირავებაც კომპანიას 250 ათას ლარამდე დაუჯდებოდა.

ავირებს თუ არა ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი საქართველოში დაბრუნებას? ამ კითხვით ჩვენ მის ადვოკატს, გიორგი კონდახიშვილს მივმართეთ, რომელმაც განგვიმარტა, რომ კირკიტაძეს თვითფრინავი

მშენებლობის პროცესი დასრულდა, მემდეგ ეტაპს კი ავტობაზრობის ამუშავება და კონკურენტების ჩაძირვა წარმოადგენდა. აღნიშნული ბაზრობის წინ

დავით კირკიტაძის სახელს უკავშირებენ საავტომობილო განის ბიზნესსაც... კერძოდ, საუბარია კომპანია „ავტოგაზ იტალიაზე“, რომლის მფლობელი ოლქის მაშინდელი პროკურორი, მიშა აბულაძე დავით კირკიტაძის ბავშვის ნათლიაა. ჩვენ მიერ დაზუსტებული ინფორმაციით, აღნიშნულმა კომპანიამ დავით კირკიტაძის მითითებით მიიღო უფლება, რომ აემუნებინა გაზგასამართი სადგური სასტუმრო „რუსთავთან“. გაზგასამართი სადგური აბსოლუტურად არღვევს ასეთი ობიექტისთვის დანესებულ სტანდარტებსა და უსაფრთხოების ზომებს, გამომდინარე იქიდან, რომ ობიექტი საცხოვრებელი კორპუსიდან 5 მეტრით, საბავშვო მოედნიდან კი მხოლოდ 7 მეტრით არის დაშორებული. ჩვენი ინფორმაციით, ამ საქმეზეც აქტიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს და არ არის გამორიცხული, „ავტოგაზ იტალიას“ მუშაობის უფლება შეუჩერდეს.

ადვოკატი: „კირკიტაძე ავიაბილეთი უკვე დაჯავშნა და უახლოეს დღეებში საქართველოში დაბრუნდება“

ვის ბილეთი უკვე დაჯავშნილი აქვს და ის უახლოეს დღეებში საგამოძიებო ორგანოში გამოცხადდება.

გიორგი კონდახიშვილი, ადვოკატი:
- ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი სასწავლო ვიზით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება. წარმოვადგინეთ შესაბამისი დოკუმენტიც და სწორედ ამის გამო, სასამართლომ მის მიმართ არ გამოიყენა საპატიმრო ღონისძიება და გირაო შეუფარდა 10 ათასი ლარის ოდენობით. უახლოეს მომავალში ის აპირებს საქართველოში ჩამოსვლას და გამოძიების კითხვებზე პასუხის გაცემას. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, მას ავიაბილეთი უკვე დაჯავშნილი აქვს.

გამორიცხავთ, რომ საქართველოში დაბრუნებულ კირკიტაძეს ბრალი დაუმძიმდეს? როგორც ჩვენთვის ცნობილია, გამოძიება სხვა საქმეებსაც სწავლობს...

- მე ვერაფერს გამოვიცხადებ. სხვა საქმეების შესახებ ვერაფერს

გეტყვი, თუმცა შემიძლია, გითხროთ, რომ ახლა, როდესაც თქვენ გესაუბრებით, მედღეგრეთ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, სადაც დაბარებულია დავით კირკიტაძის მამა. მასთან კითხვები აქვთ სამშენებლო კომპანიასთან დაკავშირებით. საუბარია ზუსტად და სენაკში სპორტული მოედნების მშენებლობებზე.

როგორც ვიცი, გამოძიება მიმდინარეობს კომპანია „ავტოგაზ იტალიასთან“ დაკავშირებითაც, სადაც ასევე ფიგურირებს დავით კირკიტაძის სახელი...

- ამ ინფორმაციას ვერ დავადასტურებ. მსგავსი მინარის ბრალდება ჩვენთვის არ გაუცნიათ და არც საქმეში ასახულა. რაც შეეხება იმ ბრალს, რომელიც მას წარუდგინეს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს ძალიან მყარი არგუმენტები და დავამტკიცებთ, რომ დავით კირკიტაძე უდანაშაულოა.



უკრაინელი ბიზნესმენი ევგენი უსტინოვი პირადად შეხვდა ვანო მერაბიშვილს, მისგან ბარკვეული განანტივში მიიღო, თუმცა ამის იქით საქმე არ წასულა



თერგდალეულებიდან ატლანტიკდალეულებამდე

ბრიგოლ გეგელია: „აღამიანები, ვინც დღეს კუტირის რუსეთს იცავენ და ხელახლა სურთ საქართველოს რუსეთის გავლენის ძველ მოქცევა, სრულიად ამორალური და უპრინციპო აღამიანები არიან“

EXCLUSIVE

ქეთი ხატიაშვილი

გაიზიარებენ თუ არა პროდასავლელი თერგდალეულების ბედს? განმეორდება თუ არა ოცდამეორე საუკუნის დასაწყისში ის, რაც მეოცე საუკუნის დასაწყისში მოხდა? მოახერხებს თუ არა რუსეთი, საქართველოს დასავლეთისკენ მიმავალი გზა გადაუკეტოს? ბევრი კითხვა ჩნდება, რომლებსაც პასუხები თანამედროვე პოლიტიკოსებმა უნდა გასცენ. რამდენად მზად ვართ, ვუპასუხოთ რისკიან გამოწვევებს და რამდენად შევძლებთ კრიზისების დაძლევას.

„პრაიმტიმ“ ევროპის უნივერსიტეტის ინსტიტუტის დოქტორანტს ბრიგოლ გეგელიას ესაუბრება:

– ბრიგოლ, როგორ ფიქრობთ, გაიზიარებენ თუ არა თერგდალეულების ბედს ატლანტიკდალეულები? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ როგორც მაშინ, მეოცე საუკუნის დასაწყისში, რუსეთი ახლაც ყველაფერს აკეთებს იმისთვის რომ საქართველოს დასავლეთში გასასვლელი კარი ჩაუკეტოს.

– თუ ატლანტიკდალეულებსა და ქართულ პროდასავლურ დასს შორის ტოლობას დავსვამთ, პირველ რიგში, უნდა ვთქვათ, რომ პროდასავლური დასის ბედი მათსავე ხელშია. მათ უდავოდ აქვთ წარმატების რეალური შანსი, თუ გონივრულად ითანამშრომლებს. რაც შეეხება თავად დროს, ანუ ისტორიულ ფაქტორებს, თერგდალეულების ეპოქასთან შედარებით, დღეს ჩვენ არსობრივად განსხვავებული დროის მოქალაქეები ვართ. ჩვენ ვცხოვრობთ ინფორმაციის ეპოქაში, სადაც რუსეთის მანკიერი მხარეები საყოველთაოდ ცნობილია. ისიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ აღამიანები, ვინც დღეს პუტინის რუსეთს იცავენ და ხელახლა სურთ საქართველოს მოქცევა რუსეთის გავლენის ქვეშ, სრულიად ამორალური და უპრინციპო აღამიანები არიან.

სწორედ ასეთია ნინო ბურჯანაძე, ასეთია ევრაზიის ინსტიტუტი და სხვა მომცრო პარტიები თუ ინსტიტუციები, რომლებიც უკვე ნალებია, ყველაფერს აკეთებენ საქართვე-

ლოს რესპუბლიკის ხელახლა მოსასპობად, ხან პატრიოტიზმის, ხან კი დემოკრატიისა თუ სამართლიანობის სახელით. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ასეთ აღამიანებს არაფერი საერთო არ აქვთ არც თავისუფალ, არც დემოკრატიულ და არც სამართლიან საქართველოსთან. მათ თან მოაქვთ უსამართლობა, სიბნელე და მარადიული უკუსვლა. საქართველოს პრიორიტეტები კი თავისუფლება, სამართლიანობა, სოციალური კეთილდღეობა და სამხედრო და პოლიტიკური სტაბილურობაა.

ამიტომ თითოეული ჩვენგანის, თითოეული თანამემდროვე ქართველის, მოქალაქეობრივი ვალდებულებაა, ამ პოლიტიკური ძალების სრული უარყოფა და მივიწყება. თუ ჩვენ ამას შევძლებთ, და ჩვენ ეს აუცილებლად უნდა შევძლოთ, მაშინ ჩვენ რუსეთს არ მივცემთ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევის საშუალებას და ჩვენი სტაბილურობისა და კეთილდღეობის უფრო მეტად მოსასპობად საჭირო დამატებით ბერკეტებს.

– თერგდალეულების მაგალითი ერთგვარი გაკვეთილი უნდა ყოფილიყო ჩვენითვის ახლა არა მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობაში, არამედ ქვეყნის შიგნით ძალების კონსოლიდაციის მხრივაც, თუმცა, თქვენი დაკვირვებით, რამდენად ახერხებენ ახლა პროდასავლური ძალები იმ სამშრომლების ნინააღმდეგ გაერთიანებას, რასაც რუსეთის აგრესია შექცევს?

– ვერ ვიტყვი, არაფორმალურად რამდენად თანამშრომლობენ პროდასავლური ძალები. შესაძლებელია, თანამშრომლობენ კიდევ; იმედი მაქვს, რომ ასეა. თუმცა, ისიც ცხადია, რომ სერიოზული ფორმალური თანამშრომლობა ჯერ კიდევ არ გვხვდება, რაც, საბოლოო ჯამში, შეუძლებელია ჩვენი სამომავლო კეთილდღეობისთვის. აუცილებელი მაგონია, პროდასავლურმა და, ზოგადად, პროგრესის მომხრე პოლიტიკურმა ძალებმა ითანამშრომლონ. სრულიად მნიშვნელოვანია, დღეს ყველა ერთად იდგეს იმ იდეალებისა და იდეების სამსახურში, რაზეც დამოკიდებულია მილიონობით არსებული და კიდევ უფრო მეტი ჯერ კიდევ არ დაბადებული ქართველის ბედი და კეთილდღეობა. რასაკვირველია, ეს თანამშრომლობა მრავალნაირი შეიძლება იყოს: კოალიციური (არჩევნების შემდგომ), ან უბრალოდ სპარტაკულარული თანამშრომლობა რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე. მაგრამ, რა ფორმაც არ უნდა მიიღოს თანამშრომლობამ, ცხადია, რომ ამგვარი თანამშრომლობის გარეშე, გზა გაეხსნება სწორედ იმათ, ვისაც თან მოაქვთ უსამართლობა, სიბნელე და არასტაბილურობა.

– რა ხარვეზებს ხედავთ თქვენ მათ მოქმედებას თუ პოლიტიკაში?

– გაუერთიან-

ნებლობას. ხშირად, როცა ველი პროდასავლური და პროგრესული ძალების ერთიანობას რიგ საკითხებზე, ეს არ გვხვდება, რაც სამწუხაროა. რასაკვირველია, აქ ისეთი ფაქტორები ასრულებს დიდ როლს, როგორცაა მათი ნეგატიური საერთო ისტორია. თუმცა, ვფიქრობ, თუ ამ ძალებს წარსულზე უფრო მეტად ის ადარდებთ, როგორი იქნება ხვალინდელი საქართველო, კერძოდ, იქნება თუ არა

ბაზე. სრულიად ცხადია, რომ ამას აუცილებლად გამოიყენებენ პრორუსული ძალები, რომელთაც ჩვეულებრივ არგუმენტები არ გააჩნიათ, რადგან ისინი იცავენ სახელმწიფოს, რომელიც საქართველოს უკვე საუკუნეებია რეგულარულად ახადგულებს და აფერხებს.

ამ ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს მიერ განცხადებული კურსი ურყევი, ასევე, ურყევი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის პოლიტიკური ნება. საქართველოს სურს, იყოს დასავლური ტიპის სახელმწიფო და შექონდეს იმ სახის სტაბილურობა, რომელსაც დასავლურ სივრცე-სა და სტრუქტურებში ინტეგრაცია გულისხმობს. ამიტომ არ ველი არავითარ სერიოზულ ელექტორალურ გადახრას რუსეთისკენ, რომელიც, როგორც ყველა ქართველმა, ჩინებულად იცის, სრულიად მოსპობს ჩვენი სახელმწიფოს და თითოეული ჩვენგანის თავისუფლებას, ისევე როგორც ქართულ დემოკრატიასა და მილიონობით ქართველის მომავალს.

დღეს ჩვენზე, საქართველოს თავისუფალ მოქალაქეებზე, ძალიან ბევრია დამოკიდებული. შეიძლება უფრო მეტიც, ვიდრე ოდესმე უნდა. 2016 წელს თითოეული ჩვენგანის ხმა იქნება არჩევანი საქართველოს მომავალზე. არჩევანი კი, ერთი მხრივ – მეტ პროგრესსა და უსაფრთხოებას, მეორე მხრივ კი, სრულ სტაგნაციასა და უკუსვლას შორის გვაქვს. შესაძლოა, დღეს განბილებულებიც ვიყოთ, მაგრამ ეს არც ერთი წამით არ ცვლის იმას, რომ რუსეთისა და პრორუსული პოლიტიკოსების სახით, ჩვენ მეცხრეობთ საკუთარ სოციალურ და პოლიტიკურ ალსასრულს. ეს ჩვენმა უმრავლესობამ შესანიშნავად იცის. ამიტომ ვფიქრობ, საქართველო სწორ არჩევანს გააკეთებს.

„აუცილებელი მაგონია, პროდასავლურმა და, ზოგადად, პროგრესის მომხრე პოლიტიკურმა ძალებმა ითანამშრომლონ“

ის თავისუფალი და დაცული, ისინი შეძლებენ გარკვეული ფორმებით თანამშრომლობას.

– კიევის ფონზე ისე ჩანს, თითქოს დასავლეთმა აღმოსავლეთით გაფართოებასა და მეტ ინტეგრაციაზე უარი თქვა, როგორ იმოქმედებს ეს საქართველოზე? ხომ არ უნდა ველოდოთ ნეიტრალური ელექტორატის რუსეთისკენ გადახრის ტენდენციას?

– შესაძლოა, ეს ნეგატიურად აისახოს საზოგადოებრივ განწყო-



ნაციონალების პიარსვლები

დაპირისპირება

პარტიაში და 21

მარტის აქცია



ქეთი ხატიაშვილი

ექსპერტები ამბობენ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ თუ არ გაიყოფა, ის საერთოდ მოკვდება პოლიტიკურად. შესაძლოა, შეფასება რადიკალურია, მაგრამ მოლოდინი სწორედ ასეთია. მეორე მხრივ, შეკითხვაზე, ვინ ვის უნდა გაემიჯნოს, პასუხები სხვადასხვაგვარია. ბევრს მიაჩნია, რომ ნაციონალებმა სააკაშვილზე უარი უნდა თქვან და ცალკე ცხოვრება გააგრძელონ, ზოგიც სააკაშვილს ურჩევს, ძველი ნაციონალები თავიდან მოიცილონ და განახლებული გაუნდონ, ახალი ფურცლიდან დაიწყო პოლიტიკური კარიერა.

ისე ჩანს, სააკაშვილმა უკვე დაიწყო კიევში ახალი პოლიტიკური გუნდის შექმნა და ჩამოყალიბება. ბევრმა მიიჩნია, რომ ახლა სააკაშვილი გაიმორჩილებს იმას, რაც ვარდების რევოლუციის წინ გააკეთა – შევარდნაძის დროს მან დატოვა როგორც შევარდნაძის ორბიტა, ისე უფროსი გუნდი და, სხვადასხვა პოლიტიკურ ფიგურებთან ერთად, „ნაციონალური მოძრაობა“ დააარსა. და მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში ის ვერ არ განმეორებულა, მაინც ვარაუდობენ, რომ სააკაშვილის ახალ გარემოცვაში იქნებიან გიორგი ვაშაძე, დავით საყვარელიძე, გია გენაძე... ანუ ის ადამიანები, ვინც ახლა უკრაინაში არიან ან დასავლეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში სწავლობენ.

„ნაციონალური მოძრაობას“ კი ვერაფერი დედატოვა „მ-ნლიანი სისხლიანი მმართველობის“ იარაღის შეატოვებს. შემთხვევითი არ იყო, რომ ექსპერტიზებმა უკვე ორჯერ განაცხადა საჯაროდ: ყველა ის, ვინც ხელისუფლებაში იყო, მომავალში არსად აღარ იქნება. თუმცა, პოლიტიკურად ამ სიტყვების მიღმა მხოლოდ პიარს ხედავენ. ვალერი გელბახიანი მიიჩნევს, რომ სააკაშვილი ამას ხალხის გასაგონად ამბობს და რომ რეალურად ის სწორედ ნაციონალების ძველ შემადგენლობას დაეყრდნობა. სხვა რესურსი არ არის, სხვა ასეთივე გამოცდილი და ორგანიზებული ძალა არ

არსებობს. სხვებთან ინტერესებზე გაერთიანება შეუძლებელია, ვაჭრობა კი წერს.

ისე, უკვე დიდი ხანია, ნაციონალების გაყოფაზე საუბარი, სააკაშვილს კი დაპირისპირება ჯერ მერაბიშვილთან ჰქონდა, მისი დაპატიმრების შემდეგ – უგულავასთან გაუჩნდა, ამ უკანასკნელის დაკავების შემდეგ უკვე ბოკერიასთან აქვს. ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ სააკაშვილს ბოკერიას პოლიტიკური პროექტი – ალასანიასთან კოალიციის გაფორმება – არ მოეწონა.

ირაკლი ალასანია პოლიტიკაში მართლაც ძალიან სუსტი აღმოჩნდა. ის პოლიტიკურ თამაშებში ვერ ერკვევა და არც სტრატეგია აქვს. ამის თემის საფუძველს იღოვა მისი გადაყენების პროცედურაც. საბოლოო ჯამში, მან საკუთარ თავს მახე დაუგო, როცა საკუთარი თავი პროდასავლურ კურსთან გააიგივა. გარდა იმისა, რომ პრემიერი იძულებული

გახდა, თავდაცვის მაშინდელი მინისტრი პოსტიდან მოეხსნა, ალასანიამ კოალიციაში ბურთიც რესპუბლიკელებს დაუთმო და მოედანიც.

ალასანია მოკავშირის გარეშე დარჩა. მას მარტო მოუწევს საარჩევნო რინგზე ასვლა და ბარიერის გადალახვა. ექსპერტები 2-3%-ზე მეტს არ უწინასწარმეტყველებენ. ირაკლი ალასანია მაინც დიპლომატია, მანამდე ჩინოვნიკი იყო, ის პოლიტიკაში თავს კომფორტულად ვერ გრძობს და ამას მისი ხალხთან მეხვედრებიც ადასტურებს. თუმცა, სერიოზული ამბიციები აქვს.

რესპუბლიკელები მიიჩნევენ, რომ კოალიცია და ხელისუფლება დასავლურ ორიენტაციას ინარჩუნებს. ლევან ბერძენიშვილის განმარტებით, კოალიციაში შემავალი რესპუბლიკური პარტია მარტო ვერ შეძლებდა კურსის დაჭერას, ეს ხალხის არჩევანია და არა ხელისუფლების განმარტავს ის.

ასეა თუ ისე, ექსპერტების შეფასებით, ნაციონალები ახლა ცდილობენ, პროდასავლური ფლანგის მთლიანი „პრივატიზაცია“ მოახდინონ. ანუ ელექტორატს უთხრან, თუ

დასავლეთი გინდათ, მაშინ ხმა ჩვენ უნდა მოგვცეთო.

გაერთიანებას პროდასავლური ძალები ვერ ახერხებენ. თავიდან ირაკლი ალასანიაც კი აცხადებდა, რომ მას ნაციონალებთან ფუნდამენტური შეუთავსებლობა აქვს.

სწორედ ამიტომ, ნაციონალები ცდილობენ, ხელისუფლება პრორუსულ ორბიტას მიიზიდონ. ეს მათ განცხადებებშიც ჩანს.

ახლა ახალი აქციისთვის ემზადებიან. 21 მარტს მთავრობის გადადგომის ლოზუნგით დიდი მიტინგის ჩატარებას აპირებენ. მიზეზი ლარის კურსი და ეკონომიკური კრიზისია, მოთხოვნა – მთავრობის გადადგომა.

სქემა იგივე – რეგიონებიდან ხალხის ჩამოყვანა. ცალკეულ რეგიონებში უკვე გაკეთდა განცხადებები იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება მათ აქციის მოწყობაში ხელს უშლით. ექსპერტების ვარაუდით, ესეც ქვეყნურად გათვლილი პიარსვლაა – ნაციონალები ამით საკუთარი ელექტორატის მოზილიზებას ახდენენ, ანუ ვილაცამ შეიძლება იფიქროს, თუ ჩემიანებს ავიწროებენ, მეც დავიციავ მათო.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ნაციონალების ჩანაფიქრი სწორია – ისინი პარლამენტში უალტერნატივობა არიან და სურთ, რომ ძალების ასეთივე დემონსტრირება ქუჩაშიც მოახდინონ. ანუ ქუჩაც დაიკაონ. 90-იანი წლებიდან მოყოლებული ბევრი რამ პოლიტიკაში მაინც ქუჩაში წყდებოდა. როგორც ჩანს, ნაციონალები მიიჩნევენ, რომ ქუჩაზე ახლაც სოლიდური წილი აქვს და თუ ეკონომიკური კრიზისი გამწვავდება, ყველაფერი სთვის მზად უნდა იყვნენ.

თუმცა, ექსპერტთა ხუშაშვილის აზრით, ნაციონალები თავისი აქციით ხელისუფლების ნისქეილზე უფრო ასხამენ წყალს:

...ერთადერთი საშუალებაა ის, რომ საგნობრივი საუბარი არ იყოს და გამაგრდეს დღევანდელი მთავრობა და ეს საკითხი რეალურად არ დადგეს, არის „ნაციონალური მოძრაობის“ პროტესტი, რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა მოგვიჩვენოთ ეს. ეს არის შეთანხმებული თამაში ორი პოლიტიკური ძალის, რომლებიც თითქმის ერთმანეთთან დაპირისპირებაში კვებავენ ერთმანეთს, ანუ ეს არის ერთგვარი სიმბიოზი, ცუდი სიმბიოზი და „ნაციონალური მოძრაობის“ პროტესტი არის ერთადერთი საშუალება იმისა, რომ დღევანდელი მთავრობა გაამაგროს და ისინი ასრულებენ ამ დაკვეთას, ჩემი აზრით. იმიტომ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პროტესტი აღქმულია ისე, რომ, რასაც ისინი აპროტესტებენ, იმის საწინააღმდეგოს უნდა დაუჭიროონ მხარი და შინაარსობრივ განხილვაში არაფერი შედის. „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს, აქტიუალურ თემებს მიიზიდოს და რაც საზოგადოებაში მნიშვნელობა იქნება, იმის მედროშე გახდეს. ეს არის მახინჯი პოლიტიკური პლაგიატი მათი შესრულებით, რაც მხოლოდ და მხოლოდ აზიანებს პოლიტიკურ პროცესს. ეს არის ერთგვარი შეთანხმებული თამაში. მე არ ვლაპარაკობ მთლიანად ხელისუფლებაზე. უბრალოდ, ერთადერთი, რაც დღევანდელ მთავრობას გაამაგრებს, ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ პროტესტი. ეს შეგნებულად ხდება თუ შეუგნებლად, მეორე საკითხია, მაგრამ საზოგადოების განწყობიდან გამომდინარე, საზოგადოება კრიტიკულად რომც უყურებდეს მთავრობას, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ იღებს ამ თემას, კი არ ააქტიურებს საზოგადოებაში მოთხოვნებსა და პრეტენზიებს მთავრობის მიმართ, არამედ პირიქით, დისტანცირებას ახდენს ამ რეალური პროცესიდან. იმიტომ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ თავად არის დისკრედიტებული და არავის უნდა მათთან ასოცირდებოდეს. აი, ასეთი დრამატული სიტუაციაა.

მიხეილ სააკაშვილი კიევში ახალ გუნდს ქმნის







my View
თამარ გონიანი

მის გარეგნობას რომ შეხედავთ ნაკლებად დასაჯერებელია, მაგრამ ლადო ბურდული უკვე 51 წლის არის. „მე არ ვიპარავ წლებს, ეს თქვენ ხედავთ, არასწორ“ კაცებს. მე ვვარჯიშობ და ეს არის ჩემი ასეთი გარეგნობის დამსახურება“, – გვეუბნება მუსიკოსი. პირველი, რაც მასთან მემართებაში მახსენდება, მისი სიმღერა „ჩემი მშვენიერი ლედი“ და მისი ბინის დახურული „ტუსოვეკებია“, რომელიც 90-იანი წლების თბილისში ხელოვნების, ანდერგრაუნდის, თავისუფლების ბუდე იყო. ინტერვიუზე ამ ისტორიულ სახლში მივდი. „ჩემი ბინა ყველას ფილარმონია ჰგონია, რახან „ტუსოვეკებს“ ვაწყობდი. რომ მოდიან, მერე უკვირთ პატარა სივრცე რომ ხედავთ. მაშინ ავეჯი არ მქონდა და ფართი ჩანდა. პატარაში ხდება დიდი რაღაცები“. გრძელი თმა, საყურე, შორტი – ესეც სიახლე იყო იმ პერიოდის საქართველოში. ამის გამო სულ შარში იყო. მამასთან ერთად მუდმივად მოგზაურ ლადოს დასავლეთიდან მოჰქონდა ის, რაც თავისად მიჩნდა. იყო ამოვარდნილი და „დინების სანინალმდეგოდ“ მცურავი.

ლადო ბურდული: მე ისე ვცხოვრობდი, როგორც თავს კომფორტულად ვგრძობდი და სწორად ვთვლიდი. ეს დინების სანინალმდეგოდ იყო თუ არა, ამის ანალიზს არ ვაკეთებდი. რასაც ვთვლიდი სწორად, ისე ვაკეთებდი. ინდივიდუალური ხასიათი ძლიერი მაქვს. ეს მარცვლი შიგნით გიღვეს, რაც მე უფრო ლეითური მგონია. საქართველოში განსხვავებულის მიმართ მშობარა საზოგადოება. პირველად რომ საყურე გავიკეთე, თმა გავიზარდე და შორტი ჩავიცვი – ჩხუბები ატყდა. ამას ახლა საკუთარი დიორებიდან ვიხსენებ, რომელიც წლიდან ვნერ. მიშზე რომ ვფიქრობ, სიღრმეში მივიღვივარ. არ ვიცი, თურქებმა შეამინეს ასე ქართველები, სპარსელებმა თუ მონღოლებმა. ყველაფრისადმი შიში აქვთ, თავისუფლებისადმი, თავის გამოხატვისადმი. ურჩევნიათ, მოდი, ჯერ სხვა აცვან ჯვარზე და მერე თუ კაი პონტი მოჰყვება, მეც გავიმეორებო. საქართველო ბევრი ეთნოსით არის დასახლებული, რაჭველს არ ესმის მეგრელის, სვანს აჭარელის, ჩაცმა, კვება ისეთი რადიკალურად განსხვავებულია ყველა კუთხეში, რომ ევროპა რომ შემოიაროთ, ეგეთ განსხვავებულს ვერ იპოვით. ჩვენთან საზოგადოებრივი ერთობა ვერ მდგა, ერად ვერ ჩამო-



„სულ პრობლემებში ვიყავი. ქერთიანი, ცისფერთვალე და ნიჭიერი ტიპი რომ ხარ, ამ დროს უბანში ქურდული მენტალიტეტის ძველი ბიჭი ყველაზე კარგი ტიპი რომ არის და ამ სისტემაში რომ არ ჯდება, უკვე კონფლიქტია, აბა, რა არის? ყველას ერთი-ორჯერ მაინც აქვს გაჩხერილი, ჩაცუცქულა უბანში. ჩემს ცხოვრებაში არც ერთხელ არ გამიჩხერია“



გამზრდელი ბებიას მიტოვება არ მიწოდდა. არადა, წასვლის ზარები რეკდნენ. მერე პირველი მუღულე 18 წლის ასაკში შევირთე. ქალიშვილი გაჩნდა. სულ ბრძოლა იყო. ვერ ნავედი. მერე ის იყო, რომ თუ მეფის და მისი სამყაროს შექმნის მოტივაცია გაქვს, ასეთი ადამიანები არ გარბიან ბროლის ველიდან. მიწოდდა იმ გარდაქმნების და ომების დროს გაზრდილ ახალგაზრდებს რწმენა ჰქონდათ, რომ მათ ქვეყანაში იმ დროსაც არსებობდა რაღაც ნათელი. ეს ჩემი მოქალაქეობრივი მისია იყო. როგორც „რეცეპტი“ ისეთი დარტყმა იყო საზოგადოებისთვის და ძლიერი ენერგეტიკული ხელოვნების ნიმუში იყო, დრო გავა და მას კიდევ ბევრჯერ გავრჩევ.

- ვისი მუსიკალური გავლენა გქონდა?
- არა კომფორტული მუსიკა მომწონდა. ჩემიანად „ტირეუსის“ მუსიკას ვთვლიდი. პათოსიანი ნარკომანული გავლენის ჯგუფებზე ვერ ვაკიფობდი. ცოტათი „სევტსკი“ მუსიკოსების მუსიკა მიყვარს - დევიდ ბოუვი, ტომ ვეიტსი. ბავშვობიდან ინსტრუმენტებში ვიზრდები - ფორტეპიანო, კონტრაბასი, ბასგიტარა. „ნაკადულში“ ვმღეროდი. დინამიკების სუნი ვარ გაზრდილი. იყო „მირანგულა“ - ხალხური გუნდი, „საუნჯე“. ქართული ფოლკლორი ზეპირად ვიცი, მუსისსლობრივიც მათქვს. ოპერაში ვაჩხუბებ მიმიყვანა და სუთი წელი ვუკრავდი. ვიყავი კონსერვატორიაში, ნიჭიერთა ათწლიელში და ასე, მუსიკა ჩემი ცხოვრებაა.

- საყურის გაკეთება რატომ მოგიწონდა?
- მამა ბოშის როლს თამაშობდა, სა-

ყალიბდა. ერთი მხრივ, კარგია ასეთ პატარა ქვეყანაში, უდაბნოც არის, ალბური ზონაც, ტროპიკიც, ეს ჩვენს ბუნებაზე მოქმედებს. მამაც ჯანმრთელი იყო, დედაც ლამაზი ადამიანი. ეს მოთხოვნა სინაღისადმი ბავშვობიდან მემკვიდრეობით მაქვს. გენებში მქონდა პროდასავლურობა. სულ პრობლემებში ვიყავი. ქერთიანი, ცისფერთვალე და ნიჭიერი ტიპი რომ ხარ, ამ დროს უბანში ქურდული მენტალიტეტის ძველი ბიჭი ყველაზე კარგი ტიპი რომ არის და ამ სისტემაში რომ არ ჯდება, უკვე კონფლიქტია, აბა, რა არის? ყველას ერთი-ორჯერ მაინც აქვს გაჩხერილი, ჩაცუცქულა უბანში. ჩემს ცხოვრებაში არც ერთხელ არ გამიჩხერია. ბავშვობიდან ნამლისადმი

ზიზილი მქონდა და ვიცოდი, რომ ჩემს ქვეყანას დალუპავდა და დალუპა კიდევ. ნიჭიერთა ათწლიელში ვსწავლობდი, სულ სხვა გარემოში. გარდა ამისა, ძალიან ბევრს ვმოგზაურობდი. ჩემს პირველ დიორში წერია მამაჩემთან ერთად უკრაინაში რომ ვიყავი. მესამე კლასში პირველად ვნახე უკრაინელი გაზურბული ქალები კოცონზე რას მღეროან და უღებენ. იმ დროს აქ ქალები კაბებში ბანაობდნენ. მთელი ჩემი ცხოვრება მოგზაურობაა. ნელინადი არ გავიდოდა სადმე არ წავსულიყავი. ვმღეროდი, იყო პიონერთა სასახლე, ძალიან ბევრ ადამიანთან ვურთიერთობდი. ქუჩისთვის არც მეცალა. ჩემთვის დიდი ტკივილი იყო ის, რომ მილიცია და გარემო - ყველა ერთ ენაზე მელაპარაკებოდა. ერთი ვარცხნილ-

ობა, ერთნაირი სამოსი და ერთნაირი ფასეულობები ჰქონდათ. და ამ დროს მე 87-88 წელს შორტებში ვსწავლობდი და ვიღებოდი. შორტებში და საყურით და ვიღებოდი და რასაც დასავლეთში ვნახულობდი და ვთვლიდი, რომ ორგანულია, იმას ვაკეთებდი. სულ ვფიქრობდი, რომ მე ამ ქვეყნიდან წავიდოდი, მაგრამ დანამაულიც და ბედისწერაც იყო, რომ არ ნავედი. ეს მინანია. მე რომ წავსულიყავი თანამედროვე კულტურა და ბევრი ადამიანი საერთოდ



„სულ ვფიქრობდი, რომ მე ამ ქვეყნიდან წავიდოდი, მაგრამ დანამაულიც და ბედისწერაც იყო, რომ არ წავიდი. ეს მინანია. მე რომ წავსულიყავი, თანამედროვე კულტურა და ბევრი ადამიანი საერთოდ არ იქნებოდა“



არ იქნებოდა. ძველად ამის თქმას ვერიდებოდი, მერიდებოდა. როდესაც მე „ფაბრიკის“ კეთება დაიწყო და ხალხთან ურთიერთობაში შევიდი, ადამიანები 90-იან წლებში რადიკალურად შეიცვალნენ. გადავწყვიტე, რომ ოჯახი მყავს და არსად მივდივარ.

ყურე ეკეთა და მეც გამიწონდა ბავშვობაში. მერე ვნახე ვარსკვლავებს ყველას ეკეთა საყურე. ისედაც მომწონდა და მარცხენა მხარეს ვიყავი. ლამაზმა ჩინელმა გოგომ ამსტერდამში გამიხვრიტა.

- ოჯახი როგორ ხვდებოდა თქვენ ასეთ თავისუფლებას?
- დედა თანამედროვეობა. მამის ახლა მესმის, რაც მამა გავხდი. მეგობრ-



თ, როგორც მუდმივად გასვლაზე ფიქრობდა



ები უზუნუნდენ, შენი შვილი ვნახეთ შორტებში, ახორტილ თმებში და რა წესილი. გუჯა სხვანაირი კაცია და სხვანაირად ესმოდა. თუმცა მისგან რადიკალური აკრძალვა არ მქონია. ერთხელ ტატო კოტეტიშვილმა მიიხრა, შენ რა პანკობაზე უნდა ილაპარაკო, პირველი პანკი მამაშენი იყო. „ბელურების გადაფრენაში“ გუჯა პანკია, აბა, რა არისო - ჩექმები, ტყავის ქურთუკი, ჯინსი, ჩხუბი. ეს უკვე როკკულტურაა.“



„პირველად რომ საყურე გავიკეთე, თან გავიზარდე და შორტები ჩავიცვი - ჩხუბები ატყდა. აბა, ახლანაკური და შორტები ვისხენაბ, რომელსაც 6 წლიდან ვნერ“



„ერთხელ ტატო კოტეტიშვილმა მიიხრა, შენ რა პანკობაზე უნდა ილაპარაკო, პირველი პანკი მამაშენი იყო. „ბელურების გადაფრენაში“ გუჯა პანკია, აბა, რა არისო - ჩექმები, ტყავის ქურთუკი, ჯინსი, ჩხუბი. ეს უკვე როკკულტურაა“

EXCLUSIVE

რაზე წერთ?
- ბროლიდასა და სიყვარულზე. ეს მარადიული თემაა. ასეთი წიგნი ჯერ არ დაწერილა. შეუძლებელია ჩემთვის ყოველ წელს ახალი წიგნი დაწერო. სიმღერა, წიგნი, ყველაფერი, რასაც აკეთებ, შენგან ითხოვს, რომ მოკვდე და შეინირო. მივირს სამ ალბომს რომ უშვებენ წელიწადში. შედეგები მარტივად არ იქმნება. სამ ენაზე უნდათ ამ წიგნის შევლეთი გამოცემა - ინგლისურ, გერმანულ და შვედურ ენაზე. ქართულადაც გამოვა. პრალამი ერთმა ამერიკელმა 2011 წელს კონცერტი გამიკეთა. ამ გოგამ მიიხრა, ნაწამოდგენელია ერთმა ადამიანმა ერთ ცხოვრებაში ამდენი რამე მოასწროო. ათ ფილმში ვარ გადაღებული, მათ შორის რუს კლასიკოსებთან - ეს სხვა ლადო და სხვა ცხოვრებაა. მეორე ცხოვრებაა ჩემი მუსიკალური ცხოვრება.

მესამე - ჩემი საზოგადოებრივი ცხოვრება - „ფაბრიკა“, სახლის „ტუსოვკები“, ფესტივალები - სტაბილური სცენა.

ყველაზე ხშირად რაზე წერთი დღეობებში?
- სიყვარულზე. ახლა რომ ვკითხვლობ ამ სიყვარულისთვის რაიმე წიგნებში ვიყავი. დახვედრა, გატაცება... ერთი თვისება მაქვს - წყინას მალე ვივინყებ. ეგ რომ არ მქონდეს, ინფარქტით ვიქნებოდი მკვდარი. თუ ამიჯერებთ, ცხოვრებაში კაცი არ გამოიხარება, არ დამირტყია. ესეც სულიერი სიძლიერის ნიშანია. საქართველოში ყველა ერთმანეთს შუბლის გახვრეტით ეშუქრება და ჯერ შუბლგახვრეტლი არავინ მინახავს. აქ ამერიკული ვესტერნული ცხოვრება არ არის, ერთი, ორი და ესროლო... აქ მორალური შეშინება, სულის დამაშინებაა. აქ ხომ ვაუკაცობა განხერხის და დღევის დროს ახსენდებათ. ისე, ყველა საკაიფო,

წესიერი ბიჭია. მერე არაფრისთვის ვინებოვით გაიბრუნებინ და ერთმანეთს „ხოცავენ“. სიფიზლში არავის უნდა რაღაცის გამო თავის განიერვა.

ცოლები - ორი ქეთი - მგონია, რომ ბევრი ცოლი გყავდათ...
- არა, მეორე ოფიციალური ცოლი მაყავს. კაცი ვარ და შუალედებში იყვენ გოგონები :) აქ ვინმესთან ერთად თუ დაგინახვენ, აუცილებლად ცოლი უნდა იყოს. მე სტაბილური ადამიანი ვარ. 11 წელი ვიყავით ერთად მე და ქეთი მესხი, პირველი მეუღლე. ჩემი ქალიშვილი თეოდორა, თეჯი უკვე 28 წლისაა. ახლა დედამისთან არის ლონდონში. თეჯი რომ გაჩნდა, სამშობიაროს წინ იმდენი შამპანური გავსენი, ყველა გაოცდა - გოგონა მაშინ ასეთი რეაქცია გაუკვირდათ. ეს ჩემთვის დიდი სიხარული იყო. მერე კიდევ ორი გოგო გამიჩნდა და ყველაზე ერთნაირად დიდი სიხარული მქონდა. ჩემ შემთხვევაში ასეა - იყო ერთი ხელმწიფე, რომელსაც ჰყავდა სამი ანგლოზივით ქალიშვილი :)

დარია და ბარბარე ლადოს მეორე ქორწინებიდან ჰყავს. მეორე მეუღლესაც ქეთი ჰქვია. „ქეთებზე სხვა დამოკიდებულება მაქვს :) მეორე მეუღლე ქეთი მათეშვილია. მასში როცა ვი როლის კულტურა დეგს. ეკოლოგი და ინგლისურის სპეციალისტია. 2004 წლიდან ვიცნობ. ამერიკელმა მეგობარმა გამაცნო. ოჯახი შემთხვევით შევექმენით. დაგეგმილი არ მქონია. დინება მოითხოვდა და ბუნებრივად მოხდა. გყავს ექვსი წლის დარია და ხუთი წლის ბარბარე.

როგორი მამა ხართ?
- მიყვარს დისციპლინა. შინაგანად ჯარისკაცი ვარ. როკმუსიკა ანარქიულია და თავისთავად ბოჰემურია და მენ თუ ნარკომანი შეუერთდი, ეგრევე აფეთქებული ხარ. მსოფლიოს „როკეროლოგიები“ - მიკ ჯაგერი, დევიდ ბოუვი ჯანმრთელები არიან და 75

„მამბრად კარბად ვიცხოვრე. სინდისის ქენჯნა - რაღაცის გაკეთება მიწოდდა და არ გავაკეთე, არ მაქვს. 35 წლამდე არ ვსვამდი. ვვარჯიშობდი, ირგვლივ სულ ნარკომანები და „გლატნი“ ხალხი იყო. ამ როგორ ცხოვრობ ანაიო, უცხოელად მიპატივდებოდა“



„მე არაწავს ბავშვობაში. მართლაც გვერი მეფე ბაჩინოს ამ ქვეყანაში. ცხოვრებული ირაკლი როცა გავიცანი, კარგი ბიჭი იყო. ამ სახლში პირველ ალბომს ვაკეთებინებოდი. ორი წელი ჩემს სახლში იცხოვრა. იყო რაღაც, მე მაინც ვატივს ვცემ, უფალმა ნათელაში აამყოფოს“

წლის ასაკში კიდევ შეიღებს ელოდებო. მითია, რომ როცა ენ როლი აუცილებლად ბოჰემურია. დემოკრატიაც უმკაცრესი დისციპლინაა.

როგორ გგავით?
- თეჯი დაფიქრებული, საყვარელი და რაღაცნაირია. ბრიტანეთში კომერციული განხრით სწავლობს. დარია კრეატიულია და თვალში მშობლები დაურბის, ბარბარე ენერჯიულია.

სიყვარული რა არის?
- უზარმაზარი პასუხისმგებლობა და თავგანწირვა. რთული ტვირთია.

„ტუსოვკები“
ლადო 19 წლიდან მარტო, დამოუკიდებლად ცხოვრობს. თავისუფლებას და მარტო ცხოვრებას მოწყურებული ადამიანები მისი სახლის ხშირი სტუმრები იყვენ. ლადოს „ფაბრიკამ“ ბევრს შეუცვალა ცხოვრების სტილი. სახლი „ტუსოვკებისთვის“, ჩვენებისთვის, პერფორმანსებისთვის... „ორჯენ მოხდა ჩემს „ტუსოვკებზე“ კონფლიქტი, ისიც, მე არ ვიყავი სახლში. სიებით ზუსტად ვიცი ვინ მოდიოდა. კარებში იდგა ბიჭი, უცხო არ უშვებდა. 90-იან წლებში თავდამცავი მქანოვნი მქონდა. ჩვენებაზე თამაშად ჩაცმული გოგონების უხერხული სიტყვა რომ არ შექმნა, არ ხვდებოდნენ ასეთი ადამიანები. გიორგი ნადირაძე, გელა კუპრაშვილი, უტა ბეჭია, ზალიკო ბურგერის - დიზაინერების შტაბი იყო, ხელოვნების

ბუდე. ალექსანდრის შუქურა იყო. ამდენ შიშველ გოგოს ხედავდნენ ამ სახლში და ყველას ეგონა, რომ მე იმ დროს გავეჩემე ნახევარი თბილისი. ასე რომ ყოფილიყო, ასეთი „ტუსოვკები“ არ ჩატარდებოდა. მე ყველაფერი ვიყავი - დირექტორიც, დამლაგებელიც, ძაფი, მკრატელი, აბა, სანთელი ჩაქრა - ყველას ხელს ვუნწყობდი.

ორი მეფე
რატომ დაირქვეთი იმპერატორი?
- მუსიკის წერა იმ მოტივაციით დაწინე, რომ შექმეჩნა სამეფო, სადაც აღწერილი განცდებს როგორც მეფე და იმპერატორი.

ამ ქალაქში იყო მეფე ირაკლი ჩარკვიანი. არსებობდა კონფლიქტი?
- ცხოვრებული ირაკლი როცა გავიცანი, კარგი ბიჭი იყო. ამ სახლში პირველ ალბომს ვაკეთებინებდი. ორი წელი ჩემს სახლში იცხოვრა. იყო რაღაც, მე მაინც ვატივს ვცემ, უფალმა ნათელაში აამყოფოს მისი სული. იმას თავისი გზა აქვს, მე - ჩემი. მე რომ მეფე დავიქვე, ეს არავის დისკრიმინაცია არ ყოფილა. სცენაზე, რომელიც მე გაკავეთე, სულ მეფეები და დედოფლები უნდა შეიქმნა. 1995 წელს „ჩემი მშვენიერი ლედი“ რომ დაწერე, იქ იყო ფრანზა - „ჩემი სამეფო“. მე არავის გავეჩობრებოვარ. დემეტრე ბევრი მეფე გაჩინოს ამ ქვეყანაში.

„ბორის ნემცოვი ხილვა არ მოუკლავთ“



**აღვრედ
კოხი:
„მეშინია,
რომ
შემაღები მე
პიქნაში“**

ხათუნა მაგალობლიშვილი

ვინ იქნება შემდეგი მსხვერპლი? ბორის ნემცოვის მკვლელობიდან რამდენიმე დღეში რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, სახელმწიფო ქონების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრის ყოფილი მოადგილე ალფრედ კოხი გერმანულ გამოცემა „Bild“-ს ინტერვიუს აძლევს: „მეშინია, რომ ბუნდუქი და ნემცოვი არ არიან უკანასკნელები, რომლებიც სიცოცხლეს გამოემშვიდობნენ, მეშინია, რომ შემდეგი მე ვიქნები“.

კოხი აღიარებს, რომ ერთი წლის წინათ გერმანიაში, ზემო ბავარიის ერთ-ერთ სოფელში პოლიტიკოსების საიდუმლო შეხვედრა შედგა, რომლის ორგანიზატორიც თავად იყო. შეხვედრის მონაწილეებიდან ორი უკვე გარდაცვლილია: კახა ბუნდუქი და ბორის ნემცოვი. კოხი ასევე ასახელებს შეხვედრის მიზნებს: „იმ სამდღიანი საიდუმლო შეხვედრის მიზანი პუტინის ხელისუფლების გასაღებად გზის მოძებნა იყო“. კოხი ბუნდუქი-პუტინის მტრად ასახელებს, ისევე როგორც ნემცოვს: „ბუნდუქი საიდუმლო შეხვედრის რამდენიმე კვირაში მოკლეს და თითქოსდა გულის შეტევით დაიღუპა“. ვარაუდს, რომ შემდეგი თავად იქნება, „ფოტომტკიცებულებით“ ხსნის – ნემცოვის გასვენებაში „კატაფალკის“ სანომრე ნიშანზე სწორედ კოხის ამოკითხვა იყო შესაძლებელი. თავად პოლიტიკოსი დარწმუნებულია, რომ ეს მინიმუმ უშუალოდ პუტინისგან მოდის...

ვინ არის ალფრედ კოხი? – ის სხვადასხვა დროს საკმაოდ სერიოზულ პოსტებს იკავებდა რუსეთის ფედერაციაში. 1997 წელს კოხი რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, თუმცა თანამდებობა იმავე წელს ეგრეთწოდებულ „მწიკვლების საქმის“ გამო დატოვა. 1997 წელსვე დაინიშნა „Montes Auri“-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ერთ-ერთი ლიდერი კომპანია იყო. 2000 წლის ზაფხულში კოხი პოლინგ „გაზპრომ-მედის“ გენერალური დირექტორი ხდება, ერთი წლის შემდეგ კი HTB-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ ინიშნება.

სისხლის სამართლის საქმე კოხის წინააღმდეგ ორჯერ იყო აღძრული. პირველად ელკინის პრეზიდენტობის დროს, რომელსაც „მწიკვლების საქმე“ ეწოდა. „ნიგნების სკანდალი“ 1997 წელს მოხდა, როდესაც ხმაურში ელკინის ადმინისტრაციისა და მთავრობის ხუთი მაღალჩინოსანი გაეხვიდა, მათ შორის იყო სწორედ ალფრედ კოხი და მასთან ერთად ანატოლი ჩუბაისი, მაქსიმ ბოიკო, ალექსანდრე კაზაკოვი და პიოტრ მასტაგოვი. ხუთივე მათგანმა ავანსის სახით წინასწარ აიღო 90 ათასი ამერიკული დოლარი ჯერ არდაწერილ წიგნში – „რუსეთის პრივატიზაციის ისტორია“ (История российской приватизации). სისხლის სამართლის საქმე 1999 წელს ამნისტიის შედეგად შეწყდა.

მეორე სამართლებრივი დევნა კი ერთი წლის წინათ, 2014 წლის ზაფხულში განხორციელდა, როდესაც კოხმა რუსეთიდან გერმანიაში ნახატი გატანა სკანდალში მისი წინააღმდეგ კონტრაბანდის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. კოხს ნახატი 18 ათას რუბლად ჰქონდა დეკლარირებული, თუმცა მებუფებმა ჩათვალეს, რომ ხელოვნების ნიმუშის ღირებულება გაცილებით მეტი იყო. კოხი გერმანიაში გაუშვეს, რის შემდეგაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ხელოვნების სპეციალისტები აცხადებენ, რომ ნახატი არ არის ძვირადღირებული და ესეც რომ არა, რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით, ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს, ქვეყნიდან 10 ათასი ამერიკული დოლარის ღირებულების ნამუშევარი გაიტანოს. თუმცა ბევრისთვის გაურკვეველია, როგორ აღიძრა საქმე კონტრაბანდის მუხლით, მაშინ როდესაც რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსიდან აღნიშნული მუხლი 2012 წლიდან ამოღებულია. კოხის თანამოაზრეები აცხადებენ, რომ სამართლებრივი დევნა პუტინის ხელისუფლების წინააღმდეგ გაკეთებულმა განცხადებებმა გამოიწვია. თავად კოხი FACEBOOK-ის საშუალებით ავრცელებს ინფორმაციას, რომ რუსეთში

მის მეუღლესთან გამოძიებლებიც იყვნენ მისულები, ხოლო თავად რუსეთის ფედერაციაში შესვლა ეკრძა.

პარალელურად რუსეთის მედიაში ვრცელდება ნემცოვის მკვლელობის ახალი, როგორც თავად უწოდებენ, საკმაოდ „ველური“ ვერსია – ბორის ნემცოვი არ მოუკლავთ ხილვს, ის იქ უკვე მოკლული მიიტანეს. ვერსიის დასამტკიცებლად ავტორს ბევრი ოფიციალური ფაქტი და მათი არაოფიციალური ახსნა მოჰყავს: „უზნო“, „მაკაროვის“ იარაღი; ბორის ნემცოვის უსისხლო სხეული, რომელიც ბოლო ტყვიის მოხვედრამდე ფეხზე იდგა; პოლიტიკოსის ფოტომოდელი მეგობარი გოგონა, თავისი ფოლადის ნივთებით, რომელმაც არ მოახლოოდა მკვლელობის ადგილს; თოვლგამწმენდი მანქანის უცნაური მძღოლი, რომელიც არც კი გადმოსულა მანქანიდან, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად მიხვდა, მკვლელობის მომენტი რომ გახდა. ყველა ეს უცნაურობა შეიძლება ერთადერთი მიზეზით აიხსნას – ნემცოვი ხილვს არ მოუკლავთ. ის ცოტა ხნით ადრე მოკლეს ზურგში ტყვიის ესროლით, უკვე გარდაცვლილს ესროლეს დამატებით და მხოლოდ ამის შემდეგ მიიტანეს ადგილზე“.

ვერსიის ავტორს უცნაურად ეჩვენება ანა ღურიცკაიას რეაქცია მკვლელობის მომენტში: „უცნაურია, რომ ფოტომოდელმა, რომლის თვალწინაც მოკლეს ნემცოვი, არ მოახლოოდა მკვლელობის ადგილს და არ მოუხმო საშველად გამგელებს. ის ხომ ექიმი არ არის და არ იცოდა, მიყენებული ჭრილობები სასიკვდილო იყო თუ არა... სანაცვლად ფოტომოდელი საკმაოდ მშენებლად გამოლაპარაკა თოვლგამწმენდი მანქანის მძღოლს, რომელიც არც კი გადმოვიდა მანქანიდან, თუნდაც ადამიანური ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად“.

ანა ღურიცკაიას მისამართით ეჭვები დადასტურდება იმ შემთხვევაში, თუ გავრცელებული ინფორმაცია ფოტომოდელის კივიდან გაქცევის შესახებ სიმართლე აღმოჩნდება. როგორც ღურიცკაიას რუსი ადვოკატი, ვადიმ პროხოროვი აცხადებს, ღურიცკაია, ბოლო მონა-

ცემებით, კივიმ იმყოფება, თუმცა ადვოკატი მასთან დაკავშირებას ვეღარ ახერხებს: „ჩემი დაცვის ქვეშე მყოფი ანა ღურიცკაია უკრაინის ტერიტორიაზე იმყოფება, თუმცა მისი ადგილმდებარეობის ზუსტი ადგილი უცნობია, ვიცი მხოლოდ ის, რომ უკრაინის ტერიტორიაზე იმყოფება ნემცოვის მკვლელობის მთავარი მონიშნის მიმართ გამოწვეული დიდი ინტერესის გამო მას არ სურდა მედიასთან ურთიერთობა. ვიმედოვნებ, რომ ღურიცკაია უკრაინის ტერიტორიას არ დატოვებს და გამოძიებას არ დაემალება. საჭიროების შემთხვევაში შევეცდები, მასთან კონტაქტი დავამყარო“.

რუსულ მედიაში უკვე გაჩნდა ვერსია, რომ ფოტომოდელი რეალურად არც კი ყოფილა ნემცოვთან


ძალიან უცნაური დამთხვევა და მოსკოვის ცენტრი ნემცოვის მკვლელობის მომენტში ცოცხალი ადამიანებისგან დაცლილი იყო, ან უბრალოდ არანაირი გასროლა არ მოხდა. და ყველაზე მთავარი, ეს დროის მონაკვეთი, რომელიც არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. 23:31:12 – ზუსტად ჩანს, რომ ნემცოვი ჯერ კიდევ ცოცხალია, მეგობარ გოგონასთან ერთად მოძრაობს და მათ უახლოვდება „თოვლგამწმენდი“ მანქანა. 23:31:16 – სავარაუდო მკვლეელი გამოშვების სწორედ „თოვლგამწმენდი“ მანქანიდან გაზაზე, სადაც ის უკვე თეთრ მანქანაში ჯდება და უჩინარდება. გამოდის, მკვლელობა ზუსტად 4 წამში განხორციელდა, რაც წარმოუდგენლად მიაჩნიათ და აი, რა-



ერთად. როგორც ამბობენ, ანა ღურიცკაიასთან ერთად, სავარაუდოდ, სწორედ ის ადამიანი იყო, რომელიც შემთხვევის ადგილიდან თეთრ მანქანას გაჰყვა. ნემცოვის სხეული კი ადგილზე სწორედ თოვლგამწმენდი მანქანის საშუალებით მიიტანეს. ხილვს მისი სხეულის მოსათავსებლად, სავარაუდოდ, ზუსტად ოთხი წუთი დასჭირდა, ანუ ის პერიოდი, როდესაც ხილვს განთავსებული კამერები გათიშული იყო. ამ ვერსიას ამყარებს ის ფაქტიც, რომ ადგილზე არ დაჩქარო. ნესით, სამივე ჭრილობიდან სისხლის საკმაოდ დიდი რაოდენობა უნდა დაღვრილიყო. სურათზე კი, სადაც ძირს დაგდებული ნემცოვი ჩანს, საერთოდ არ ეტყობა ჭრილობები.

„ამ ვერსიას თუ დაუფერებთ, მაშინ მკვლელს სამალავიდან გამოსასვლელად, ექვსი გასროლის განსახორციელებლად და გასაცქევად ზუსტად 4 წამი დასჭირდა. რეალურად კი „მაკაროვის“ ტიპის სისხლუმის იარაღიდან ნუთში 30 გასროლის განხორციელება შესაძლებელია, შესაბამისად, ექვსი გასროლისთვის 12 წამია საჭირო. ჩავთვალოთ, რომ ეს აღნიშნული იარაღის ოფიციალური მონაცემებია და რეალურად უფრო სწრაფად შეიძლება ექვსი გასროლის განხორციელება. ესეც რომ დავუშვათ, მივხვდებით, რომ წარმოუდგენელია, რადგან ნებისმიერმა ადამიანმა საჩვენებელი თითით სასხლეტზე ექვსჯერ გამოკვრა რომ გაითამაშოს, დარწმუნდება რომ ამისთვის მინიმუმ 2 წამია საჭირო. ამაზე კი უნდა დავუმატოთ თითო გასროლის შემდეგ იარაღიდან მასრის გადმოსაცხება და ახალი ტყვიის საჭირო ადგილას ახლათავსებად გათვალისწინებული დრო – მინიმუმ 0,5 წამი. ამ მონაკვეთში სასხლეტზე ხელის დაჭერა არ შეიძლება. ყველა დეტალის გათვალისწინებით იდეალურ შემთხვევაში ყოველგვარი მომზადების, სამალავიდან გამოშვების, დამიზნების გარეშე გასასროლად მინიმუმ 4,5 წამია საჭირო“...

გარდა ამისა, ეჭვები გააჩნა იმ ფაქტმა, რომ არცერთი არც ერთი თვითმხილველი, რომელმაც გასროლის ხმა გაიგო. თუ გავითვალისწინებთ, რომ შემთხვევის ადგილიდან 130 მეტრის დაშორების ავტობუსის გაჩერება, სადაც, როგორც ნესი, უამრავი ადამიანი ირევა და ესეც რომ არა, მოსკოვის ცენტრში, პარასკევ საღამოს უამრავი ადამიანი მოძრაობს, გამოდის, რომ მოხდა



კახი კალაძე - გადაწყვეტილება, როელიც მივიღე, საკმაოდ გააზრებული მქონდა

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი დღეს ვიცე-პრემიერი და ქვეყნის ენერჯეტიკის მინისტრია. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში წავიდა, საფეხბურთო თემებში კვლავ აქტიურად არის ჩართული და ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო კომისიის წევრიცაა. კახი კალაძე ხშირად წინდება მშობლიური კლუბის, „სამტრედიას“ თამაშებზე და მიუხედავად სამუშაო რეჟიმისა, არასდროს აცდენს შეხვედრას. კლუბის დირექტორი, მინისტრის მამა, კარლო კალაძეა, სამწვრთნელო შტაბი კი კალაძის მეგობრებით არის დაკომპლექტებული. მას შემდეგ, რაც ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი პოლიტიკაში წავიდა, ეს ინტერვიუ პირველია არაპოლიტიკურ თემებზე. კახი კალაძესთან ექსკლუზიური ინტერვიუ, სამტრედიაში, „სამტრედია“-სიონის“ და პირისპირებისას ჩაინერა. რა სტატუსი აქვს თავად ვიცე-პრემიერს გუნდში და ერევა თუ არა გუნდის საქმიანობაში, რას ფიქრობს ფეხბურთის ფედერაციაზე და ნანობს თუ არა ფეხბურთიდან პოლიტიკაში წასვლას - „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ კახი კალაძესთან.

- „სამტრედიას“ თამაშებზე ხშირად დადიხართ, გუნდთან რა სტატუსით ურთიერთობთ, გულშემატკივრის თუ ფინანსურადაც ახალისებთ?

- არამხოლოდ გულშემატკივრის სტატუსით. ამ რაიონში დავიბადე, აქ გავიზარდე, ბევრი ჩემი მეგობარი დღესაც თამაშობს. სხვათა შორის, საინტერესო ჩემპიონატია.

- თქვენ იყავით მომხრე, ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი 16-გუნდიანი გამხდარიყო, ამ გადასახედიდან გაამართლა ამ მოდელმა?

- მე ვფიქრობ, ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთი საინტერესო ჩემპიონატია და თუ სატურნირო მდგომარეობას გადავხედავთ, ყველა



„ასეთი ადამიანები უნდა მოვიდნენ ფეხბურთის ფედერაციაში, სუფთა წარსულის მქონე და მიხედონ ქართულ ფეხბურთს“

„მივესალმები ისეთი ადამიანის მოსვლას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად, როგორც არის ლევან კობიაშვილი და ეს მართლაც მისასალმებელია, მისი წარსულით, მისი ფეხბურთის თამაშიდან გამომდინარე, მისი პატიოსნებით და ქვეყნისა და ფეხბურთის სიყვარულით“

EXCLUSIVE

„ეს არის ის სტანდარტები, რომელიც მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული საფინანსო შეხვედრისთვის და დარწმუნებული ვარ, ღირსეულად შევხვდებით ამ თამაშს“

ის შესაძლებლობა აქვს „სამტრედიას“, რომ მართლაც მოიპოვოს საგზური.

- მალე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები იქნება. ჩვენ ვიცით, რომ თქვენც და „სამტრედიას“ სამწვრთნელო შტაბიც ლევან კობიაშვილის თანამოაზრე-

თანამდებობის პირების დანიშნა. ეს დრო უკვე წარსულს ჩაბარდა.

- თქვენ გაასწავლეთ მოვლენებს, როდესაც დააანონსეთ, რომ ლევან კობიაშვილი ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას. მოგვიანებით ლევანს მოუხდა განმარტებების გაკეთება, რომ თქვენ მისი მეგობარი ხართ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს და არავის ლობირება არ სჭირდება ამ პოსტზე კენჭის საყრდელად და რომ მას საკუთარი წარსული აძლევს ამის უფლებას, ხომ არ იჩქარეთ?

- მე არასდროს მითქვამს. ეს იყო ჟურნალისტის მიერ დასმული შეკითხვა და მე ვთქვი, რომ მივესალმები ისეთი ადამიანის მოსვლას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად.

როგორც არის ლევან კობიაშვილი და ეს მართლაც მისასალმებელია, მისი წარსულით, მისი ფეხბურთის თამაშიდან გამომდინარე, მისი პატიოსნებით და ქვეყნისა და ფეხბურთის სიყვარულით. ზუსტად ასეთი ადამიანები უნდა მოვიდნენ ფეხბურთის ფედერაციაში, სუფთა წარსულის მქონე და მიხედონ ქართულ ფეხბურთს.

- ანუ იმას ამბობთ, რომ ფეხბურთის ფედერაციაში ძირეული ცვლილებებია საჭირო და ახალი სისხლი?

- რა თქმა უნდა. ჩვენ გარკვეულ სახეებს წლებს

განმავლობაში ვხედავთ ფეხბურთის ფედერაციაში, რაც, გარკვეულწილად, საზოგადოებაშიც კითხვებს აჩენს. ვერ ვხედავთ ფეხბურთის განვითარების რეზულტატს და გარკვეული ცვლილებები უნდა განხორციელდეს.

- ვიცით, რომ ევროპის სუპერთასის მოსამზადებელ პროცესში ხართ ჩართული, რომელიც თბილისში აგვისტოში გაიმართება, რა ეტაპზეა ახლა სამუშაოები?

- სერიოზული სამუშაოები მიმდინარეობს, მე კომისიას ვხელმძღვანელობ და ფაქტობრივად, ამ მიმართულებით. დღეს უკვე დასრულებული გვაქვს სამუშაოები ყველა მიმართულებით. ეს არის განათების მთლიანი შეცვლა, ახალი ტაბლო გვექნება, ასევე დასაჯდომები იქნება გამოცვლილი და სულ ახალ დიზაინში იქნება, ასევე კამერების სისტემა და ძალიან ბევრი დეტალია, რომელსაც ითხოვდა უეფა. ეს არის ის სტანდარტები, რომელიც მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული საფინანსო შეხვედრისთვის და დარწმუნებული ვარ, ღირსეულად შევხვდებით ამ თამაშს.

- ალექსანდრე იაშვილი დაუბრუნდა ფეხბურთს და თამაში განაახლა „სამტრედია“ რიგებში, როდესაც თქვენ ყოფილ თანაგუნდეებს უყურებთ, გული არ გწყდებათ?

- მისასალმებელია, რომ ისეთი გამოცდილი ფეხბურთელი, როგორც იაშვილია, დაბრუნდა. ვფიქრობ, წელსაც საინტერესო ფეხბურთს აჩვენებს ქართველ გულშემატკივრებს.

- კახი კალაძე ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელია. ამ გადასახედიდან, ან წლების შემდეგ, ხომ არ ნანობთ და ხომ არ ინანებთ პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილებას რომ მიიღეთ და საკუთარი რესურსი ქართული ფეხბურთის განვითარებას არ მოახმარეთ?

- როგორც ფეხბურთელმა, მაქსიმალური გავაკეთე. რისი მოგებაც იყო შესაძლებელი, ყველაფერი მოვიგე, თუმცა შეტიც იყო შესაძლებელი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ის გადაწყვეტილება, რომელიც მე მივიღე, საკმაოდ გააზრებული მქონდა, ვიცოდი სად მოვდიოდი, რისთვის მოვდიოდი. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება იყო ჩემი მხრიდან.

„ვიცოდნი სად მოვდიოდი, რისთვის მოვდიოდი. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება იყო ჩემი მხრიდან“

მიხვდება, თუ რამდენად საინტერესოა ეს 16-გუნდიანი ჩემპიონატი. მართლმე არ ვიყავი მომხრე, ბევრი ადამიანი იყო საფეხბურთო სამყაროდან მომხრე და ამ მოდელმა გაამართლა.

- „სამტრედიას“ რაც შეეხება, გუნდი უმაღლეს ლიგაში გადმოვიდა, გაძლიერდა. რა იქნება მისი მიზანი და თქვენთვის მისაღები შედეგი?

- მნიშვნელოვანია რეზულტატი. მოთხოვნაც, როგორც ვიცი, მწვრთნელებისა და გულშემატკივრის მხრიდან, არის გუნდის გასვლა ევროპაზე. იმ-

ები ხართ, მოქმედ ხელმძღვანელობასაც ჰყავს თავისი ფავორიტი, ამის გამო, ხომ არ გგონიათ, რომ ფედერაციიდან კლუბზე რაიმე სახის ზეწოლა იქნება?

- ზეწოლა არა. ვფიქრობ, ის დრო აღარ არის საქართველოში, რაც წლების განმავლობაში ხდებოდა. ძალიან კარგად გვახსოვს ის დრო, თუ როგორ ირჩევდნენ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტებს, როგორ ხდებოდა გარკვეული

„როგორც ფეხბურთელმა, მაქსიმალური გავაკეთე, რისი მოგებაც იყო შესაძლებელი, ყველაფერი მოვიგე“



5 წელი ერთად, - კედოს და ნანკას „თავაში ნახ“

დედა თავბერძე


„ჩემო სიამაყე, ესეც 5 წელია... მიყვარხარ“ - ამ სიტყვებით ნანკა კალატოზიშვილი სიყვარულს ირაკლი კვიციას უხსნის.

წლების წინ ადამიანები ნანკას ცხოვრების „თავისუფალმა სტილმა“ და „თამამმა განცხადებამ“ აალაპარაკა. „ჩვენ ვართ ლამაზი ოჯახი, ჯვრისწერა და ხელმოწერა ჩვენი მიზანი არ არის, დასაბუთება არ მჭირდება და არც მინტერესებს“, - ამბობდა მსახიობი. 5 წლის წინ ეს თამამ განცხადებებს ითვლებოდა და ცოტათი მოუღებელიც იყო ერისთვის. ბოლო წლების განმავლობაში კი თავისუფლება იმდენად არასწორი კუთხით დამკვიდრა ჩვენს რეალობაში, რომ გადახალისებულ-გადაგვარებული ქართული ყოფა დღეს ამგვარ განცხადებებს შენატრის. ბევრიც მიხვდა, რომ ნანკას ეს ვითომდა თამამი ნაბიჯი არაფერი იყო თუ არა ერთი უწყინარი სვლა ქალისა, რომელიც, მხოლოდ საკუთარი ცხოვრებითა და ბედნიერებით ცხოვრობდა.

სცენის დედოფლად მონათლული მსახიობისა და კალატოზიშვილის ურთიერთობა, 5 წლის წინ, მეგობრობით დაიწყო, მერე სიყვარულიც შემოეპარათ და პატარა დანიელად გარდაიქმნა.

„დანიმ მთლიანად შეცვალა ცხოვრება, სხვა ფერები გაჩნდა, ბევრად ემოციური და თბილი ყველაფერი“, - ამბობს ნანკა „პრაიმტიმითან“ და მისი ცხოვრების ორ ძვირფას და მნიშვნელოვან ადამიანზე საუბრობს.

სოციალურ ქსელში კი უზავდა არის კომენტარები, მეგობრები, ნაცნობები და უბრალოდ კეთილისმსურველი უცნობები მათ თანაცხოვრების ხუთ წელს ულოცავენ და ბედნიერებასა და ერთად ყოფნის მრავალ წელს უსურვებენ.



ნანკა კალატოზიშვილი:

- დანიმ მე და კედოც ძალიან შეგვცვალა. ახლა უფრო ფრთხილები და ყურადღებებიანები ვართ, და, რაც მთავარია, ის გრძობა, რაც კედოს მიმართ მქონდა, ვერც წარმომედგინა, კიდევ უფრო თუ განვითარდებოდა, ამ ყველაფერმა კი ეს ემოცია კიდევ უფრო გააღრმავა.

- რა აქვს კედოს ისეთი, რაც სხვა მამებისგან გამოარჩევს? თუ გეზმარებოდა ან გეზმარება ბავშვის მოვლაში?
- კედო, ზოგადად, ყველასგან გა-

„იმისთვის რომ ბედნიერი იყო, სიყვარული უნდა ცხოვრობდა და საყვარელი პროფესიით უნდა გუჟაობდა“



რომ ძალიან თბილია, შეუძლია საათობით ისე იჯდეს დანისთან ერთად და ეთამაშოს მას. ძალიან საყვარლები არიან ერთად, ამის ყურებას არაფერი სჯობს.




მოირჩევა ჩემთვის და შესაბამისად, რაღაც კონკრეტულის თქმა გამიჭირდება. მთავარი, რაც აქვს, ის არის,

დანიმ დაბადებიდან დღემდე კედო ძალიან მენამარება. დილით ადგომა იქნება ეს თუ ბავშვისთვის გამოცვლა, უფრო პატარა როცა იყო აძინებდა კიდეც. კედო თავის სახელებს არქმევს და ასე ეფერება ხოლმე.
- ამბობენ, ნანკაც არქმევს კედოს სახელებს.
- კი, კედოს რამდენიმე სახელს ვეძახი მოფერებით და დაეფიქსირე, რომ ამასობაში კედოს საერთოდ აღარ ვეძახი.

„ვისოლ ჯგუფმა“ თბილისში „დანკინ დონატსის“ მესამე რესტორანი გახსნა

მარიამ გვარამია

7 მარტს „ვისოლ ჯგუფმა“ პოპულარული ამერიკული რესტორნის „დანკინ დონატსის“ რიგით მესამე ობიექტი გახსნა. რესტორანი მომხმარებელს უგემრიელესი სენდვიჩების, ფუნთუშეულის, ცივი და ცხელი სასმელების, მაფინების და კრუასანების ფართო ასორტიმენტს სთავაზობს. გახსნაზე „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ ახალი პროექტის - საქართველოში სანაყინეების ქსელის frosty Corner-ის განვითარებასთან დაკავშირებითაც ისაუბრა. „პირველ რიგში, დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს მომხმარებლებს, რომლებმაც შეიყვარეს „დანკინ



დონატსის“ ბრენდი და თავიანთი ერთგულებით სტიმულს გვაძლევენ რესტორნების ფართო ქსელი შექმნათ საქართველოში. „ვისოლ ჯგუფი“ ასევე „ვენდის“ ბრენდის ქვემომუშავე სანაყინეების ქსელის frosty Corner-ის განვითარებასაც იწყებს.



„ვისოლის“ ეს წამოწყება გააძლიერებს „ვენდის“ და „დონატსის“ ბრენდებს ჩვენს ქვეყანაში, რაც თავისთავად ნიშნავს ახალ ინვესტიციებს და სამუშაო ადგილებს“- განაცხადა „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ.

frosty Corner-ის სანაყინეები განთავსდება, როგორც „ვენდისა“ და „დანკინ დონატსის“ რესტორნებში, ასევე ცალკე ობიექტების სახით. სანაყინე მომხმარებელს უნიკალური რეცეპტით დამზადებულ 25 სახეობის ნაყინს, შეიკს და სხვა ნაყინზე დამზადებულ პროდუქტებს სთავაზობს. შეგახსენებთ, რომ „ვისოლ ჯგუფ-



მა“ ამერიკული რესტორნების ქსელის „ვენდის“ განვითარება 2013 წელს დაიწყო, ხოლო „დანკინ დონატსისთან“ ხელშეკრულებას ხელი 2014 წელს მოაწერა. დღესდღეობით რესტორნები წარმატებით ფუნქციონირებენ. 2015 წლის ბოლომდე საქართველოში „დანკინ დონატსის“ კიდევ 15 რესტორანი გაიხსნება. (A)



„იჯი“ და დანი, რომელმაც ცხოვრება შეცვალა



**ნანკა
კალატოზიშვილი:**

**„ჩემო
სიახაყე,
ესეც
5 წელიწად...
მიყვარხარ“**

**ბურბუხელაჭამია ნიანგი,
კენბურუ ნაცემი ვირის
სახით და გაოცებული
ირაკლი კვიციანი**

EXCLUSIVE

**„ჩხუბით, როგორც ასეთი,
არ ვჩხუბობთ სოლემ,
ვერც ვხვდები რაზე უნდა
ვიჩხუბოთ, ან რატომ?“**

- ბავშვი ვის უფრო ჰგავს შენ თუ კედოს და როგორია, ცელვი თუ მშვიდი?
- დანი, ნამდვილად არ არის ბავშვი, რომელიც ერთ ადგილას ზის დიდი ხანი... ნუ, ჩვენი შვილი ძალიან წყნარი ვერც იქნებოდა. ვიზუალურად ორივეს გვგავს, საქციელითაც, თან დედას თუ ძიასის, ეგრევე მამას აყოლებს. ამ სიტყვებს ერთად ამბობს.
- შენ მშვიდი დედა ხარ თუ ფეთიანი?
- მშვიდი დედა ვერ ვარ, უფრო ფეთიანი, ალბათ, სულ ფეხდაფეხ დავეყვები - რამეს არ მიარტყას თავი, არ დაზიანდეს, ისეთი ხიფათიანია, ამაშიც მე მგავს ძალიან. დამალობა და დაჭერობა უყვარს და როცა გარბის წინ არ იყურება, სულ უკან აქვს სახე მოტრიალებული და სულ პანიკა მაქვს. თამაშისას სულ - ნელა, ნელა - მაკერია პირზე.
- სამივე ერთად თუ თამაშობთ ხოლმე და რა თამაშია ეს?

- დაჭერობანას ვთამაშობთ ხოლმე სამივე ერთად, დანი მოდის, ხელს მკიდებს და მერე მამას ეძახის. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გავიქცეთ და ის გამოგვეკიდოს.
- როგორც ვიცი ძიძა არ გყავს, როგორ უმკლავდები ხოლმე საქმე ძიძის გარეშე?
- ძიძა არ მყავს, დედა მეხმარება, თუმცა, რასაც ის აკეთებს უკვე დახმარებას ვერ დავარქმევ. დანისთან რომ ყოფილიყო სამსახურს დაანება თავი, ძიძის ხსენებაც არ უნდა. მეც ვერ წარმომიდგენია დედაჩემის გარდა ვის შეიძლება ვანდო დანი.
- ფრაზა ან სიტყვა, რომელსაც ხშირად ეუბნები პატარას...
- ამოჩემებული მაქვს სიტყვა „მიყვარხარ“ და „ვინ მიყვარს?“. მეც ხშირად ვეკითხები ხოლმე...
- დანის კი ჭამა უყვარს ძალიან. ასევე, გიჟდება, როცა მულტფილმებს უყურებს. ვაშლი ან რაღაც სასუსნავი უნდა მიირთვას აუცილებლად. ჭამის დრო აქვს თავისი, ერთხელ



მეგობართან მყავდა წყევანილი, მომადგა და ნამუ-ნამუ გამომიცხადა, ჭამის დრო მოსულიყო.
- შენ და კედო ადრე ხშირად სტუმრობდით ბარებს, ახლა რა ხდება და როგორ იყენებთ თავისუფალ

დროს? თუ „დაგინესათ“ შვილმა შეზღუდვები?
- კლუბებში ახლაც დავდივართ. მე ისე ხშირად არა. შაბათ-კვირას თეატრები თუ მაქვს, სპექტაკლის წინ არ დავდივარ გასართობად. ამ ბოლო დროს, ისეთი კარგი არტისტები ჩამოჰყავთ გალერიში მტკვარზე, რომ შეძლებისდაგვარად ვცდილობ ნავიდე.
რეპეტიციების გამო ამ ზაფხულს ვერც დასასვენებლად წავედით. დანი და დედაჩემი ჩემს დასთან იყვნენ წყნეთში და იქ ავდიოდით ყოველდღე მე და კედო.
ბავშვმა რა შეზღუდვები დაანესა, არ ვიცი, პრინციპში არაფერი. ერთადერთი, რაც შეიცვალა, ის არის, რომ ბევრად კარგი გახდა ცხოვრება.
როგორც ნანკასთან საუბრიდან ჩანს, კედო შეგვიძლია მზრუნველი მამების სიაში ჩავწეროთ, ნანკასგან განსხვავებით, კალატოზიშვილს ინტერვიუები, ჟურნალ-გაზეთები და ჟურნალისტებთან ურთიერთობა არ უყვარს. თუმცა, საკუთარ შთაბეჭდილებას „ფეისბუქის“ საშუალებით მეგობრებს ხშირად უზიარებს. ერთ-ერთი ამგვარი პოსტი მვილთან ერთად მორიდ გასეირნებასა და ზოიპარკის დათვალიერებას მოჰყვა.
ირაკლი კვიციანი:
- ჩემი პატარა მყავდა დღეს ზოიპარკში, ვიფიქრე ცხოველებს ვანახებ-მეთქი. მაგრამ ცხოველების ნა-

ცვლად ვნახეთ დათვები ავტობანზე, რომლებიც უკვე ერკვევიან ყველა მარკის ავტომობილში, ვნახეთ ნიანგი, რომელიც მარტო ბურბუხელას ჭამს და კენბურუ ნაცემი ვირის სახით!! ჰო, რატომღაც ჩვეულებრივი ქუჩის ძაღლიც ვნახე გალიაში, ალბათ, მგელი იყო, არ ვიცი... VIVA NATIONAL GEOGRAPHIC CHANEL !!“.

**„ერთადერთი,
რაც შეიცვალა,
ის არის,
რომ ბევრად
კარგი გახდა
ცხოვრება“**



ნიკოლოზ წულუკიძე „შუა ქალაქის“ გვირის იუმორითა და საკუთარი ბედნიერებით

დედა თავბერძე

„ეს გვირის თუ შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში, ხომ დავილუბე და ვა არისო“- ამბობს. არადა, უნებურად ნოდარის ფრაზებით ლაპარაკობს. უნდა თუ არ უნდა „შუა ქალაქის“ პერსონაჟად გარდასახება და რეალურ ცხოვრებაშიც ზუსტად ისეთივე ენამოსწრებული და იუმორით სავსეა. ალბათ, ამიტომაც ხვდებიან კეთილი განწყობითა და მოციინარი სახეებით. ქუჩაში სიყვარულით აჩერებენ და თბილ სიტყვებთან ერთად საჩუქრებსაც არ იშურებენ.

დღეს „პრაიმტაიმი“ „შუა ქალაქის“ ბევრისთვის საყვარელ გვირს, ნოდარს სტუმრობს. ნოდარი ანუ ნიკოლოზ წულუკიძე კი 9 თვის სესილიასა და თავის საყვარელ მეუღლეს თეკლას გვაცნობს. დიასახლისი ღიმილიანია და სტუმართმოყვარე, თუმცა, ნიკოლოზის მსგავსად, ენაწელიანობით ვერ „დაიკეცხნის“. ჟურნალისტებთან დუმილს ამჯობინებს. სამაგიეროდ, ბრწყინვალე კულინარია და პიცაც უგემრიელესი გამოდის, დავაგემოვნეთ.

„შვილი კათარზისია, განწმენდას იწვევს შენში“
ნიკოლოზ წულუკიძე

ჩემს ძმ-აკაცს, კახა მიქიაშვილს, რომ არ გავეფრთხილებინე ბავშვები ლურჯები იბადებინაო, როცა დავესდეთ სესილიას, შეიძლება წნევას დაერტყა და იქ დავერჩენილიყავი... ახლა 9 თვის არის, მამას და დედას ამბობს უკვე, პირველი სიტყვა მამა იყო, ჩემი ცოლი მიმტკიცებდა გავცნობიერებლად აკეთებს მარცვლები მა და მი მიბაბა და შენ მამა გგონიაო, მაგრამ მე მაინც მნამს, რომ გაცნობიერებულად გააკეთა ეს, დედა ცოტა რთული სათქმელია, თორემ შეიძლება დედაც ეთქვა.

შვილი, ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველანაირ სხვა ფასეულობაზე მაღლა დგას. ყველაფერზე გინევეს უარის თქმა, შენს თავზეც კი. ავტომატურად ხდები მორეზარისხოვანი. ბედნიერებაა, როცა ადამიანს ცხოვრებაში ამის გაცნობიერებისა და შეცნობის საშუალება გაძლევა.

ჩვენ ხომ ავანსცენაზე ვდგავართ მთელი ცხოვრება და ვთამაშობთ მთავარ როლებს, ზოგი მონონ სპექტაკლს თამაშობს, ზოგი ანსამბლურ თეატრს, ზოგი კომედიადელ არტეს და ზოგიც ბუფონადს, ყველაზე კარგი რეჟისორი ამ ცხოვრებაში საბავშვო ნივთებია, რომელიც ავსებს შენს ცხოვრებას. ვცდილობ, ყოველდღე თუნდაც ერთი საათი გამოვანახო, რომ ჩემი შვილისგან ყველაზე სასიკეთო იმპულსები მივიღო.

რა ხდება იმ ერთ საათში, როცა ბავშვთან ხართ?

„ვცდილობ, ყოველდღე, თუნდაც ერთი საათი გამოვანახო, რომ ჩემი შვილისგან ყველაზე სასიკეთო იმპულსები მივიღო“

EXCLUSIVE

- სესილია, როცა მხედავს, სიხარულისგან ხტის, ამაზე გემართება რაღაცა ფეთება, რომ ვილაციისთვის ხარ ყველაზე მნიშვნელოვანი და შენთვის ყველაზე მთავარი საზრუნავი სწორედ ის არის და არა ავინ და არაფერი სხვა. ცდილობ, რომ მაქსიმალურად გაუკეთო და სმირად, რაც შეგიძლია, იმაზე მეტსაც აკეთებ... მას არაფერი უნდა მოაკლდეს.

რაც შეიძლება მეტ სიბოხსა და ბედნიერ ოჯახში უნდა გაიზარდოს ბავშვი, მაქსიმალური კეთილი იმპულსების ქვეშ... მე და თეკა ვცდილობთ სწორედ ეს თბილი, მშვიდი და სიყვარულით სავსე გარემო შევუქმნათ.

ჩემი ცოლი გვირის დედაა, საოცრებებს აკეთებს, ვცდილობ მეც მივცემარო. პამპერსიც გამომიცვლია სესილიასთვის და თეკასთან ერთად მიბანავენია კიდევ.

პირველი მსგავსება რაც ვნახე, ფეხის თითები, მე ოდნავ მიტყუპებული მაქვს ორი თითი, სესილიასაც ასე აქვს. შენი ყლორტი რომ ამოიყრის ასე ვიგრძენი, რომ ჩემი ჯიშის გაგრძელება იყო. შვილი კათარზისია, განწმენდას იწვევს შენში, გავაღვლელებს, რომ ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე აქამდე იყავი...

„განონასწორებული, თავდაჭერილი და ღირსეული“

ნიკა წულუკიძის მეორე ნახევარი ხელოვანი არ გახლავთ. თეკლა კოსტავა TBS-ი ბანკში მუშაობს.

„როცა ცოლ-ქმარი სხვადასხვა პროფესიის არის, ბევრად უკეთესიაო“, - ამბობს ნიკა. ცოლს, მოფერებით თეკას ეძახის. თბილი სიტყვებითაც ანებივრებს და საჩუქრებითაც. სესილია გაჩნდა თუ არა, მერსედესის მარკის ავტომობილი დასაჩუქრა. არც სხვადასხვა დღესასწაულები გამოორჩება ხოლმე. თუმცა, ასე დეტალურად ცოლის განებივრებაზე არ საუბრობს. თავმდაბლობს - რომელი სახალხო პერსონა ვარ, ხალხს ჩემი ცხოვრების ყოველი წვრილმანი აინტერესებდესო. თეკას გვერდით თავს ბედნიერ კაცად მიიჩნევს.

ნიკა წულუკიძე: თავს იღბლიანად აღმანიად ვთვლი და ყველაზე დიდი გამართლება ჩემს ცხოვრებაში თეკაა. საოცარი ადამიანია. მისი ყველაზე დიდი კოზირი ის არის, რომ განონასწორებული, თავდაჭერილი, დიდბუნებოვანი და ღირსეულია. ხანდახან შეიძლება, რომ შეგრცხვებს და არც კი თქვა, პატარა მერკანტილურ რაღაცაზე მასთან ვერ ილაპარაკებ... როგორიც მიწოდდა, სწორედ ისეთი ცოლი შემხვდა.

ერთი როლის კარგად თამაში არტისტობას არ ნიშნავს

- დღეს ვიყავი ქალთა საპრობოლეში, წარმოიდგინეთ იქ როგორი მონატრებულები არიან სტუმარს. რომ შევედი გული გამინათდა, აბსოლუტურად ყველა პატიმარი ჩემი ტერმინოლოგიით მხვდებოდა, ნოდარის ტექსტებით მესალმებოდნენ, ერთმა ქალბატონმა მითხრა, ჩვენ ვდგამთ აქ „შუა ქალაქს“ და მე ვასრულებ თქვენს როლსო, ანუ ქალბატონი თამაშობს ნოდარის როლს.

- არტისტობა ბრწყინვალე გამოგდით, მიკვირს პროფესიით მსახიობი რომ არ ხართ.

- ძალიან დიდი ბედნიერებაა, როცა შენი შექმნილი ვილაციის კეთილგანწყობას იმსახურებს. ამახ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რაღაც სხვა სიხარულთან ასოცირდება. თუმცა, ერთი როლის კარგად თამაში არტისტობას არ ნიშნავს, მე რომ ნიჭიერი არტისტი ვყოფილიყავი არ დავანებებდი თავს სამსახიობოს. მივხვდი, რომ მანდ დიდი შესაძლებლობები არ მქონდა და

„შვილი კათარზისია, განწმენდას იწვევს შენში, გავაღვლეებს, რომ ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე აქამდე იყავი“

ამიტომ აღარ გავაგრძელე ეს გზა. როგორც ვხვდები სერიალში უფრო იმპროვიზაციაა, ვიდრე დანერგილი ტექსტი.

კი, ძირითადად ასეა, ხშირად იქვე, გადაღებისას იბადება, მე და ოთარ ტატიშვილი პინგ-პონგივით ვთამაშობთ ხოლმე. შევარგოს ღმერთმა, ყანყარატიდან საყლაპავ მილაამდე სულ სიკეთით ჩაატაროს, - ამგვარ სისულელეებს ვამბობთ, მაგრამ მერე ხალხი კვდება სიცოლით... დიდი ბედნიერება ყოფილა, როდესაც რაღაც უცებ მოგაფიქრდება, დანერ, იტყვი და მერე მეორე

დღეს ქუჩაში სიბოხით გხვდებიან ადამიანები და შენს ფრაზებს იმეორებენ.

- რომელია ის როლი, რომელიც კარგად მოივრება და რომლის თამაშიც კარგად გამოგდით?

- ჩვენ ხომ ყველაზე როლს ვთამაშობთ, ზოგი დადებითი პერსონაჟია, ზოგი უარყოფითი. მე ვცდილობ, სწორად მოვიქცე, არ შემრცხვებს და ვილაცამ არ მითხრას ცუდად მოიქცეო. მთავარია, შენ შენი სწორწარაზობებით იცხოვრო და რა ფასეულობები და ღირებულებებიც გაქვს ცხოვრების დასაწყისში ის გქონდეს ბოლომდე. ვილაცა დაგეთანხმება, ვილაცა არა. მე ყოველთვის ვცდილობ, რომ არ ვიყო რადიკალური, არ ვიყო ფეთქებადი და არასოდეს არავის ვასწავლო ჭკუა.

აქედან გამომდინარე, ყოველთვის გულწრფელი ვყოფილვარ და ჩემი სიმართლე მქონია. ამიტომ ჩვენ რა როლსაც ვთამაშობთ, ყოველთვის ეს უნდა იყოს რაღაცა კოდექსიდან გამომდინარე, რომელიც ჩვენივე თავს უნდა დაუფნესოთ. შენი თავისუფლება იქ მთავრდება სადაც სხვისი ილახება, ამიტომ ყოველთვის ვცდილობ კი არ ვითამაშო ნიკა წულუკიძე, არამედ ნიკა წულუკიძის გულწრფელი ფიქრები გამოვავლინო.

„შვილი, ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველანაირ სხვა ფასეულობაზე მაღლა დგას. ყველაფერზე გინევეს უარის თქმა, შენს თავზეც კი“



„მთავარია, შენ შენი სწორწარაზობით იცხოვრო და რა ფასეულობებიც გაქვს ცხოვრების დასაწყისში ის გამოდეს ბოლომდე“

„X ფაქტორი“ უცხოელი კონკურსანტებით და ჟიურის ახალი წევრებით



გიორგი
საბურხანია:
„ჩვენ ყველაფერს
გავაკეთებთ,
რომ მაყურებელი
კმაყოფილი იყოს
და ორშაბათის
დილისგან
განსხვავებით
საღამოს მოხვლა
უხაროდეთ“



**„ლარის კურსი
რომ აინფოს,
მერე შეიძლება
ჩამოვიყვანოთ
საიმონ ქოუელი“**

my View თამარ გომეზაძე

„X ფაქტორი“ იწყება. დღე, დრო და ლოკაცია უცვლელია. შოუ ერთ-ერთს 6 აპრილიდან იკავებს და 16 კვირის განმავლობაში გავა. ქასთინგის ეპიზოდების ჩანერა 9 მარტს დაიწყო. „მარშან იყო განცდა, რომ შოუ მალე დასრულდა, წელს გვაქვს საშუალება, რომ ის უფრო დიდხანს გაგრძელდეს. ამის რესურსიც არის. ყველა პლუს-მინუსის გათვალისწინებით ვინწყებთ „X ფაქტორს“- ექსკლუზიურად „პრაიმტაიმის“ მკითხველისთვის უახლესი ინფორმაციების მოყოლას იწყებს შოუს მთავარი პროდიუსერი გიორგი საბურხანია.

ქართული „იქს ფაქტორი“ საერთაშორისო გახდა და მასში მონაწილეობის მისაღებად უკვე უცხოელი კონკურსანტებიც ჩამოდიან. ამას გიორგი გვიყვება. მუსიკალურ შოუში არის სიხალეები და სიურპრიზები. ბევრ მათგან ახლავს გაიგებთ. ცვლილება კატეგორიებში. ნაცვლად კატეგორიისა „25 წელს ზევით“ იქნება კატეგორია „16 წლის ქვევით“, იქნება გჯუფები, რომელშიც გუნდებთან ერთად შევა მუსიკალური ბენდებიც, „გოგონები“ და „ბიჭები“ კი უცვლელი რჩება.

ჟიურის წევრები არიან - გიორგი გაბუნია, სოფო ნიჟარაძე, სოფო გომეზაძე და ანრი ჯოსხაძე. წამყვანები კი - იას სუხიტაშვილი და აჩიკო სოლოლაშვილი.

კატეგორიები

გიორგი საბურხანია:

ვინაიდან „იქს ფაქტორი“ სატელევიზიო სივრცეში წარმატებული მუსიკალური პროექტი გამოვიდა და მაყურებლისგან დიდი მონაწილეობა დაიმსახურა, ჩავთვალეთ, რომ არ უნდა გავჩერებულიყავით. წელს, მეორე სეზონში, ძალიან ბევრი სიხალე და ვეგეტა. მათ შორის ჟიურის ახალი წევრები გვყავს და გვყავს ერთი ახალი წამყვანიც. პირველი სეზონიდან გავითვალისწინეთ ყველა პლუს-მინუსი. მარშანდელი სისუსტე იყო კატეგორია „25 წელს ზევით“. ვოკალური გუნდებიც ცოტა იყო ჩვენს ქვეყანაში. ორივე კატეგორია დავგვიყვანეთ და „25 წლის ზევით“ შევცვალეთ კატეგორიით „16 წლის ქვევით“ - ანუ ეს არის ბავშვების კატეგორია. ძალიან ნიჭიერი და მაგარი თანა მოდის. „ბიჭების“ და „გოგონების“ კატეგორია თავისთავად იქნება. ბენდი და



ვოკალური გუნდები ერთ კატეგორიად გვაკეთეთ. თორნიკე ყიფიანი ბენდის წევრი იყო და ამის მაგალითზე მოვიქცეთ ასე. მუსიკოსების და ვოკალისტების კარგი ნაკადი წამოვიდა. მრავალფეროვნება ამ კატეგორიაში. ყველა იპოვის თავის ადგილს.

ჟიური

დიდხანს იმსჯელებს და ჟიურის ასეთი ოთხეული მიიღეს. ანრი, თამთა, გიორგი და სოფო.

„ანრი ჯოსხაძე ხალისით მოეკიდა ჩვენ შეთავაზებას. გვინდა შოუსთვის საინტერესო იყოს. გვინდა, რომ ჟიურის წევრებს შორის გამოკვეთილი კონკურენცია წავიდეს. მარშან ბოლოსკენ მიხვდნენ, რომ ეს კონკურსი იყო ჟიურის წევრებს შორის. ახლა გვინდა ეს პაექრობა ბოლოსკენ კი არ გამოიკვეთოს, არამედ თავიდანვე იყოს. შოუში საუკეთესო იმ უნდა

გაიმარჯვოს, მაგრამ მენტორებმა იმისთვის ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ მათი კატეგორია იყოს გამარჯვებული.

გიორგისგან და ანრისგან ახალ „გადამტერებულ დუეტს“ მივიღებთ.

ერთმანეთს არ დაუთმობენ. საინტერესო ტანდემი გველოდება, ეს ოთხეული არც ერთი კუთხით მოსაწყენი არ იქნება.

სოფო ნიჟარაძის კანდიდატურაზე სხვა გაცვლებით აღრე გავრცელდა.

სოფოზე პირველ სეზონზეც იყო საუბარი, უბრალოდ, მაშინ ის ამერიკაში იყო და თანამშრომლობა არ მოხერხდა. სოფო ტორმელიძეს მუსიკალური რედაქციის საკითხები აბარა და მენტორობის დროს მუსიკალურ რედაქციაში ძალიან მოგვაკლდა. ამ მხრივ მინუსები გვექონდა. ერთდროულად ორ ამპლუაში ვერ იყო. ახლა უკვე ძლიერად ვართ მომზადებული.

„პირველი სეზონიდან გავითვალისწინეთ ყველა პლუს-მინუსი. პარანადელი სისუსტე იყო კატეგორია „25 წელს ზევით“. ვოკალური გუნდებიც ცოტა იყო ჩვენს ქვეყანაში. ორივე კატეგორია დავხვინეთ“

EXCLUSIVE

- გიორგი და თამთა დატოვეთ. მარშანდელ „იქს ფაქტორში“ თამთას გამოჩენის სიხალეს მაყურებელი დიდი ენთუზიაზმით შეხვდა. თამთას პირველი სეზონის დროს მოველაპარაკეთ, რომ მეორეშიც ყოფილიყო. გიორგი ამ ყველაფრის ნაწილია. ისედაც გულშემატკივრობს პროექტებს. გიორგი გაბუნია კარგი უურნალისტი და კარგი უურნალისტის ადგილი ყველგან არის, გასართობ შოუებშიც და სერიოზულ გადაცემებშიც. პრობლემას ვერ ვხედავთ.

სიხალეა შოუს ვიზუალშიც. დანიური კომპანია იზრუნებს პროექტის განათება-გაფორმებაზე.

უცხოელები

„გვაქვს კიდევ ერთი სიხალეც. ბრიტანელი ქორეოგრაფი ჩამოგვყავს. პერფორმანსებს ახლებურად შეფუთავს სცენაზე. და გვეყოლება ორი უცხოელი ბიჭი კონკურსანტი. ერთია ბრიტანეთის „იქს ფაქტორის“ ფინალისტი. მეორე კი ჰოლანდიური „ახალი ხმის“ მონაწილე.

როგორ იპოვეთ ბიჭები?

„ნიჭიერი“ და „იქს ფაქტორი“ ერთი ბრიტანელი კომპანიის პროდუქტია. საიმონ ქოუელის კომპანია „SYCO“-ს უფუნჯინდით ჩვენს პროექტებს და ჩვენი წარმატების შესახებ რომ იგებდნენ, სხვა ქვეყნებში „ბაზრდებოდა“ და მოგვდიოდა მეილები. ყველას ვერ ავარჩევთ. არ არის აუცილებელი მაინცდამაინც საერთაშორისო კონკურსანტები გვყავდეს. თუ განსაკუთრებულ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე, მათ არ ვიყენებთ.

წამყვანებზე რას გვეტყვით?

აჩიკოს და იას გარდა გვეყოლება მესამე წამყვანიც. „მაგთის“ ლაივებზე „მაგთის“ ოთახში დამატებითი მესამე წამყვანი გვეყოლება. ჯერ არ ვიცით, ვინ იქნება.

„გვინდა ჟიურის წევრებს შორის გამოკვეთილი კონკურენცია წავიდას. პარანადელი გოლოსკენ მიხვდნენ, რომ ეს კონკურსი იყო ჟიურის წევრებს შორის. ახლა გვინდა ეს პაექრობა გოლოსკენ კი არ გამოიკვეთოს, არამედ თავიდანვე იყოს“

შოუს ქორეოგრაფი აჩიკო სცენაზე გადაიყვანეთ.

კი, თუმცა ქორეოგრაფიაშიც მოგვემარება. აჩიკო სულ ჩვენთან არის, არ უჭირს ბევრი რამის ერთად გაკეთება. ენერჯული ადამიანია და დინამიური წამყვანი იქნება. თანაც მეორე მსახიობთან წყვილში კარგი ქიმია მივიღეთ.

საიმონ ქოუელი მონაწილეობს შოუში?

რა თქმა უნდა, გვინდა რომ მონაწილეობა მიიღოს, მაგრამ რა ფორმით, არ ვიცი. ჩამოსვლა არ იგეგმება.

თქვენი ამბავი რომ ვიცო, შოუს მასტერკლასების გარეშე არ დატოვებთ.

ლარის კურსი რომ აინფოს, მერე შეიძლება ჩამოვიყვანოთ საიმონ ქოუელი.

რას ველოდით მეორე სეზონისგან?

დაუფინყარ შოუს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მაყურებელი კმაყოფილი იყოს და ორშაბათის დილისგან განსხვავებით საღამოს მოხვლა უხაროდეთ. გვინდა შოუმ მეტ წარმატებას მიანდოს.

„გიორგი გაბუნია კარგი უურნალისტი და კარგი უურნალისტის ადგილი ყველგან არის, გასართობ შოუებშიც და სერიოზულ გადაცემებშიც“



„სოფო პირველ სეზონზეც იყო საუბარი, უბრალოდ, მაშინ ის ამერიკაში იყო და თანამშრომლობა არ მოხერხდა“

my View
თამარ გონგაძე

სმა გავრცელდა, ამიკო ჩოხარაძეს, ფაქოს - ლევან გორელიანს და იუმორისტთა გუნდს GDS-ში ხელფასები გაუნახევრეს და ბიჭები ტელევიზიიდან წამოსვლაზე ფიქრობენო. არხზე ამიკოს გადაცემა - „მისტერ ამიკოც“ აღარ გადის. იუმორისტთა გუნდი სერიალ „ცუდ ბიჭებს“ იღებდა, მაგრამ ჯერ თემო მუჯივას ავარიამი მოყოლის გამო, შემდეგ კი სხვადასხვა მიზეზების გამო, არც ეს სერიალი გავიდა ეთერში. სხვაწარად წავიდა არხზე საქმეები, ჩვენთან საუბარში თქვა ამიკომ. ითქვა, რომ გუნდი, რომელიც სამი წლის წინ „რუსთავი 2“-დან წამოვიდა, ახლა იქ მიბრუნებას აპირებს.

**ამიკო ჩოხარაძე:
„სამსახურს
ბარეთ ბერას
მეგობრები
ვართ, მაგრამ
სამსახურში ეს
არ მოქმედებს“**

EXCLUSIVE

ცხელი, რომ პარალელურად სხვა ტელევიზიაშიც გამოვრდნდე. მე რომ ახლა „რუსთავი 2“-ში დავბრუნდე, ეს მაყურებელზე უარყოფითად იმოქმედებს. ჩემს მეობასაც ეხება

ის სცენარზე და მუსიკალურ უზრუნველყოფაზე ვმუშაობ. არხზე გადაცემები არ იქნება. შეიძლება „ბინა 18“ დარჩეს და კიდევ თოქშოუ დაემატოს. მე, როგორც ვიცი, არხი ამერიკული სტილის სერიალების რეჟიმში გადადის. ჩვენ, სერილების მსახიობები და კონკრეტული სერიალის უსტაბაში ვიქნებით. ასე რომ, სამსახურს გარეთ ბერას მეგობრები ვართ, მაგრამ სამსახურში ეს არ მოქმედებს.

ვანო ჯავახიშვილი: მე, ამისკოსთან პირადად შეხვედრარ მქონია. ვისაც შეხება შეიძლება ჰქონოდა ამისკოსთან, ეს ალექსოა. მოლაპარაკებებს მასთან აწარმოებენ. ეს არ ყოფილა, თორემ მეცოდინებოდა. ის, რომ ამიკო ალექსოს შეხვედროდა, ეგეთი შემთხვევა არ ყოფილა. მე ჩემი გადაცემა მახარია. ასეთ მოლაპარაკებაში არ ვერთვები. ისე კი, არავის დაბრუნება არ გვექონია პრაქტიკაში. თანაც, ერთი კაცის გადაწყვეტილებით არ ბრუნდებიან სამსახურში.

ამიკო ჩოხარაძე:

- ცრუ ინფორმაციაა. ხელფასი მხოლოდ ჩვენ ჯგუფს კი არ დააკლდა, ერთი წლის წინ მთელ ტელევიზიას შეუმცირდა ბიუჯეტი. ეს საჭირო იყო. ამით ზოგ ადამიანს სტიმულიც



კი მიეცა, რომ რალაცაზე ემუშა მაინც. ჩვენ ისევ GDS-ში ვართ. არ გამოვრიცხავ, შესაძლოა, რომ სხვა ტელევიზიაში გამოვჩნდე, მაგრამ არა „რუსთავი 2“-ში.

- **სად გამოჩნდები?**
- არ ვიცი. არ არის გამორი-

და ვერ გავაკეთებ. არც სურვილი მაქვს. მას შემდეგ, სხვა განხრით, მაგრამ წინ წავედი. შეიძლება ეკრანზე რომ ვერ მხედავენ, ეს სიტყვები ფუჭად მოეჩვენოთ, მაგრამ სხვა საქმეში წავედი წინ. შეიძლება ტელევიზიიდან წამოვიდე და ხელი სხვა საქმეს მოვიკიდო. გამოვიცხადებ არაფერი. სრულ ინფორმაციას ვერ მოგაწვდით.



**ვანო ჯავახიშვილი:
„ერთი კაცის
ბრუნდებასთან
სამსახურში“**

- ახლა რას აკეთებ?
- ახლა მხოლოდ „ბინა 18“-

my View
თამარ გონგაძე

„ახალი ხმის“ კონკურსანტის მაკო კვიციანიშვილისა და ლუკა იოსელიანის სიყვარულს ცოტა უცნაური ისტორია აქვს. ჯერ იყო ბავშვური მეგობრობა. ლუკა ჩემ გარდა ყველა გოგოს მოსწონდაო, იხსენებს მაკო. წყვილის სამეგობრო ერთმანეთს დაუმეგობრდა, სამეგობრო გაიზარდა და გაერთიანდა. „ეს იყო ერთი ერთი ბიჭი დავინახე. ლუკა აღმოჩნდა. გავიცანი და ჩვენ-ჩვენი სამეგობრო წრეებით დამეგობრდით. 13 წლის ვიქნებოდით“. მერე გარდატეხის პერიოდში დაეკარგნენ ერთმანეთს. „ალბათ, თავიდანვე ბედი იყო და არ ვიცოდით. ვერ გეტყვით, როგორ აღვადგინეთ ურთიერთობა. ვმეგობრობდით, მაგრამ ორივე მივხვდით, რომ ეს ურთიერთობა უკვე სიყვარულში იყო გადაზრდილი“. ამასობაში გოგონა მუსიკალური პროექტებით პოპულარული გახდა. ბიჭი ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობდა და ფსიქოლოგიის კურსის გავლაზე ფიქრობდა.

„ლუკა ჩემთვის განსაკუთრებულია. მის ნიჭიერებას ვაფასებ. ძალიან სიმპათიური ბიჭია, მაგრამ



**„ურთიერთობას
არც ვვალავთ,
არც
ვასერიოზულავთ,
ვართ ჩვენთვის
და არავის
ვანუხებთ“**

აქამდე არასდროს არ შემინებდავს მისთვის, როგორც ბიჭისთვის. ჩემ გარშემო ყველას მოსწონდა. ერთადერთი ბიჭი იყო, რომელიც რატომღაც არ მომწონდა. რალაც პერიოდი არ ვურთიერთობდით და ექვსი თვის წინ უცებ დავახლოვდით. შეგვიყვარდა ერთმანეთი. დედაც იცნობს. დედას ჩემს მეგობარ ბიჭებს ვაცნობ, არ ვვალავ. მომავალზე ჯერ არ ვფიქრობთ. თუმცა, რომ გავთხოვდე, არც ამის მემინია. ჩვენ მაინც არ ვჩქარობთ. ესწავლობთ ორივე და უცხოეთში წასვლა გვინდა“. - ეს ინტერვიუ მაკო „პრაიმტიმს“ რამდენიმე თვის წინ მისცა. დღესაც არაფერი შეცვლილა. უცხოეთში წასვლა ისევ გეგმაშია. არჩევანს უფრო ამერიკანზე აკეთებენ, სადაც მომღერალს სამსახიობო კურსების გავლა უნდა. სულ ერთად არიან. ახალ წელს ლოპოტაზე შეხვედნენ, სადაც მაკო და ნატალია ქუთათელაძე მღეროდნენ. მაკო ამბობს, რომ მათი ურთიერთობა ახლაც მეგობრულია, რაც უფრო ამყარებს კავშირს.

უფრო მეგობრები
„მე და ლუკას სულ სხვა ურთიერთობა გვაქვს, ჩვენ უფრო მეგობრები ვართ, ვიდრე შეყვარებულები. კი ვჩხუბობთ, მაგრამ ეს ნორმალურია, როგორც ყველა შეყვარებული, ჩვენც ასე ვართ. შეიძლება გარეშე თვალისთვის შეყვარებულებად ვჩანდით, მაგრამ ჩემთვის სხვა რალაც არის შეყვარებულობა. ადრე, ამ თემისადმი სულ სხვა დამოკიდებულება მქონდა. თითქოს მის გამო ბევრ რამეზე უარი უნდა მეტყვა. ახლა პირიქითაა. მთავარია მეგობრობა. ჩვენ ბავშვობის მეგობრები ვართ და ამიტომ უფრო გვიადვილდება ერთმანეთთან ურთიერთობა. კარგად ვიცნობთ

**„ეს მეგობრობა
უფროა, როცა
არ გინდა
გაალიზიანო.
ეს არის
ურთიერთგაგება.
და სულ არ არის
აუცილებელი
კისარზე
ჩამოქვილო“**

ყველაზე მაკო კვიტაშვილის სიყვარულის ისტორია



„მიყვარს ისეთი, როგორც არის, თავისი პლუს-მინუსებით“

EXCLUSIVE

„ალბათ, თავიდანვე ბედი იყო და არ ვიცოდი“

„მე და ლუკას სულ სხვა ურთიერთობა გვაქვს, ჩვენ უფრო მეგობრები ვართ, ვიდრე შეყვარებულები“

ერთმანეთს. მე არ მიყვარს, როდესაც რაღაცას მიკრძალებენ. მე რასაც ვხედავ, შეყვარებულები ერთმანეთს

ანეთს რაღაცას უკრძალებენ. ჩვენ ურთიერთობაში მსგავსი რამ არ არის. არც ერთი არ ვაკეთებთ ისეთ რამეს, რაც შეიძლება არ მოგვენონოს. რახან იცი, მას რა არ მოსწონს, აღარ აკეთებ. ეს მეგობრობა უფროა. არ გინდა გააღიზიანო. ეს არის ურთიერთგაგება. და სულ არ არის აუცილებელი კისერზე ჩამოეკიდო. დედა და ლუკაც მეგობრობენ, როგორც

ხოლმე. ელემენტარულზე ვკამათობთ, სასაცილოა, მაგალითიც ვერ მომყავს, რაზე მოგვდის კამათი. მიყვარს ისეთი, როგორიც არის, თავისი პლუს-მინუსებით.

სულ ერთად - სად ხართ 24 საათი ერთად?

- ერთმანეთთან სახლებში. სულ მეგობრების წრეში ვართ. ლუკასთანაც ვამზადებ საჭმელებს, მის სახლშიც მე ვუმასპინძლები. მაგრად ვუნვაკ კარტოფილს. კულინარიით ვარ დაინტერესებული. მეხერხება და გემრიელი ხელიც მაქვს. ვფიქრობდი, კულინარიის კურსი ხომ არ გავიარო-მეთქი. ქალმა საჭმლის კეთება უნდა იცოდეს. კაცმაც. ჭამა ძალიან მიყვარს, მაგრამ ბევრს არ ვჭამ. ბენდთან ერთად რეპეტიციის მერე დამირეკავს ლუკასთვის - შენთან მოვდივარ-მეთქი და საჭმელი დაუხვედრებია, სპეციალურად ჩემთვის მოუმზადებია. ეს მიხარია. ბევრს არ ვითხოვ. მცირედით ვკმაყოფილდები, მთავარია, გულით იყოს გაკეთებული და არა ხვეწნით - „აუ, გთხოვოვ“. გვიყვარს ერთად ფილმების ყურება და მერე მისი გარჩევა. სამეგობრო ლუკასთან ვიკრიბებით და კინოკლუბს ვანწყობთ. ვსერიზობთ, დავდივართ კინოში, ამ ბოლო დროს თეატრშიც დავიწყეთ სიარული. ვცდილობთ გავალამაზოთ ეს ჩვენი უაზრო ცხ-

„მე არ მიყვარს, როდესაც რაღაცას მიკრძალებენ. მე რასაც ვხედავ, შეყვარებულები ერთმანეთს რაღაცას უკრძალებენ. ჩვენ ურთიერთობაში მსგავსი რამ არ არის. არც ერთი არ ვაკეთებთ ისეთ რამეს, რაც შეიძლება არ მოგვენონოს“

მე ვმეგობრობ ლუკას ოჯახის წევრებთან. ურთიერთობას არც ვმალავთ, არც ვასერიოზულებთ, ვართ ჩვენი და არავის ვანუხებთ. სულ ერთად ვართ, 24 საათი და ერთმანეთი არ გვებუზრდება. ჩვენ ჩხუბს სულ ერთად ყოფნა ინვეს. ვკინკლაობთ

„სიყვარულმა ძალიან შემცვალა. დამამშვიდა, შეხედულება შემიცვალა, სხვანაირად აღვიქვამ ყველაფერს. ერთხელ უნდა გიყვარდეს, რომ მიხვდი - რა გრძნობაა“


„მცირედით ვკმაყოფილდები, მთავარია გულით იყოს გაკეთებული და არა ხვეწნით - „აუ, გთხოვოვ“

ოვრება. ძალიან მიყვარს აქაურობა, თბილისი, მაგრამ ისე ვერ ვარ, როგორც მინდა რომ ვიყო. გარემო არ მინყობს ხელს. რაღაცის მიღწევა გინდა, მაგრამ იზღუდები საქართველოში. მე და ლუკა მთელი ოჯახით ვცდილობთ, რომ სადმე წავიდეთ. ინტერვიუებში სულ ვამბობ, მივიღოვარ, მივიღოვარ-მეთქი და ვერ წავედი. მგონი, არ უნდა ვთქვა. სამხატვრო აკადემიაში სწავლას ვამთავრებ და იმედი მაქვს, რომ წავალ. ამერიკაში მინდა წასვლა, ნიუ-იორკში სამსახიობოზე ჩაბარებაზე ვფიქრობ. დიზაინის ფაკულტეტს ვამთავრებ, მაგრამ ზუსტად ვიცი, დიზაინერი არასდროს ვიქნები. ჩემთვის ვიკერავ ტანსაცმელს. განათლება მივიღე და გამოვიყენებ როცა მომინდება. შეიძლება მსახიობიც არ გამოვიდე, მაგრამ ახლა ეს პროფესია მაინტერესებს. სულ მაინტერესებს რაღაცები.

ის აზრს, სურვილს და საქმიანობას პატივს ვცემთ. მე არ ვარ საკუთარი თავით კმაყოფილი. მეტი შემიძლია, უბრალოდ, ზარმაცი ვარ. თუმცა ჩემს თავზე ვმუშაობ, ტყუილად არ ვარ. შეიძლება თევა ჯგუფი მყავს და ვრეპეტიციობთ. „Friendly Mosquito“ ჰქვია ჩვენს ჯგუფს. მე ვარ სოლისტი, დანარჩენები ინსტრუმენტალისტები არიან. ორი თვის წინ სინგლი გამოვუშვეთ. კონცერტიც გვქონდა. გეგმაში ისევ გვაქვს პატარ-პატარა კონცერტები. ჟანრი სხვადასხვაა, ძირითადად, ფანქი, ჯაზი და არ ენ ბი.

- სიყვარულმა შეგცვალა?
- ძალიან შემცვალა. დამამშვიდა, შეხედულებები შემიცვალა, სხვანაირად აღვიქვამ ყველაფერს. ერთხელ უნდა გიყვარდეს, რომ მიხვდე - რა გრძნობაა. აქამდე მეგონა, რომ ორი ადამიანი მიყვარდა, მაგრამ თურმე საერთოდ არ მყვარებია. სულ სხვანაირი გრძნობაა. ეს უნდა იგრძნო.
- ანუ ნამდვილი სიყვარული გნკვირია.
- არ ვიცი. ახლა ასე ვარ, შეყვარებული ვიყავი ძალიან ბედნიერი. იმედი, მთელი ცხოვრება ასე იქნება და თუ არ იქნება, ეს ღმერთის ნებაა.

- და ლუკა?
- ლუკა ახლა აპირებს ფსიქოლოგიის კურსების გავლას. დიდი სურვილი მაქვს ლუკასთან ერთად წავიდე ამერიკაში. ამას წინასწარ ვერავინ იტყვის.
- როგორც მომღერალს როგორ გაფასებს?
- მოგწონვარ. მეუბნება, შენ სულ უნდა იმღერო. ერთმანეთ-



exclusive



„ალბათ, თავიდანვე ბედი იყო და არ ვიცოდით“

ლადო გურდული -
ბრძელთმისანი ბიჭი საყურით, რომელიც მუდმივად წასვლაზე ფიქრობდა
exclusive

ჭიაკოკონობას დაწყებული მაკო კვიტაშვილის სიყვარულის ისტორია

„X ფაქტორი“ უცხოელი კონკურსანტებით და ჟიურის ახალი წევრებით

გიორგი ხაბურზანია: „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მაყურებელი კმაყოფილი იყოს და ორშაბათის დილისგან განსხვავებით საღამოს მოსვლა უხაროდეთ“

exclusive

ნიკოლოზ ნულუკიძე „შუა ქალაქის“ გმირის იუმორითა და საკუთარი ბედნიერებით

„ვეცდილობ, ყოველდღე, თუნდაც ერთი საათი გამოვინახო, რომ ჩემი შვილისგან ყველაზე სასიკეთო იმპულსები მივიღო“

exclusive

ლაშა ჯუხარაშვილს ჯვარი გაბუხამ დასწერა

exclusive

exclusive
ISSN 1987-7404

9 771987 740005
შპს „ასაველ-დასავალის სტამბა“
48 Time ორშაბათი, 9 მარტი, 2015

5 წელი ერთად, - კედოს და ნანკას „თამაგი ნაიჯი“ და დანი, რომელმაც ცხოვრება შეცვალა

ნანკა კალატოზიშვილი:
„ჩემო სიამაყე, ესეც 5 წელიწად... მიყვარხარ“

exclusive